

როგორ მოვემზადოთ ერთიანი  
ეროვნული გამოცდებისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

სავალდებულო გამოცდა

2015

## გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტ-  
რის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე  
უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გა-  
რეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და  
სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება.  
აგრეთვე, იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

# ს ა რ ჩ ე ბ ი

შესავალი	4
საგამოცდო პროგრამა	5
I. ქართული ენა	5
II. ქართული ლიტერატურა	6
მისაღები გამოცდის მოთხოვნები	8
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების სქემები	9
I. ტექსტის რედაქტირება	9
ა) დავალებების ნიმუშები	9
ბ) შეფასების კრიტიკუმები	12
გ) კომენტარი	15
II. არგუმენტირებული ესე	16
ა) დავალებების ნიმუშები	16
ბ) შეფასების კრიტიკუმები	17
გ) კომენტარი	19
III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი	20
ა) დავალებების ნიმუშები	20
ბ) წაკითხულის გააზრების შეფასების სქემა	76
გ) მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტიკუმები	77
დ) კომენტარი	82
აბიტურიენტების მიერ შესრულებული ნაშრომების ნიმუშები	83
I. არგუმენტირებული ესე	83
II. მხატვრული ტექსტის ანალიზი	88

## **შესავალი**

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში 2015 წელსაც 3 დავალება იქნება:

- I. ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური ქულა 20);
- II. არგუმენტირებული ესე (20 ქ);
- III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (15 + 25 ქ).

წინა წლების მსგავსად ტექსტის ამ უკანასკნელ ნაწილში მოცემული იქნება 2 ტექსტი: ერთი – პოეტური და მეორე – პროზაული. ამჯერადაც აბიტურიენტი თავად აირჩევს ამ ორი ტექსტიდან ერთ-ერთს, მხოლოდ ამ ტექსტის გასააზრებელ კითხვებს უპასუხებს და ამავე ტექსტის ანალიზს დაწერს.

ამრიგად, 2015 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური ქულა გვლავ 80 იქნება.

**საგამოცდო პროგრამა „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“  
(სავალდებულო გამოცდა)**

**I. ქართული ენა**

<b>1. ლექსიკოლოგია</b>	სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება; სინონიმები, ომნიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ხეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მეტი შესამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები; მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა.
<b>2. სტილისტიკა</b>	სტილის რაობა; ფუნქციური სტილისტიკა; ლექსიკური სტილისტიკა; სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით; პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები; სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).
<b>3. მორფოლოგია</b>	მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქვევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.
<b>4. სინტაქსი</b>	წინადადება; სინტაქსური წევილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
<b>5. პუნქტუაცია</b>	სასვენი ნიშნები; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

## II. ქართული ლიტერატურა

<p><b>1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათ-მცოდნეობითი ტერმინები</b></p>	<p>დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა;</p> <p>ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგაფარაკი, კო-მედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხოვნა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი;</p> <p>აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაქტი, ფატულა, ფინალი;</p> <p>დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა;</p> <p>ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი;</p> <p>ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, პიპერბოლა;</p> <p>მხატვრული ენა, მხატვრული სახე.</p>
<p><b>2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები</b></p>	სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
<p><b>3. იაკობ ხუცესი</b></p>	„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
<p><b>4. იოვანე საბანისძე</b></p>	„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
<p><b>5. გიორგი მერჩულე</b></p>	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
<p><b>6. შოთა რუსთველი</b></p>	„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა 6. ნათაძისა): „დასაწყისიდან“, „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.
<p><b>7. სულხან-საბა ორბელიანი</b></p>	„სიბრძნე-სიცრუისა“, იგაფარაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.
<p><b>8. დავით გურამიშვილი</b></p>	„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველ უფალთა მეგვარტომბის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამიშვილის ლეკტაგან დატყოფება“, „ოდეს დატყოფებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამიშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.
<p><b>9. ალექსანდრე ჭავჭავაძე</b></p>	ლექსი „გოგჩა“.
<p><b>10. გრიგოლ ორბელიანი</b></p>	ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „სადამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.
<p><b>11. ნიკოლოზ ბარათაშვილი</b></p>	ლექსები: „არ უკიუნო, სატრფოო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულობორობო“, „გპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.
<p><b>12. ილია ჭავჭავაძე</b></p>	ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხოვნები: „კაცია-ადამიანი?!", „მგზავრის წერილები“, „ოთარაპანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“
<p><b>13. აკაპი წერეთელი</b></p>	ლექსები: „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა სვან ლვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.

<b>14. ალექსანდრე ყაზბეგი</b>	მოთხოვთ „ხევისბერი გოჩა“.
<b>15. გაუაფშაველა</b>	ლექსები: „ჩემი ვეღრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტონიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხოვთ „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „ქოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
<b>16. დავით კლდიაშვილი</b>	მოთხოვთ „სამანიშვილის დედინაცვალი“.
<b>17. ნიკო ლორთქიფანიძე</b>	მოთხოვთ „შელოცვა რადიოთი“.
<b>18. კონსტანტინე გამსახურდია</b>	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
<b>19. მიხეილ ჯავახიშვილი</b>	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
<b>20. პოლიკარპე კაკაბაძე</b>	პიესა „ყვარელება თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
<b>21. გალაკტიონ ტაბიძე</b>	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ლამე“, „მთაწმინდის მოვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
<b>22. ტიციან ტაბიძე</b>	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
<b>23. პაოლო იაშვილი</b>	ლექსი „პოეზია“.
<b>24. გიორგი ლეონიძე</b>	ლექსები: „ნინოწმინდის ლამე“, „ყივჩალის პაქმანი“.
<b>25. გურამ რჩეულიშვილი</b>	მოთხოვთ „ალავერდობა“.
<b>26. ანა კალანდაძე</b>	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
<b>27. ჯემალ ქარჩხაძე</b>	მოთხოვთ „იგი“.
<b>28. გურამ დოჩანაშვილი</b>	მოთხოვთ „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

## **მისაღები გამოცდის მოთხოვნები:**

### **აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:**

- საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტები (მოვლენები, ფაქტები და მათი თანამიმდევრობა);
- ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ);
- ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტი, ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელები).

### **აბიტურიენტს მოეთხოვება:**

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;
- ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;
- სხვადასხვა დანიშნულების ტექსტის შედგენა;
- მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამჟარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორი აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

### **ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტექსტით შემოწმდება:**

- ტექსტის რედაქტირების უნარი;
- არგუმენტირების უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

## I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ჭურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაანწირეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

**გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თოთოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.**

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადგბას, ნაშრომი არ შევასდება.)

### 1.

ჰალიკარნასი, დღევანდელი ბოდრუმი მცირე აზის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო. მის მთავარ დირსშესანიშნაობას წარმოადგენდა მეფე მავსოლის დიდებული აკლდამა. სამარხის შექნებლობა მეფის სიცოცხლეშივე დაიწყო. არქიტექტორთა ჩანაფიქრით, სამარხს როგორც ყველაზე მდიდრულ ნაგებობას ქალაქი უნდა დაემშვენებია. ეს იყო ბერძნული ტაძარის მსგავსი შენობა. იგი შემკული იყო მარმარილოს ქანდაკებებითა და ბარელიეფებით, რომელიც იმ დროინდელმა საუკეთესო მოქანდაკებება შექმნეს. ბარელიეფებზე გამოსახული სცენები ამორალებთან ბერძნებთა ბრძოლას ანსახიერებდა.

მავსოლე გარდაიცვალა ძველ წელთაღრიცხვის IV საუკუნის 50-იან წლებში. მის მიერვე აგებულ აკლდამაში დაკრძალეს იგი, რომელსაც მავსოლის პატივსაცემად მავზოლეუმი უწოდეს. XIV საუკუნეში მავზოლეუმი ძლიერდა მიწისძვრამ დაანგრია. იგი საბოლოოდ განადგურდა XV საუკუნეში ჯვაროსნების შემოსევის შედეგად. ოქროსა და განძეულობის მაძიებლებმა სამარხი სრულყოფილად გაძარცვეს. ჯვაროსნები კედლებისაგან მარმარილოს ფილებს გლო-ჯავდნენ ქანდაკებებს ამსხვრევდნენ. ჰალიკარნასის ნაგრევებზე მათ ააშენეს პირქუში და მიუგალი სიმაგრე წმინდა პეტრეს ციხე.

XIX საუკუნის 50-იან წლებში მავზოლეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. არქეოლოგების მიერ მოხდა მავზოლეუმის ნაშთების, ბარელიეფებისა და ქანდაკების ფრაგმენტების აღმოჩენა რამაც მის მრავალ საიდუმლოს მოფინა ნათელი.

### 2.

კუნძული როდოსის მოსახლეობას სწამდა რომ მას მზის დმერთი იცავდა. როდოსელებმა გადაწყვიტეს ჰელიოსის გიგანტური ქანდაკების (კოლოსის) აგება, რადგან ამით პატივი ეცაოთ თავიანთი მფარველისათვის. თავდაპირველად თიხიდან გამოიძრია ფიგურა რომელიც გარედან ჯერ ცვილით შემდეგ კი ისევ თიხით იფარებოდა. ცვილის საშუალებით თიხის ორ ფეხას ერთმანეთისაგან ანცალკევებდნენ და მათ შორის ბრინჯაოს ასხამდნენ. როდესაც ლითონი ცივდებოდა, თიხის გარსს ამტვრევდნენ, ფიგურას ფხიკავდნენ და აპრიალებდნენ. ქანდაკებას ნაწილნაწილ აკეთებდნენ და იარუსებად აწყობდნენ.

სამუშაოები 12 წელს გაგრძელდა. ჰელიოსის ქანდაკება მარმარილოს კვარცხლბეკზე იდგა და მას გვირგვინით შემძული ჭაბუკის სახე ქონდა. ქანდაკების სიმაღლე 37 მეტრი იყო. მის სანახავად უამრავი მოგზაური მოდიოდა. 56 წლის შემდეგ ქანდაკება ძლიერი მიწისძვრის დამსახურებით დაინგრა. როდოსელებს რამდენჯერმე უცდიათ, რომ ფეხზე წამოეყენებიათ დამხობილი გოლიათი მაგრამ მათი ყველა ცდები მარცხით დამთავრებულა. ბოლოს ის იყიდა ერთმა მდიდარმა ვაჭარმა რომელმაც ნაწილებად დაშლილი ქანდაკების გატანა მოახდინა 900 აქლემის მეშვეობით.

მეცნიერები დიდხანს იკვლევდნენ როგორ გამოიყერებოდა როდოსის კოლოსი. ქანდაკების შექმნისა და აღმართვის როტული ტექნიკის გამო იგი მსოფლიოს საოცრებათ ითვლება.

### 3.

ბაბილონი იმყოფებოდა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე მდინარე ევფრატის ნაპირებზე. ნაბუქოდონსორის მეფობის დროს იგი აღმოსავლურ კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. მოგზაურებს ყველაზე მეტად იზიდავდა დაკიდული ბაღები. ბაბილონის დედოფალი მილის მეფის ასული თავის ქვეყანაში მიჩვეული იყო აყვავებულ მთებსა და ტყეებს და ეს უსიცოცხლო ადგილი არ მოწოდა. მეფეს თავისი საყვარელი მეუდლისათვის ეს ბაღები აუგია,

რადგან მისთვის ცხელსა და უტყეო ბაბილონში ცხოვრება შექმსუბუქებია. მისი ბრძანებით, იშვიათი მცენარეები მრავალი ქვეყნებიდან შემოუტანიათ.

ნაგებობას ჰქონდა პირამიდის ფორმა და შედგებოდა ოთხი იარუსების სვეტები იჯერდა. თოთოული სვეტის სიმაღლე თცდა ხუთი მეტრი იყო. ევფრატის წყლით ირწყვებოდა ბადები, რომელიც იქ სპეციალური წყალსაქაჩი ბორბლებითა და ტყავის ჭურჭელით აჰკონდათ. სარწყავ წყალს რომ არ გაეჭონა იარუსების ზედაპირი ჯერ ლერწმით იფარებოდა შემდეგ კი მასზე წარმოებდა ხოყიერი მიწის დაყრა. ამდენად, მაღალი კოშკის ფართო იარუსებზე გაშენებული ბაღები საკმაოთ რთული ნაგებობა იყო.

შეამდინარეთის მკვიდრნი თიხას ზილავდნენ და საშენ მასალად იყენებდნენ რაც ძალიან იაფი ჯდებოდა. სამწუხაროდ, თიხა გამძლე არ იყო, ამიტომაც ბაბილონელთა ნაგებობების გვალიც არ დარჩა.

#### 4.

ქალაქი ალექსანდრია ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა. მეფის აზრით ეს ქალაქი უნდა გამხდარიყო უმნიშვნელოვანები სავაჭრო ცენტრი და ნავსადგური. მეფეს სურდა რომ კუნძულ ფაროსზე მანამდე არ ნახული სიდიდის შუქურა აეშენებიათ. მართლაც, შუქურა რომელიც ძველ წელთაღრიცხვის III საუკუნეში აიგო მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევა იყო. კოშკის გუმბათში ენთო ჩაუქრობელი ცეცხლი, რომლის შუქი ლითონის სარკეებით ძლიერდებოდა და სიბრუნვეში გზას უწვენებდა ხომალდებს. სარკეების სისტემა სხვა პრობლემასაც წყვიტავდა, კერძოდ მეთვალყურეებს გემების შემჩნევა მანამ შეეძლოთ, სანამ ისინი ქალაქს მიუახლოვდებოდენ.

დროთა განმავლობაში ალექსანდრიის უბე სილით აივსო. XII საუკუნეში შუქურამ ფუნქცია დაკარგა, რათა პორტში ხომალდების შესვლა უკვე შეუძლებელი გახდა. XIV საუკუნეში შუქურა ძლიერი მიწისძვრის საშუალებით დაინგრა. თავდაცვითი ნაგებობა აშენდა მისი ქვებით, რომელიც დაუმდე დგას კოშკის აღგილზე ხოლო ბრინჯაოს ფირფიტებიდან მონეტები დაამზადეს.

1994 წელს მყვინთავების მიერ მოხდა შუქურის ნარჩენების პოვნა, შემდეგ კოსმოსიდან გადაღებული ფოტოების მეშვეობით დანარჩენი ნაწილებიც აღმოაჩინეს. სავარაუდო, კოშკის სიმაღლე 134 მეტრი უნდა ყოფილიყო. როგორც სჩანს, იმ დროისათვის ალექსანდრიის შუქურა ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო დედამიწაზე.

#### 5.

კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წელს სამეგრელოს სოფელ ჯგალში. 1920 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. საბჭოთა ხელისუფლებაში სალიას დაპატიმრება მოახდინა რამაც ევროპაში სხაური გამოიწვია. ამის გამო მას და რამდენიმე სხვა ქართველ პატიმარს გერმანიაში წასვლის უფლება მიცეს. სალიამ ჯერ ბერლინის უნივერსიტეტი დაამთავრა შემდეგ – პარიზის უნივერსიტეტის ისტორიულ-დიტერატურული ფაკულტეტი. კალისტრატე სალია იყო ანგისაბჭოთა ფრონტის აქტიური წევრი. იგი გერმანულ ჯარში შექმნილ ქართულ ნაწილებიც აღმოაჩინეს. სავარაუდო, კოშკის სიმაღლე 134 მეტრი უნდა ყოფილიყო. როგორც სჩანს, იმ დროისათვის ალექსანდრიის შუქურა ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო დედამიწაზე.

1948 წელს კალისტრატემ მეუღლესთან ერთად დააფუძნეს ქურნალი „ბედი ქართლისა“. ეს ქურნალი იყო ქველაზე პირველი ქართველოლოგიური გამოცემა ევროპაში. იგი 35 წელის განმავლობაში გამოდიოდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნულ ცენტრის დახმარებით. ქურნალმა რომელმაც თავი მოუყარა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. კალისტრატე სალია იყო ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესიონი არა-ერთი სამეცნიერო საზოგადოებების წევრი. კალისტრატე სალია გარდაიცვალა 1986 წელს პარიზში. იგი დაასაფლავეს ლევილის სასაფლაოზე. 1988 წელს, სალიას ანდერძის თანახმათ მისი ფერფლი დიდუბის პანორამის მიწას მიაბარეს.

#### 6.

მიხეიოლ (მიხაკო) წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს ზემო იმერეთის სოფელ ცხრუავეთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო კოევის უნივერსიტეტში საიდანაც მოხდა მისი გარიცხვა, რათა აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. მიხაკო წერეთელს რომელსაც ძალიან საუკეთესო ევროპული განათლება ქონდა მიღებული სორბონის, ქენევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, საქართველოს დე-

მოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდა გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

ბოლშევიკურ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო მიხაკო წერეთელი იძულებული გახდა, რომ სამუდამოდ დაეტოვებია სამშობლო. ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ნაყოფიერად მოღვაწეობდა. იგი არჩეული იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეცნიერო საზოგადოებების ნამდვილ წევრად. გარდა ამისა იგი იყო „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დაფუძნების ერთ-ერთი მოთავე მეორე მსოფლიო ომის წლებში მიხაკო წერეთელის ძალის-ხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებისგან ასობით ქართველი განთავისუფლდნენ. სახელოვანმა მეცნიერმა და მამულიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში. 1963 წელს პარიზში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ რომელიც გამოსაცემად მოამზადა მიხაკო წერეთელმა. 1975 წელს გამოვიდა პოემის მისეული პროზაული თარგმანი გერმანულ ენაზე. 1945 წელს იგი საცხოვრებლათ გადავიდა მიუხეხში სადაც განაგრძობდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მიხაკო წერეთელი დაკრძალულის საფრანგეთში ლევილის სასაფლაოზე.

## 7.

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წელს ახალციხეში. თამარაშვილმა სასულიერო განათლება უვროპის რამდენიმე ქვეყნებში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი თბილისის მიძინების ტაძარის მდგდლად გაამწესეს. თამარაშვილს რომელმაც აქტიური მოღვაწეობით მიიცია ყურადღება, ხელისუფლებამ სამშობლოში მდგდელ-მსახურების უფლება ჩამოართვეს და მოხდა მისი თბილისიდან გაძევება. თამარაშვილი რომში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო სასულიერო აკადემიაში. სახსავლებლის დამთავრების შემდეგ მას ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭეს და ამავე აკადემიის პროფესორი გახდა.

თამარაშვილი გულდასმით ეცნობოდა უცხოეთში დაცულ ისტორიულ მასალებს რადგან ობიექტურად გამოეკვლია საქართველოს წარსული. 1910 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. ეს იყო ფუნდამენტური ნაშრომი რაც საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის ისტორიას აცნობდა. წიგნში თავმოყრილია ევროპის არქივებში მოძიებული უადრესად საყურადღებო წყაროები. ამის გამო მას დღემდე არ დაუკარგია მეცნიერული დირექტულება. თამარაშვილი იყო ერთ-ერთი ყველაზე პირველი მკვლევარი, რომელმაც ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას აზიარა. გარდა ამისა მან შესძლო ცნობების მოძიება სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ. სამწუხაროდ, თამარაშვილის ცხოვრება გრაგიკულათ დასრულდა. 1911 წელს მან იტალიის ერთ ზღვისპირა ქალაქში დახრჩობიდან ისხნა უცნობი ადამიანი თვითონ კი დაიღუპა. ოთხმოცი წლის შემდეგ 1978 წელს, მისი ნეშტი ქართულ მიწას მიაბარეს.

## 8.

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წელს სოფელ ლიხაურში. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1887 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის გიმნაზიაში მასწავლებელად დაიწყო მუშაობა. თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა არა-ერთ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. მან დააარსა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება რასაც თოთხმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ეს საზოგადოება მიზნათ ისახავდა განაგრძებიდან ესენა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1921 წელს საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში წასულიყო და თან წაგდო სამუზეუმო ძვირფასეულობა. ოფიციალურად განისაზღვრულ მთავრობა იყო თუმცა ეროვნულ საგანძუროს ფაქტობრივად ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. მიუხედავად პრობლემებისა ექვთიმემ ყველაფერი გააკეთა რადგან ლირსეულად შეესრულებია ეს ძალზე უმნიშვნელოვანების მისია. საფრანგეთში იგი განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1925 წელს მოხდა მისი არჩევა აზიის შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილ წევრად. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ როდესაც შესაძლებელი გახდა ჩვენი საგანძუროს სამშობლოში ჩამოგანა ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა. მეცნიერი გარდაიცვალა 1953 წელს. საქართველოს ეკლესიამ 2002 წელს იგი წმინდანად შეპრაცხა.

## ტექსტის რედაქტირების შეფასების კრიტერიუმები (დაგალებები №№ 1-4)

- |   |     |
|---|-----|
| I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები                   | 10ჭ |
| ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (10) აკლდება თითო ქულა. |     |
| II. სტილისტური ხარვეზები  | 2ჭ  |
| ამ ტიპის ყოველ ხარვეზზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.   |     |
| III. პუნქტუაციური შეცდომები   | 6ჭ  |
| ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (6) აკლდება თითო ქულა.  |     |
| IV. მექანიკური შეცდომები და ტექსტური უზუსტობები                       | 2ჭ  |
| ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.  |     |

### 1.

ჰალიკარნასი, დღევანდელი ბოდრუმი, მცირე აზიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო. მის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა მეფე მავსოლის დიდებული აკლდამა. სამარხის მშენებლობა მეფის სიცოცხლეშივე დაიწყო. არქიტექტორთა ჩანაფიქრით, სამარხს, როგორც ყველაზე მდიდრულ ნაგებობას, ქალაქი უნდა დაემშვენებინა. ეს იყო ბერძნული ტაძრის მსგავსი შენობა. იგი შემგული იყო მარმარილოს ქანდაკებებითა და ბარელიეფებით, რომლებიც იმდროინდელმა საუკეთესო მოქანდაკებმა შექმნეს. ბარელიეფებზე გამოსახული სცენები ამორდალებთან ბერძენთა ბრძოლას განასახიერებდა (ასახიერებდა).

მავსოლე გარდაიცვალა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის 50-იან წლებში. იგი დაკრძალეს მის მიერვე აგებულ აკლდამაში, რომელსაც მავსოლის პატივსაცემად მავზოლეუმი უწოდეს. XIV საუკუნეში მავზოლეუმი ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. იგი საბოლოოდ განადგურდა XV საუკუნეში ჯვაროსნების შემოსევის შედეგად. ოქროსა და განძეულობის მაძიებლებმა სამარხი მთლიანად გაძარცვეს. ჯვაროსნები კედლებიდან მარმარილოს ფილებს გლეჯდნენ, ქანდაკებებს ამსხვრევდნენ. ჰალიკარნასის ნაგრევებზე მათ ააშენეს პირქუში და მიუვალი სიმაგრე – (,) წმინდა პეტრეს ციხე.

XIX საუკუნის 50-იან წლებში მავზოლეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. არქეოლოგებმა მავზოლეუმის ნაშთები, ბარელიეფები და ქანდაკებების ფრაგმენტები აღმოაჩინეს, რამაც მის მრავალ საიდუმლოს მოჰყვინა ნათელი.

### 2.

კუნძულ როდოსის მოსახლეობას სწამდა, რომ მას მზის ღმერთი იცავდა. როდოსელებმა გადაწყიტეს ჰელიოსის გიგანტური ქანდაკების (კოლოსის) აგება, რათა ამით პატივი ეცაოთ თავიანთი მფარველისათვის. თავდაპირველად თიხისაგან გამოიძერწა ფიგურა, რომელიც გარედან ჯერ ცვილით, შემდეგ კი ისევ თიხით იფარებოდა. ცვილის საშუალებით თიხის ორ ფენას ერთმანეთისაგან აცალკევებდნენ და მათ შორის ბრინჯაოს ასხამდნენ. როდესაც ლითონი ციფლებოდა, თიხის გარსს ამტკრევდნენ, ფიგურას ფეხებდნენ და აპრიალებდნენ. ქანდაკებას ნაწილ-ნაწილ აკეთებდნენ და იარუსებად აწყობდნენ.

სამუშაოები 12 წელს გაგრძელდა. ჰელიოსის ქანდაკება მარმარილოს კაბრცხლებაზე იდგა და მას გვირგინით შემგული ჭაბუკის სახე ჰქონდა. ქანდაკების სიმაღლე 37 მეტრი იყო. მის სანახავად უამრავი მოგზაური მოდიოდა. 56 წლის შემდეგ ქანდაკება ძლიერი მიწისძვრის გამო დაინგრა (ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია). როდოსელებს რამდენჯერმე უცდიათ, რომ ფეხზე წამოეყენებინათ დამხსობილი გოლიათი, მაგრამ მათი ყველა ცდა მარცხით დამთავრებულა. ბოლოს ის იყიდა ერთმა მდიდარმა ვაჭარმა, რომელმაც ნაწილებად დაშლილი ქანდაკება 900 აქლემის მეშვეობით გაიტანა.

მეცნიერები დიდხანს იკვლევდნენ, როგორ გამოიყერებოდა როდოსის კოლოსი. ქანდაკების შექმნისა და აღმართვის როტული ტექნიკის გამო იგი მსოფლიოს საოცრებად ითვლება.

### 3.

ბაბილონი მდებარეობდა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, მდინარე ევფრატის ნაპირებზე. ნაბუქოდონოსორის მეფობის დროს იგი აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. მოგზაურებს ყველაზე მეტად იზიდავდა დაკიდული ბაღები. ბაბილონის დედოფალი, მიდიის მეფის ასული, თავის ქვეყანაში მიჩვეული იყო აყვავებულ მთებსა და ტყეებს და

ეს უსიცოცხლო ადგილი არ მოსწონდა. მეფეს თავისი საყვარელი მეუღლისათვის ეს ბაღები აუგია, რათა მისთვის ცხელსა და უტყეო ბაბილონში ცხოვრება შეემსუბუქებინა. მისი ბრძანებით, იშვიათი მცენარეები მრავალი ქვეყნიდან შემოუტანიათ.

ნაგებობას ჰქონდა პირამიდის ფორმა და შედგებოდა ოთხი იარუსებს სვეტები იქერდა. თითოეული სვეტის სიმაღლე ოცდახუთი მეტრი იყო. ბაღები ირწყვებოდა ევფრატის წყლით, რომელიც იქ სპეციალური წყალსაქაჩი ბორბლებითა და ტყავის ჭურჭლით პარმდათ. სარწყავ წყალს რომ არ გავეონა, იარუსების ზედაპირი ჯერ ლერწმით იფარებოდა, შემდეგ კი მასზე ნოყიერი მიწა იყრებოდა. ამდენად, მაღალი კოშკის ფართო იარუსებზე გაშენებული ბაღები საკმაოდ რთული ნაგებობა იყო.

შუამდინარეთის მკვიდრნი თიხას ზელდნენ და საშენ მასალად იყენებდნენ, რაც ძალიან იაფი ჯდებოდა. სამწუხაროდ, თიხა გამძლე არ იყო, ამიტომაც ბაბილონელთა ნაგებობების კვალიც არ დარჩა.

#### 4.

ქალაქი ალექსანდრია ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა. მეფის აზრით, ეს ქალაქი უნდა გამხდარიყო უმნიშვნელოვანების სავაჭრო ცენტრი და ნაგსაღგური. მეფეს სურდა, რომ კუნძულ ფაროსზე მანამდე არნახული სიდიდის შუქურა აეშენებინათ. მართლაც, შუქურა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში აიგო, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევა იყო. კოშკის გუმბათში ენთო ჩაუქრობელი ცეცხლი, რომლის შუქი ლითონის სარკეებით ძლიერდებოდა და სიბეჭდები გზას უჩვენებდა ხომალდებს. სარკეების სისტემა სხვა პრობლემასაც წყვეტდა, კერძოდ, მეთვალყურეებს გემების შემჩნევა მანამ შეეძლოთ, სანამ ისინი ქალაქს მიუახლოვდებოდნენ.

დროთა განმავლობაში ალექსანდრიის უბე სილით აივსო. XII საუკუნეში შუქურამ ფუნქცია დაკარგა, რადგან პორტში ხომალდების შესვლა უკვე შეუძლებელი გახდა. XIV საუკუნეში შუქურა ძლიერი მიწისძვრის გამო (ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია) დაინგრა. მისი ქვებით აშენდა თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც დღემდე დგას კოშკის ადგილზე, ხოლო ბრინჯაოს ფირფიტებისაგან მონეტები დაამზადეს.

1994 წელს მყვინთავებმა შუქურის ნარჩენები იპოვეს, შემდეგ კოსმოსიდან გადაღებული ფოტოების მეშვეობით დანარჩენი ნაწილებიც აღმოაჩინეს. სავარაუდო, კოშკის სიმაღლე 134 მეტრი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, იმ დროისათვის ალექსანდრიის შუქურა ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო დედამიწაზე.

#### (დავალებები №№ 5-8)

- |   |     |
|---|-----|
| I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები                   | 10ქ |
| ამ ტიპის კოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (10) აკლდება თითო ქულა. |     |
| II. სტილისტური ხარვეზები  | 2ქ  |
| ამ ტიპის კოველ ხარვეზზე მაქსიმალურ შეფასებას (3) აკლდება თითო ქულა.   |     |
| III. პუნქტუაციური შეცდომები   | 6ქ  |
| ამ ტიპის კოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.  |     |
| IV. მექანიკური შეცდომები და ტექსტური უზუსტობები                       | 2ქ  |
| ამ ტიპის კოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.  |     |

#### 5.

კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წელს სამეგრელოს სოფელ ჯგალში. 1920 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. საბჭოთა ხელისუფლებამ სალია დააპატიმრა, რამაც ევროპაში ხმაური გამოიწვია. ამის გამო მას და რამდენიმე სხვა ქართველ პატიმარს გერმანიაში წასვლის უფლება მისცეს. სალიამ ჯერ ბერლინის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ – პარიზის უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი. კალისტრატე სალია იყო ანტისაბჭოთა ფრონტის აქტიური წევრი. იგი გერმანულ ჯარში შექმნილ ქართულ ნაწილში ჩაეწერა, რადგან ფიქრობდა, რომ გერმანია სა-

ქართველოს გაათავისუფლებდა. სალია აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სამხედრო ტყვე-  
თა გამოხსნისა და ებრაელთა გადარჩენის პროცესში.

1948 წელს კალისტრატე მეუღლესთან ერთად დააფუძნა უურნალი „ბედი ქართლისა“. ეს  
უურნალი იყო პირველი ქართველოლოგიური გამოცემა ევროპაში. იგი 35 წლის განმავლობაში  
გამოდიოდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის დახმარებით. უურნალი,  
რომელმაც თავი მოუყარა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს, მნიშვნელოვან როლს ასრუ-  
ლებდა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. კალისტრატე სალია იყო ოსლოს უნივერსი-  
ტეტის საპატიო პროფესორი, არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრი. კალისტრატე სალია  
გარდაიცვალა 1986 წელს პარიზში. იგი დაასაფლავეს ლევილის სასაფლაოზე. 1988 წელს, სა-  
ლიას ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს.

## 6.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს ზემო იმერეთის სოფელ  
ცხრუევეთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო კო-  
ევის უნივერსიტეტში, საიდანაც იგი გარიცხეს, რადგან აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ  
საქმიანობაში. მიხაკო წერეთელი, რომელსაც საუკეთესო ევროპული განათლება პქონდა მიღე-  
ბული სორბონის, უნივერსიტეტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ  
მისიებს ხელმძღვანელობდა გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო მიხაკო წერეთელი იძულე-  
ბული გახდა, რომ სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო. ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ნაყოფი-  
ერად მოღვაწეობდა. იგი არჩეული იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეცნიერო საზო-  
გადოებების ნამდვილ წევრად. გარდა ამისა, იგი იყო „ქართველ ტრადიციონალისტთა კავში-  
რის“ დაფუძნების ერთ-ერთი მოთავე. მეორე მსოფლიო ომის წლებში მიხაკო წერეთლის ძალის-  
ხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან ასობით ქართველი განთავისუფლდა. სახელო-  
ვანმა მეცნიერმა და მამულიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგის გან-  
ვითარებაში. 1963 წელს პარიზში დაიბეჭდა „ვეფხისტებისანი“, რომელიც გამოსაცემად მოამზა-  
და მიხაკო წერეთელმა. 1975 წელს გამოვიდა პოემის მისეული პროზაული თარგმანი გერმანულ  
ენაზე. 1945 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა მიუნხენში, სადაც განაგრძობდა სამეცნიერო  
მოღვაწეობას. მიხაკო წერეთელი დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე.

## 7.

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წელს ახალციხეში. თამარაშვილმა სასულიერო განათ-  
ლება ეკროპის რამდენიმე ქვეყანაში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი თბილისის  
მიძინების ტაძრის მდვდლად გაამწესეს. თამარაშვილს, რომელმაც აქტიური მოღვაწეობით მი-  
იქცია უურადღება, ხელისუფლებამ სამშობლოში მდვდელმსახურების უფლება ჩამოართვა და  
თბილისიდან გააძევა. თამარაშვილი რომში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო სასულიერო აკა-  
დემიაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას დვოისმეტყველების დოქტორის წოდება მია-  
ნიჭეს და ამავე აკადემიის პროფესორი გახდა.

თამარაშვილი გულდასმით ეცნობოდა უცხოეთში დაცულ ისტორიულ მასალებს, რათა ობი-  
ეგტიურად გამოეკვლია საქართველოს წარსული. 1910 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ქართული ეპ-  
ლესია დასაბამიდან დღემდე“. ეს იყო ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც საზოგადოებას ჩვენი  
ქვეყნის ისტორიას აცნობდა. წიგნში თავმოყრილია ეკროპის არქივებში მოძიებული უაღრესად  
საყურადღებო წყაროები. ამის გამო მას დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული დირექტულება. თა-  
მარაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი მკალევარი, რომელმაც ეკროპელი მკითხველი საქართვე-  
ლოს ისტორიასა და კულტურას აზიარა. გარდა ამისა, მან შეძლო ცნობების მოძიება სულხან-  
საბა ორბელიანის ეკროპაში მოგზაურობის შესახებ. სამწუხაროდ, თამარაშვილის ცხოვრება  
ტრაგიკულად დასრულდა. 1911 წელს მან იტალიის ერთ ზღვისპირა ქალაქში დახრჩობისაგან  
იხსნა უცნობი ადამიანი, თვითონ კი დაიღუპა. ოთხმოცი წლის შემდეგ, 1978 წელს, მისი ნეშტი  
ქართულ მიწას მიაბარეს.

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წელს სოფელ ლიხაურში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1887 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა არაერთ არქეოლოგიურ ექსპედიციაში. მან დააარსა საისტო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც თოთხმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა გაჩანაგებისაგან ესენა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1921 წელს საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში წასულიყო და თან წაედო სამუზეუმი მეირფასეულობა. ოფიციალურად განძის მესაკუთრე მთავრობა იყო, თუმცა ეროვნულ საგანძურს ფაქტობრივად ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. მიუხედავად პრობლემებისა, ექვთიმემ ყველაფერი გააკეთა, რათა დირსეულად შეესრულებინა ეს უმნიშვნელოვანესი (ძალზე მნიშვნელოვანი) მისია. საფრანგეთში იგი განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1925 წელს იგი აზიის შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც შესაძლებელი გახდა ჩვენი საგანძურის სამშობლოში ჩამოტანა, ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა. მეცნიერი გარდაიცვალა 1953 წელს. საქართველოს ეკლესიამ 2002 წელს იგი წმინდანად შერაცხა.

**ტექსტის რედაქტირების შეფასების პროცესში ნათლად გამოხნდა,** რომ აბიტურიენტთა ნაწილი ტექსტის რედაქტირების ნაცვლად მექანიკურად ეძებს და ასწორებს ცალკეულ ფორმებს, რაც გაუმართლებელია, განსაკუთრებით, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომებისა და სტილისტური ხარვეზების გასწორებისას. ფორმა, რომელიც შეცდომაა ერთ შემთხვევაში, სხვა კონტექსტში შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ ამ დავალების შესრულებისას ძალზე მნიშვნელოვანია აბიტურიენტმა ყურადღებით წაიკითხოს ტექსტი და შეცდომების გასწორებისას კარგად გაიაზროს კონტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება რედაქტირებულის ნაცვლად ბუნდოვანი, ფაქტობრივი შეცდომებითა და ხარვეზებით სავსე ტექსტი მიიღოს.

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, ტექსტის რედაქტირების შეფასების კრიტერიუმებში ქულები სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს განაწილებული. ამდენად, ზემოთ მოცემული კრიტერიუმები მხოლოდ სანიმუშოდ გამოდგება და 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ტექსტის რედაქტირების კრიტერიუმებიცა და მათში ქულათა განაწილებაც შესაძლოა განსხვავებული იყოს.

## II. არგუმენტირებული ქსე (20 ქულა)

### 1.

არსებობს მოსაზრება, რომ გარემოს დაცვის მიზანი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ იქნება, მაშინ გარემო შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 2.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ეს ახალი ტიპის კოლონიზაციას წააგავს.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 3.

არსებობს მოსაზრება, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 4.

არსებობს მოსაზრება, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს, რადგან ახალგაზრდების დასაქმება სულ უფრო პრობლემური ხდება.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 5.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისათვის.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 6.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისათვის ან მხოლოდ ქალებისათვის არის მიზანშეწონილი.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 7.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტელევიზია.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### 8.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოყალიბებით თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტი გაამჟარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

**გაითვალისწინეთ:** თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადაღებით, ნამდე არ გასწორდება.

**არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები**

**I კრიტერიუმი**

<b>№</b>	<b>დავალების პირობის აღეყვატური გაგება და გააზრება</b>	<b>ქულები</b>
1.	დავალების პირობა <b>აღეყვატურადაა</b> გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ <b>არააღეყვატურადაა</b> გაგებული.	1
3.	დავალება <b>მთლიანობაში</b> არააღეყვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

**II კრიტერიუმი**

<b>№</b>	<b>ნაშრომის აგება</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომი <b>კარგადაა</b> ორგანიზებული, მონაცემები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
2.	ნაშრომში <b>დარღვეულია</b> ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული <b>არ არის.</b>	0

**III კრიტერიუმი**

<b>№</b>	<b>მსჯელობის დასაბუთება</b>	<b>ქულები</b>
1.	მსჯელობა <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული და <b>არგუმენტები გამყარებულია</b> შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში <b>დასაბუთებულია</b> , თუმცა <b>ცალკეულ</b> შემთხვევებში <b>არგუმენტაცია</b> არასაკმარისია და/ან <b>არ არის გამყარებული</b> შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა <b>ცალკეულ</b> შემთხვევებში <b>არგუმენტებსა</b> და მოხმობილ მაგალითებს <b>დამაჯერებლობა აქცია.</b>	3
3.	მსჯელობა <b>ზერგელებაა</b> დასაბუთებული და <b>არგუმენტები არადამაჯერებელია.</b>	2
4.	მსჯელობა <b>ძალზე ზოგადია</b> , <b>არგუმენტების და/ან მაგალითების მოხმობისას დაშვებულია</b> უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული <b>არ არის.</b>	0

#### IV. კრიტერიუმი

<b>№</b>	<b>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება და/ან დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება.	0

#### V. კრიტერიუმი

<b>№</b>	<b>ლექსიკა და სტილი</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

#### VI. კრიტერიუმი

<b>№</b>	<b>მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი</b>	<b>ქულები</b>
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

## VII. პრიტერიუმი

Nº	პუნქტუაცია	ჯულიები
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

არგუმენტირებული ესეს შესრულებას აბიტურიენტთა დიდი ნაწილი წარმატებით ართმევს თავს. ახალგაზრდებს აღელვებთ ჩვენი საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემები, მსჯელობები ამ საკითხებზე და საცუთარ დამოკიდებულებასაც თამამად აყალიბებენ. ამავე დროს, თვალში საცემია ის გარემოება, რომ, სამწუხაროდ, აბიტურიენტთა ნაწილს არ ესმის ისეთი ტერმინების მნიშვნელობა, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სიტყვის თავისუფლება, გლობალიზაცია, კოლონიზაცია და მისთ., რაც ზოგადი განათლების დაბალ დონეზე მიუთითებს. ამის გამო ამ ახალგაზრდებს უჭირთ არგუმენტირებული ესეს შესრულება. გარდა ამისა, ზოგიერთი აბიტურიენტი ყურადღებით არ კითხულობს დავალების პირობას, კარგად არ იაზრებს მას, ამიტომ მის მიერ დაწერილ ესეს არაფერი აქვს საერთო დავალების პირობასთან და მასში დასახელებული პრობლემა მხოლოდ სხვა კონტექსტშია ნახსენები. ბუნებრივია, ამგვარი დავალებები ან არ სწორდება, ან ძალიან დაბალ შეფასებას იმსახურებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ესეების დიდი ნაწილი ენობრივი თვალსაზრისით ჩამორჩება მის შინაარსობრივ მხარეს. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს უჭირთ მსჯელობა არა იმიტომ, რომ მათ სათანადო არგუმენტები არ გააჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ აზრის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება უჭირთ არასათანადო ენობრივი კომპეტენციის გამო.

### III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

#### დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია თინათინის გამეფების შემდეგ გამართული ნადიმი:

- I. ღღე ერთ გარდახდა, პურობა, სმაჭამა იყო, ხილობა,  
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.  
მეფემან თავი დაჰკიდა, შეექმნა დაღრეჯილობა.  
„ნებარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ – შექმნეს ამისი ცილობა...
- II. თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,  
თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.  
ავთანდილ თქვა: „სოგრატ, ვჰკითხოთ, გვითხრას, რადმცა შეგვეცილა?  
ვჰკადროთ რამე სალაფობო, რასათვისმცა გაგვიწილა?“
- III. ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,  
თვითო აივეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა,  
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინარითა,  
ვაზირი ლაფობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა:
- IV. „დაგიდრეჯია, მეფეო, ადარ გიცინის პირიო.  
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,  
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბომგარ-ხშირიო;  
ერლამცა მეფედ ნუ დასვი, თვესა რად უგდე ჭირიო?“
- V. რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოჰედნა,  
გაუკვირდა, „ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა“.  
„პარგა ჰქმენო“, დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა,  
„ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა“.
- VI. „ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:  
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,  
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,  
რომე მას ჩემგან ესწავლნენ სამამაცონი ზნენია.
- VII. ერთაი მივის ასული, ნაზარდი სათუთობითა:  
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, – ვარ საწუთროსა თმობითა, –  
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;  
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.
- VIII. ყმა მეფისა ბრძანებასა ლადი წყნარად მოისმენდა,  
თავ-მოდრეებით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,  
თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა შექსა ველთა მოაფენდა.  
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რად შეგრცხვენდა?“
- IX. კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგმეო?“  
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო,  
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაპრისხდე, არ გასწყრეო,  
არ გამხადო კადინერად, არ ამიკლო ამას ზეო“.
- X. უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“  
ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა:  
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბნარისა:  
ნუ მოჰკვე მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.
- XI. მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსნია;  
ნაძლევი დავდვათ, მოვასხენეთ მოწმად თქვენივე ქმანია;  
მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა უპუთქმანია.  
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“
- XII. მეფე ლადი და წყლიანი გამხიარულდა მეტად-რე,  
სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გზრდი, მით შევე-მკადრე;  
იცი, არ გიწყენ, გაზრდილო, მით შემომისე ზედად-რე.  
თუ არ გაწილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე“.

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მოლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

**(1) 1. რა აზრს გამოხატავს პირველი სტრიქონი?**

- ა) თინათინის გამეფების მეორე დღეს სამეფო ლაშქრის შეკრება ბრძანებს.
- ბ) თინათინის გამეფების მეორე დღეს სასახლეში საბოძვარი გასცეს.
- გ) თინათინის გამეფების მეორე დღეს გადაწყდა ნადირობაში შეჯიბრება გამართულიყო.
- დ) თინათინის გამეფების მეორე დღეს სასახლეში ნადიმი გაიმართა.

**(1) 2. როს გამო იკითხეს შეკრებილმა დიდებულებმა – „ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო“?**

- ა) სამეფოს დაუცველობის გამო.
- ბ) საუნჯის გაცემის გამო.
- გ) ქალის გამეფების გამო.
- დ) მეფის დაღონების გამო.

**(1) 3. რა შესთავაზა ავთანდილმა სოგრატს?**

- ა) გავეხუმროთ, ტახტის დათმობა რომ შევუმსუბუქოთო.
- ბ) გავეხუმროთ, რადგან საჭურჭლის გაცემა ადარდებსო.
- გ) გავეხუმროთ, ჭმუნვის მიზეზი რომ გაგვიმხილოსო.
- დ) გავეხუმროთ, რათა სხვებთან ერთად მოილხინოსო.

**(1) 4. რა მოიმოქმედეს ავთანდილმა და სოგრატმა, სანამ მეფეს გაესაუბრებოდნენ?**

- ა) სავსე ჭიქებით მეფისაკენ გაემართნენ და თინათინის სადღეგრძელო შესვეს.
- ბ) სავსე ჭიქებით მეფისაკენ გაემართნენ და მისი სადღეგრძელო შესვეს.
- გ) სავსე ჭიქებით მეფისაკენ გაემართნენ და მის წინაშე დაიჩოქეს.
- დ) სავსე ჭიქებით მეფისაკენ გაემართნენ და ასულის გამეფება მიუღოცეს.

**(1) 5. რა სახუმარო თემით დაიწყო საუბარი ვაზირმა?**

- ა) შენმა ასულმა ვერ გამოიჩინა სიბრძნე და მთელი სამეფო გააღარიბაო.
- ბ) შენმა ასულმა მთელი საგანძურო გასცა და ამით სამეფო დაამწუხაო.
- გ) შენმა ასულმა ვერ გამოიჩინა გულუხვობა და ჯობდა, არ გაგემეფებინაო.
- დ) შენმა ასულმა მთელი საგანძურო გასცა და ჯობდა, არ გაგემეფებინაო.

**(1) 6. როგორი რეაქცია პქონდა მეფეს ვაზირის ხუმრობაზე?**

- ა) შეშფოთდა და გაბრაზდა.
- ბ) გაუკვირდა და ჩაფიქრდა.
- გ) გაუხარდა და გაეცინა.
- დ) გაუკვირდა და გაეცინა.

**(1) 7. რომელ სტრიქონში იყენებს აგტორი მხატვრულ საშუალებას?**

- ა) „ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია“.
- ბ) „კაცი არ არის, სიოგანცა საბრძანებელი ჩვენია“.
- გ) „სიბერე მახლავს, დავლიერ სიყმაწვილისა დღენია“.
- დ) „ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

**(1) 8. რა ადარდებდა როსტევანს?**

- ა) რომ დაბერდა და იძულებული გახდა, ქალიშვილი გაემეფებინა.
- ბ) რომ დაბერდა და დიდი ხნის სიცოცხლე აღარ პქონდა დარჩენილი.
- გ) რომ დაბერდა და მისი დარი რაინდი სამეფოში აღარ რჩებოდა.
- დ) რომ დაბერდა და აღარ შეეძლო ძველებურად ენადირა.

- (1) 9. რა რეაქცია პქონდა ავთანდილს მეფის ნათქვამზე?
- ა) ატირდა.
  - ბ) გაუხარდა.
  - გ) გაოცდა.
  - დ) ჩაიცინა.
- (1) 10. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში: „...კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა“?
- ა) პიპერბოლას.
  - ბ) შედარებას.
  - გ) ეპითეტს.
  - დ) გაპიროვნებას.
- (1) 11. რატომ მოითხოვა ავთანდილმა მეფისაგან უსაფრთხოების პირობა?
- ა) თინათინს შეიძლებოდა სწეროდა ავთანდილის ქცევა.
  - ბ) მეფეს შეიძლებოდა სწეროდა ავთანდილის ნათქვამი.
  - გ) მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევა დალატად ჩაეთვლებოდა.
  - დ) ავთანდილს აკრძალული პქონდა მეფესთან შეპასუხება.
- (1) 12. ავთანდილის რომელ ფრაზას შეეძლო მეფის განრისხება?
- ა) „...მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო“.
  - ბ) „რაცა გბადრო, არ გეწყინოს, არ გაჰრისხდე, არ გასწყრეო“.
  - გ) „არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამას ზეო“.
  - დ) „ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა“.
- (1) 13. რა შესთავაზა მეფეს ავთანდილმა?
- ა) ქვეშევრდომებთან ერთად მოელხინა.
  - ბ) მისთვის თინათინი მიეთხოვებინა.
  - გ) საკუთარი ქალიშვილი გაემეფებინა.
  - დ) ერთმანეთს ნადირობაში შეჯიბრებოდნენ.
- (1) 14. როგორ შეხვდა მეფე ავთანდილის შეთავაზებას?
- ა) იუკადრისა გაზრდილის შეთავაზება.
  - ბ) უგულებელყო გაზრდილის შეთავაზება.
  - გ) სიხარულით დაეთანხმა გაზრდილს.
  - დ) ჯილდოს დაპირდა გაზრდილს.
- (1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ტექსტში?
- ა) მეფის სადარდებლის.
  - ბ) ავთანდილის ვაჟების.
  - გ) თინათინის გულუხვობის.
  - დ) სამშობლოს სიყვარულის.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკრადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უასეუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იძღვნად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედვებლობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერულებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

### გააანალიზეთ ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს აგტორი სამეფო სასახლეში შექმნილ სიტუაციას (ყურადღება მიაქციეთ პატრონულ ურთიერთობას).
- იმსჯელეთ როსტევანის მხატვრული სახის შესახებ.
- განსაზღვრეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს აგტორი და რა ფუნქცია ეკისრება მათ ამ ტექსტში.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 2

„ვეფხისტეაოსნის“ ავტორი მოგვითხოვთ თინათინისა და ავთანდილის შეხვედრის შესახებ:

- I. გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,  
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,  
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,  
მას თეორსა ეკლა ეკიდნეს გრძლად ომანი, არ უხშირონი.
- II. დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა,  
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა.  
მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა,  
პირის-პირ პირსა უჭვრებდა, სავსე ლხინითა დიდითა.
- III. ქალმან უბრძანა: „ზარი მლევს მე ამისისა თხრობისა;  
მწადდა არა-თქმა, რომლისა ლონე არა მაქს თმობისა,  
მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა,  
რად ვზი ქუმად და დაღრეჯით, ასრე მიხდილი ცნობისა?“
- IV. უმამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმადა ვით იქმნების?  
მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჭნების;  
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,  
თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმმის, ანუ რაცა გეგურნების“.
- V. ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად;  
იტყვის: „ოუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,

- მიკვირს, მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საჭევი რად,  
მაგრა გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჟირს რაცა ჭირად.
- VI.** გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაბეჭოცა,  
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?  
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა.  
შენ გენუკვი მონახვასა, კიდით კიდე მოჰლახო ცა.
- VII.** აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გატყვია,  
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,  
ვიცი, რომე გაუწყველდა თვალთათ ცრემლი გისეტყვია,  
შეუპყრისარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.
- VIII.** ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:  
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად,  
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;  
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.
- IX.** შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,  
რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე,  
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,  
მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგვერები, შემეყარე.
- X.** სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი;  
პპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულდად მოუბნარი;  
ვერა პპოვო დავიჯვერებ, იყო თუ-რე უჩინარი;  
კოკობი და უფურჭებნელი, ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი.
- XI.** ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,  
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,  
სრულად მოგსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანოქმარი,  
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.
- XII.** მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,  
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?  
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,  
ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა-, მე!“

### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა  
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი  
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების  
ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

- (1) 1. **რა დანიშნულება აქვს პირველ სტროფს?**
- ა) თინათინის განსაკუთრებული გონიერების წარმოჩენა.
  - ბ) თინათინის განსაცვიფრებელი სიუხვის წარმოჩენა.
  - გ) თინათინის სულიერი სიმტკიცის წარმოჩენა.
  - დ) თინათინის გარეგნული სილამაზის წარმოჩენა.
- (1) 2. **რატომ იყო ავთანდილი „სავსე ლენითა დიდითა“?**
- ა) მიჯნურობის გამედავნების საშუალება მიეცა.
  - ბ) მიჯნურთან პირისპირ დარჩენა ედირსა.
  - გ) სათაყვანებელი მიჯნურის გამეფებას ედირსა.
  - დ) სიყვარულის დამტკიცების საშუალება მიეცა.
- (1) 3. **რა აზრს გამოხატავს სტრიქონი:** „მწადდა არა-თქმა, რომლისა ლონე არა მაქვს თმობისა“?
- ა) ვცდილობდი, არ მეთქვა ის, რისი ატანაც ქალს არ შეეძლო.
  - ბ) ვცდილობდი, მეთქვა ის, რისი თქმაც, ვიცოდი, გულს მატებნდა.
  - გ) ვცდილობდი, არ მეთქვა ის, რისი უთქმელობაც ადარ შემეძლო.
  - დ) ვცდილობდი, მეთქვა ის, რისი თქმაც ყველასათვის აუცილებელი იყო.

- (1) 4. რა არის ავთანდილისათვის „საზარო“?
- ა) თინათინის მწუხარება.
  - ბ) თინათინის დავალება.
  - გ) თინათინის მიუწვდომლობა.
  - დ) თინათინის განრისხება.
- (1) 5. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, დაცაჭნების“?
- ა) მეტაფორა.
  - ბ) ირონია.
  - გ) ეპითეტი.
  - დ) სარკაზმი.
- (1) 6. რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს სტრიქონში: „აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების“?
- ა) საკუთარი თავი მადარდებს, ამიტომ განშორებას ვერ გადავიტან.
  - ბ) ფიქრის უნარი აღარა მაქს, ამიტომ ყველაფერს შევასრულებ.
  - გ) ფიქრის უნარი აღარა მაქს, რადგან საკუთარი თავი მადარდებს.
  - დ) ყველაფერს უსიტყვოდ შევასრულებ, თუმც განშორებას ვერ გადავიტან.
- (1) 7. როგორ ესაუბრებოდა თინათინი ავთანდილს? (უპასუხეთ ძებული ხტროფის მიხედვით).
- ა) ირონიულად.
  - ბ) მომხიბვლელად.
  - გ) მკაცრად.
  - დ) მრისხანელ.
- (1) 8. რას გულისხმობს თინათინი სიტყვებში: „...თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად, მიკვირს, მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვი რად“?
- ა) მართალია, შორს იჯერდი ჩემგან თაგს, მაგრამ მაინც მიგხვდი, რომ გიყვარდი.
  - ბ) აქამდე შორს მეჭირა შენგან თავი, მაგრამ უკვე შეგიძლია ხშირად მნახო ხოლმე.
  - გ) აქამდე შორს მეჭირა შენგან თავი, მაგრამ ახლა წამიერად აგისრულდა ნატვრა.
  - დ) ყველა მეუბნებოდა, რომ გიყვარდი, ახლა კი მეც დავიჯერე შენი სიყვარული.
- (1) 9. რა აღმოჩნდა თინათინის დაღონების მიზეზი?
- ა) არაბეთის სპასპეტის გულგრილობა.
  - ბ) უცნობი რაინდის გაუჩინარება.
  - გ) სახელმწიფოს მართვის სირთულე.
  - დ) მოხუცი მამის დაუძლეურება.
- (1) 10. VI სტროფის რომელი სტრიქონი გამოხატავს თინათინის თხოვნას?
- ა) I სტრიქონი.
  - ბ) II სტრიქონი.
  - გ) III სტრიქონი.
  - დ) IV სტრიქონი.
- (1) 11. რის მიუხედავად იცის თინათინმა ავთანდილის სიყვარულის შესახებ?
- ა) იმის მიუხედავად, რომ პირისპირ ამის შესახებ არ უსაუბრიათ.
  - ბ) იმის მიუხედავად, რომ მისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.
  - გ) იმის მიუხედავად, რომ მანამდე ერთმანეთს საერთოდ არ შეხვედრიან.
  - დ) იმის მიუხედავად, რომ საკუთარ გრძნობებს ხელმწიფებს უმაღლავდნენ.
- (1) 12. რატომ მიაჩნია თინათინს, რომ ავთანდილს ორმაგად ევალება მისი სამსახური?
- ა) ის თან საუკეთესო რაინდია და თანაც როსტევანის გაზრდილია.
  - ბ) ის თან მისი მიჯნურია და თანაც ჯარის სარდალია.
  - გ) ის თან მისი მიჯნურია და თანაც საუკეთესო მეგობარია.
  - დ) ის თან მისი მიჯნურია და თანაც საუკეთესო რაინდია.

(1) 13. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მეტაფორას?

- ა) „შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამჟარე“.
- ბ) „წარი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“.
- გ) „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“.
- დ) „სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი“.

(1) 14. თინათინის რა თვისება ჩანს მოცემულ ტექსტში?

- ა) ამპარტავნობა.
- ბ) სიმამაცე.
- გ) სიუხვე.
- დ) კეთილგონიერება.

(1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?

- ა) ავთანდილის ვაჟკაცობის.
- ბ) მიჯნურის ერთგულების.
- გ) სამშობლოს სიყვარულის.
- დ) ფიცის გაუტეხლობის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არააღებული აღმოჩენისადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხევაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს** და არ იყოს კითხვებზე ცალკალპე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). **გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შევი სამუშაოსათვის რეკულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას მიჯნურთა პირისპირ შეხვედრის ეპიზოდში (ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟთა ურთიერთობის თავისებურებებს).
- იმსჯელეთ თინათინის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მის გარეგნობასა და ქცევის მოტივაციას).
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი და რა ფუნქცია ეკისრება მათ ამ ტექსტში.

**თქვენი თვალსაზრისი დასაბუთეთ!**

### დავალება № 3

- ურადღებით წაიკითხეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩა“ (შემოქლებული ვარიანტი):
- I. გოგჩა, ტბა ვრცელი, სმოვანებით ზღვისა მბაბავი,  
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით დელავს მრისხანედ;  
ზოგჯერ, კით ბროლი გულუბრყვილო, წმინდა, უძრავი,  
თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.
- II. მაგრამ ნაქცევნი, მისთა კიდევთ ძაძით მმოსველნი,  
საგლოვო ნიშნი შენობათა პვლავ ეროვანთა,  
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი  
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა.
- III. ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ...  
უდაბურება, მჩუმარება, არარაობა.  
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,  
და უნებლიერ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:
- IV. აპა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.  
აპა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აპა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;  
მხოლოდ აწმუოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!..
- V. დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,  
ხედავს თვის ქავშე დამხოქველად ოდენ პირუტყვთა,  
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელი  
მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!..
- VI. ერთგზის ესეცა ქანი შავნი, დღეს დახავსილნი,  
ურთიერთთანა კავშირობით აღმაღლებულან;  
მაუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,  
ოდესმე მათში განცხომილან და განშვებულან.
- VII. აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,  
წყალობათა და რისხეის ფრქვევით მმართველი ერთა;  
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;  
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა.
- VIII. რავდენ ბანოვანო შვენებანი, ახლად მშლილობნი  
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;  
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი და გიშრის მწყობრნი  
რავდენგზის ტურფად გარდუდია სარკესა წყლისას.
- IX. რავდენგზის მთვარეს, თავმომწონეს, მათთან შთახედვით  
უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლელვილა!  
მაგრამ რა?! დროსა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარმწედით,  
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

#### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა  
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი  
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების  
ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

- (1) 1. როგორ გამოიყურება გოგჩა მაშინ, როდესაც წყნარია?
- ა) ის ამწვანებულ მოქბსა და ლურჯ ზეცაზე მშვენიერია.  
ბ) ის ამწვანებულ მოქბსა და ლურჯ ზეცას ირეკლავს.  
გ) ის ვრცელია და „ხმოვანებით ზღვისა მბაბავი“.  
დ) ის „ოდესმე ზვირთთა აღქაფებით დელავს მრისხანედ“.

- (1) 2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული I სტროფის III სტრიქონში?
- ა) ალეგორია.
  - ბ) გროტესკი.
  - გ) შედარება.
  - დ) ჰიპერბოლა.
- (1) 3. II სტროფის მიხედვით, რა „მოსავს“ გოგჩის ნაპირებს ძაბებით?
- ა) აყვავებული, ვრცელი ქალაქები.
  - ბ) დიდებულ ნაგებობათა ნანგრევები.
  - გ) მგლოვიარე, დიდებული ქალაქები.
  - დ) შავად შემოსილი ნაგებობები.
- (1) 4. III სტროფის მიხედვით, რა აერთიანებთ გოგჩის ტბის შემოგარენსა და მის მნახველებს?
- ა) თავმოწონება.
  - ბ) იდუმალება.
  - გ) მშვენიერება.
  - დ) მწუხარება.
- (1) 5. IV სტროფის მიხედვით, როგორია ყველა დიდებული ქალაქის ხედრი?
- ა) მათ არასოდეს დაივიწყება.
  - ბ) მათ განადგურება ელის.
  - გ) მათ განახლება ელის.
  - დ) მათ ვეღარავინ მიაგნებს.
- (1) 6. IV სტროფის მიხედვით, რას უწინასწარმეტყველებს ავტორი თანამედროვეებს?
- ა) გოგჩის ნაპირებზე გაშენებული ქალაქების მსგავს მომავალს.
  - ბ) უსახლკაროთა მსგავს ცხოვრებას დიდებული პალატების ნანგრევებში.
  - გ) უძლეველ მეფეთა მსგავს ცხოვრებას დიდებულ პალატებში.
  - დ) ჩინებული ქალაქების მსგავს ბედნიერ და მშვიდ მომავალს.
- (1) 7. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!“
- ა) ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ აწმყოთ ცხოვრობს, უგუნურია.
  - ბ) ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ მომავლით ცხოვრობს, უგუნურია.
  - გ) ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ოცნებობს, უგუნურია.
  - დ) ის ადამიანი, რომელიც წარსულზე ფიქრობს, უგუნურია.
- (1) 8. V სტროფის მიხედვით, კინ აფარებს თავს ხანდახან ტბის ნაპირებზე არსებულ ნანგრევებს?
- ა) ბანოვანი.
  - ბ) ვაჭარი.
  - გ) მოძღვანელი.
  - დ) უსახლკარო.
- (1) 9. VI სტროფის მიხედვით, როგორ ახასიათებს ავტორი ამ ნანგრევების ძველ მფლობელებს?
- ა) როგორც განცხრომით ცხოვრებაზე მეოცნებების.
  - ბ) როგორც კმაყოფილებასა და განცხრომაში მცხოვრებით.
  - გ) როგორც „ურთიერთთანა კავშირობით“ ამაღლებულების.
  - დ) როგორც ღირსებს – ოდესამე მიაღწიონ ბედნიერებას.
- (1) 10. კის გულისხმობს ავტორი სიტყვაში „ძალი“?
- ა) ბანოვანის.
  - ბ) ერს.
  - გ) მეფეს.
  - დ) მოქალაქეს.
- (1) 11. VII სტროფის მიხედვით, როგორ ახასიათებს ავტორი ადრინდელ მეფეებს?
- ა) როგორც გულუხვ და მრისხანე მმართველებს.
  - ბ) როგორც მტრიან და უგულო მმართველებს.
  - გ) როგორც შურიან და ხარბ მმართველებს.
  - დ) როგორც ძლიერ და ამაყ მმართველებს.

(1) 12. რა გრძნობის შესახებ საუბრობს ავტორი VII სტროფში?

- ა) მეგობრობის.
- ბ) სასოწარკვეთილების.
- გ) სიყვარულის.
- დ) შიშის.

(1) 13. როგორ ახასიათებს ავტორი დროს ლექსის IX სტროფში?

- ა) როგორც მარადიულობის გამომხატველს.
- ბ) როგორც მომავლის იმედს.
- გ) როგორც წარსულის მატიანეს.
- დ) როგორც ყოველივეს მომსპობს.

(1) 14. რის შესახებ არ საუბრობს ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ ლექსში?

- ა) ბანოვანითა სილამაზის.
- ბ) დროის ულმობლობის.
- გ) მეფეთა ძლიერების.
- დ) სამშობლოს სიყვარულის.

(1) 15. რომელი სტრიქონები გამოხატავს ყველაზე უკეთ ამ ნაწარმოების უმთავრეს აზრს?

- ა) „გოგჩა, ტბა ვრცელი, სმოვანებით ზღვისა მბაძავი,  
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით დელავს მრისხანედ“.
- ბ) „აკა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;  
მხოლოდ აწმუოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!“
- გ) „აქაც უდრდნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;  
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა“.
- დ) „რავდენგზის მთვარეს, თავმომწონეს, მათთან შთახედვით  
უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლებილა!“

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

#### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უასეუხებს, მოცემული ტექსტის პურიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღვარგურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) სელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადაღებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.
  - იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
  - ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ლექსის მთავარი სათქმელის მიმართ.
- თქვენი თვალსაზრისი დასაბუთეთ!**

## დავალება № 4

**ყურადღებით წაიკითხეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „სადამო გამოსალმებისა“:**

- I. მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ქამს კავკასია, თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა! ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი, პსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ეინულ-გვირგვინით შემკულნი!
- II. მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჲსწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარდგნითა ემუქრებიან. გაზაფხულისა ველითა ტყე, შემოსილი სიმწვანით, მოებისა კალთებს შეამკიბს სატკბო სუნნელთა მოფენით. წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს პსცვივიან, თერგი პრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!
- III. შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა, მიმზაცსა ეოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა, რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!
- IV. მიდისხარ, სატრფოვ, მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა. არდა ამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა, წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.
- V. ეტლი პრბის, სატრფო მშორდების... თანა პსდევს ჩემი მას სული, ვმზერ... შორს ძლივსდა პსხანს... აღარ პსხანს... რადასა ვუმზერ შმაგქმნილი? სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი, და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტევე უნებლიო...
- VI. მშვიდობით! ვინცა დამატებე სიცოცხლის ნეტარებითა, აწ ვისოვის გული მიკვნების, სული პწუს განშორებითა. ვის ხილვა არდა შემოსავს სიხარულისა ნათლითა, არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა!
- VII. მაგრამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად, რომ შენც განმშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად? წახველ, წარმტაცე ეოველი საამებელი სულისა, და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაბარგულისა?
- VIII. ან მე უგურურს, რად მრწამდა ბედისა დაუსრულება? აწ დავპშთი, მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნე პშორდეს მშვიდობა! არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა, პსჯობს ენა პსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულწყლულსა?
- IX. შედამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის? დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის. მხოლოდ პსხანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის, და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაკნათის! წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან, თერგი პრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 1. რა შეიძლება იყოს მოხუცი მამისა და მთების შედარების საფუძველი?
- ა) მოხუცი მამა და კავკასიონის მთები ერთნაირად ძვირფასია ავტორისათვის.
  - ბ) მოხუცი მამა ისევე გაათეთრა სიბერებმ, როგორც მთები – ოოვლმა.
  - გ) მოხუცი მამა ისევე სანდაზმულია, როგორც ბებერი მთები.
  - დ) მოხუცი მამაცა და კავკასიონის მთებიც დრომ გაათეთრა.
- (1) 2. როგორ აღწერს ავტორი კავკასიონის კლდეებს ლექსის II სტროფში?
- ა) კლდეები, მრისხანე თერგის შხეფებით დასველებული, ალმასებივით ბრწყინავს.
  - ბ) კლდეები მრისხანენი არიან და ქვეყანას წარღვნით ემუქრებიან.
  - გ) კლდეებმა მრისხანება დაივიწყეს და მწვანედ აუბიბინდათ კალთები.
  - დ) კლდეებს მრისხანე და შავი დრუბლები შემოხვევია გარს.
- (1) 3. II სტროფის რომელ სტრიქონშია გამოყენებული შედარება?
- ა) III სტრიქონში.
  - ბ) IV სტრიქონში.
  - გ) V სტრიქონში.
  - დ) VI სტრიქონში.
- (1) 4. III სტროფის მიხედვით, რას წარმოადგენს ლირიკული გმირისათვის სიყვარული?
- ა) ამქეუნიური სიკეთით დამატებობელ განცდას.
  - ბ) სამშობლოს მონატრების მტკივნეულ გრძნობას.
  - გ) წუთისოფლის ამაოებაზე ამაღლების საშუალებას.
  - დ) წუხილისა და ტანჯვის მუდმივ მიზეზს.
- (1) 5. III სტროფის მიხედვით, რა შეიძლება აკავშირებდეს ადამიანს ზეციურ ჰარმონიასთან?
- ა) აღმაფრენა.
  - ბ) რწმენა.
  - გ) სიკეთე.
  - დ) სიყვარული.
- (1) 6. რის სიმბოლოს წარმოადგენს „მიმსრბოლი ეტლი“?
- ა) მეგობრის გამგზავრების.
  - ბ) მეგობრის დაღუპვის.
  - გ) სიყვარულის დაბრუნების.
  - დ) სიყვარულის დაკარგვის.
- (1) 7. რას ჰპირდება ლირიკული გმირი მიჯნურს IV სტროფში?
- ა) აღარასოდეს დაივიწყებს მის მშვენიერ თვალებს.
  - ბ) მთელი სიცოცხლე მასზე იზრუნებს.
  - გ) მისი სიცოცხლე შრომაში ჩაივლის.
  - დ) სიცოცხლის ბოლომდე მისთვის იდოვცებს.
- (1) 8. რა მიზნის მიღწევა სურს ავტორს სტრიქონით: „ვმზერ... შორს ძლიერსა ჰსჩანს... ადარ ჰსჩანს... რაღასა ვუმზერ შმაგქმილი?“
- ა) შექმნას მეგობართან გამოთხოვების სევდიანი სურათი.
  - ბ) შექმნას სამშობლოსთან განშორების დინამიკური სურათი.
  - გ) შექმნას სატრფოსთან განშორების დინამიკური სურათი.
  - დ) შექმნას სიჭაბუკესთან გამოთხოვების ტრაგიკული სურათი.
- (1) 9. ვის მიმართავს ლირიკული გმირი VI სტროფში?
- ა) სამშობლოს.
  - ბ) სატრფოს.
  - გ) უფალს.
  - დ) ღვთისმშობელს.

- (1) 10. **ლირიკული გმირის რა განცდას გამოხატავს სტრიქონი:** „და ვინ განმიღოს აწე კარი ბე-  
დისა დაკარგულისა?“
- ა) აღშფოთებას.  
ბ) გაოგნებას.  
გ) მრისხანებას.  
დ) სასოწარკვეთას.
- (1) 11. **რა იგულისხმება VIII სტროფის I სტრიქონში?**
- ა) უგუნურებაა გჯეროდეს, რომ ბედი აუცილებლად გიმუხთლებს.  
ბ) უგუნურებაა გჯეროდეს, რომ ბედნიერება დაუხსრულებელია.  
გ) უგუნურებაა გჯეროდეს, რომ სიყვარული არ არსებობს.  
დ) უგუნურებაა გჯეროდეს, რომ სიყვარული ნებარებაა.
- (1) 12. **რით არის გამოწვეული მწუხარება, „არ აქვს ნუგეში რომელსა?“?**
- ა) მეგობრის დაკარგვით.  
ბ) რწმენის დაკარგვით.  
გ) სამშობლოს დაკარგვით.  
დ) სიყვარულის დაკარგვით.
- (1) 13. **რა ქმნის კონტრასტს IX სტროფში?**
- ა) გარინდებული არე და თერგის დრიალი.  
ბ) გარინდებული არე და მდუმარე მთები.  
გ) ვარსკვლავის ნათება და მყინვარის სითეორე.  
დ) თერგის დრიალი და კლდეების უქო.
- (1) 14. **რის შესახებ არ საუბრობს გრიგოლ ორბელიანი ამ ლექსში?**
- ა) ბუნების სილამაზის.  
ბ) სამშობლოს სიყვარულის.  
გ) სიყვარულის წარმავლობის.  
დ) სულიერი ამაღლების.
- (1) 15. **რა არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?**
- ა) ბუნების მარადიულობის ფონზე ადამიანური ტკიფილი ლირიკული გმირისათვის უმნიშვ-  
ნელოდ გამოიყერება.  
ბ) ზნეობრივად არასრულფასოვანია ის ადამიანი, რომელიც სიყვარულის მარადიულობას  
არაფრად მიიჩნევს.  
გ) მხოლოდ მშვენიერი და მარადიული ბუნება ანიჭებს ადამიანს სულიერ სიმშვიდეს.  
დ) სიყვარულია ამქვეყნად ის ერთადერთი გრძნობა, რომელიც ადამიანს სულიერად აღამაღ-  
ლებს.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარეგნული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკედებები გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშრუგვარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ლექსის მთავარი სათქმელის მიმართ.  
**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 5

უურადღებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრი მტკვრის პირზე“:

- I. წარვედ წერილის პირს სევდიანი ფიქრო გასართველად,  
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;  
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,  
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;  
ნებად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
- II. იდაყვ-დაყრდნობილ უურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა  
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!  
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი..
- III. არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო უუჭი და მხოლოდა ამაოება?..  
მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყალი აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიედოს ერთხელ ნატვრით, ისი ექმაროს?
- IV. თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს  
არც ვინდა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,  
რომელთ ხელთ ეპრასო უმაღლესი სოფლის დიდება,

შფოთვენ და დრტვინგენ და იტყვიან: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

- V. თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული? მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული; მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს არ მისცეს წყვევით თვის სახელი შთამომავლობას!.. მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოედოს, მაშინ ვიდამ სოქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..
- VI. მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილი სოფლისა, უნდა კიდევა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 1. რა მიზნით გაემართა ლირიკული გმირი მდინარის ნაპირისაკენ?
  - ა) ბუნების სილამაზის შესაგრძნობად.
  - ბ) „ლბილს მდელოზედ“ დასასვენებლად.
  - გ) ნაცნობი ადგილების მოსანახულებლად.
  - დ) სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად.
- (1) 2. I სტროფის რომელი სტრიქონი გამოხატავს აზრს, რომ ბუნება ლირიკული გმირის გუნება-განწყობილების თანაზიარია?
  - ა) I სტრიქონი.
  - ბ) II სტრიქონი.
  - გ) III სტრიქონი.
  - დ) IV სტრიქონი.
- (1) 3. II სტროფის მიხედვით, საით გაურბის მზერა ლირიკულ გმირს?
  - ა) ვარსკვლავებისაკენ.
  - ბ) ზეცისაკენ.
  - გ) მტკვრისაკენ.
  - დ) ჰორიზონტისაკენ.
- (1) 4. რომელ სტრიქონშია გამოყენებული გაპიროვნება?
  - ა) „აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად“.
  - ბ) „აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით“.
  - გ) „ვინ იცის, მტკვრო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“
  - დ) „თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?“
- (1) 5. რა არის II სტროფის მთავარი სათქმელი?
  - ა) მტკვარი ბევრის მნახველია, თუმცა ადამიანს მისი არ ესმის.
  - ბ) მტკვარი „ცის დასავალის“ შემდეგაც აგრძელებს თავის გზას.
  - გ) მტკვრის ბუტბუტი სასიამოვნო მოსახმენია და მისი გაგება იოლია.
  - დ) მტკვრის ზეირთებში კრთის მისი ამწვანებული ნაპირები და „ცისა კამარა“.
- (1) 6. ავტორის აზრით, როგორია ადამიანთა არსებობა? (უპასუხეთ III სტროფის მიხედვით).
  - ა) ოცნებასა და ნატვრას მოკლებული.
  - ბ) საწუთოსთან ბრძოლით აღსავსე.
  - გ) დირებული და გონიერებით აღსავსე.
  - დ) ქოველგვარ აზრს მოკლებული.

- (1) 7. **რომელი ფრაზა აზუსტებს ავტორის აზრს:** „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..“
- ა) „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებს, ვისთვის რას იტყვი?“
  - ბ) „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“
  - გ) „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“
  - დ) „თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?“
- (1) 8. **რას მიემართება სიტყვები:** „საწყაული აღუვსებელი?“
- ა) იმედს.
  - ბ) მომავალს.
  - გ) ტანჯვას.
  - დ) ცხოვრებას.
- (1) 9. **რატომ იწყებს ავტორი IV სტროფში მეფეების შესახებ საუბარს?** (*უბასუხეთ III ხტროვში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით*)
- ა) მეფეები ყველაზე ნაკლებად არიან შეპყრობილნი კეთილი სურვილებით.
  - ბ) მეფეები ყველაზე უფრო არიან შეპყრობილნი ბოროტი სურვილებით.
  - გ) მეფეებს ყველაზე დიდი ძალაუფლება უპყრიათ ხელთ.
  - დ) მეფეებს ყველაზე მეტი სურვილი დარჩათ აუსრულებელი.
- (1) 10. **რის გამო „შფოთვენ და დრტვინვენ“ მეფეები?**
- ა) მარადიული სიცოცხლის მოპოვების გამო.
  - ბ) ცხოვრების სისასტიკის გაცნობიერების გამო.
  - გ) ძალაუფლების გაფართოების სურვილის გამო.
  - დ) წუთისოფლის გარდაუგალი წარმავლობის გამო.
- (1) 11. **V სტროფის მიხედვით, რატომ კარგავს აზრს „კეთილი მეფის“ მოღვაწეობა?**
- ა) მეფეებს მაინც წყევლით მოიგონებენ.
  - ბ) მეფეებს შთამომავლობა არ დააფასებს.
  - გ) სამყარო ისედაც დასაღუპავადაა განწირული.
  - დ) სამყაროში ადამიანი ვერაფერს შეცვლის.
- (1) 12. **VI სტროფის მიხედვით, ვინ არის ადამიანი?**
- ა) ბუნების მოამაგე.
  - ბ) სამშობლოს ერთგული.
  - გ) დვოის მორჩილი.
  - დ) წუთისოფლის შვილი.
- (1) 13. **რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „უნდა კიდევა მიგდიოთ მას, გვესმას მშობლისა?“
- ა) ადამიანმა მეფეთა კანონებით უნდა იცხოვროს.
  - ბ) ადამიანმა სასუფევლის კანონებით უნდა იცხოვროს.
  - გ) ადამიანმა წინაპართა კანონებით უნდა იცხოვროს.
  - დ) ადამიანმა წუთისოფლის კანონებით უნდა იცხოვროს.
- (1) 14. **რის შესახებ არ საუბრობს ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ლექსში?**
- ა) ადამიანის დანიშნულების.
  - ბ) მეფეთა დვაწლის.
  - გ) სამშობლოს სიყვარულის.
  - დ) ცხოვრების ამაოების.
- (1) 15. **რა არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?**
- ა) წუთისოფლის ამაოება ადამიანს აიძულებს, „რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“.
  - ბ) წუთისოფლის ამაოება ადამიანს მუყაით და აქტიურ ცხოვრებას აიძულებს.
  - გ) წუთისოფლის ამაოების გამო ადამიანმა ამქვეყნიურობაზე აღარ უნდა იზრუნოს.
  - დ) წუთისოფლის ამაოების მიუხედავად, ადამიანმა უნდა იზრუნოს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკრადლებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწილი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პირიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღლიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარეგნული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკედებები გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ლექსის მთავარი სათქმელის მიმართ.  
**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 6

უკრადლებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ვპოვე ტაბარი“:

- I. ვპოვე ტაბარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
მუნ ენოო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.  
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი  
და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი!
- II. მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა დელვით,  
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;  
გულსა, მოკლულსა კაცო სიავით და ბედის ბრუნვით,  
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!
- III. მუნ გუნდრუების წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,  
რომლის საკურთხევად დავხდებდი მე ჩემს გულსა და სულს  
ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს  
მეგონა, ვჰედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!
- IV. მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?  
განპერა ტაბარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;  
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

- V.** მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!  
განა თუ დრომან დაკვრა თვისი მას ავი თვალი! –  
არა, მოსმაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!  
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!
- VI.** კერდა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!  
კერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკუდმართმა ნუგეშის კარი  
და დაგალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი!

### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად უურადდებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაბები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

- (1) 1. **როგორი სამყაროა აღწერილი ლექსის I სტროფში?**
- ა) არარეალური.
  - ბ) გროტესკული.
  - გ) რეალური.
  - დ) ტრაგიკული.
- (1) 2. **რა იგულისხმება II სტროფის I სტრიქონში?**
- ა) ლირიკულ გმირს საწუთოს ღელვა ვერაფერს აკლებს.
  - ბ) ლირიკული გმირი გაახარა საწუთოს ღელვამ.
  - გ) ლირიკული გმირი დადალა საწუთოს შფოთვამ.
  - დ) ლირიკული გმირი სულიერ სიმძვიდეს ეძებს.
- (1) 3. **II სტროფის მიხედვით, რა მიზნით მივიდა ლირიკული გმირი ტაძარში?**
- ა) კაცთა სიავის დასამარცხებლად.
  - ბ) სულიერი სიმძვიდის მოსაპოვებლად.
  - გ) ციური სხივის სახილვებლად.
  - დ) ხეტიალის შემდეგ დასასვენებლად.
- (1) 4. **II სტროფის მიხედვით, კონკრეტულად რის გამოა გულმოკლული ლირიკული გმირი?**
- ა) ადამიანთა ბოროტებისა და ბედის ცვალებადობის გამო.
  - ბ) კაცთა სიავისა და ბედისადმი დაუმორჩილებლობის გამო.
  - გ) მუდმივი ძიებისა და ბედის ბრუნვის გამო.
  - დ) წრფელი ზრახებისა და ტრაგიკული ბედის გამო.
- (1) 5. **რა განცდა ეუფლება ლირიკულ გმირს წმინდა სიყვარულის უფლისათვის შეწირვის შემდეგ? (უპასუხეთ III სტროფის მიხედვით).**
- ა) სრული სიმარტოვის.
  - ბ) უსაზღვრო ბედნიერების.
  - გ) დრმა მწუხარების.
  - დ) ხორციელი სიამოგნების.
- (1) 6. **III სტროფის მიხედვით, როგორ აღიქვამდა ლირიკული გმირი უდაბნოში მდგარ ტაძარს?**
- ა) როგორც აბსურდულ სამყაროს.
  - ბ) როგორც გროტესკულ სამყაროს.
  - გ) როგორც მიუღებელ სამყაროს.
  - დ) როგორც ღვთაებრივ სამყაროს.
- (1) 7. **ლექსში ვკითხულობთ: „მეგონა, ვჭედავ...“. რა ეგონა ლირიკულ გმირს?**
- ა) მას ეგონა, რომ დედამიწაზე ღვთაებრივი სამყაროს ნაწილი იპოვა.
  - ბ) მას ეგონა, რომ სასუფეველი დედამიწაზე არ შეიძლება არსებობდეს.
  - გ) მას ეგონა, რომ წარმოსახვა რეალობაზე ბევრად უფრო ღირებულია.
  - დ) მას ეგონა, რომ ხედავს ტაძარს, რომლის მოძებნაც შეუძლებელია.

- (1) 8. წუთისოფლის რა თვისებას უსვამს ხაზს ავტორი ლექსის IV სტროფში?
- ა) მომხიბვლელ მრავალფეროვნებას.
  - ბ) მოსაწყენ ერთფეროვნებას.
  - გ) ტრაგიკულ ცვალებადობას.
  - დ) წარმტაც მარადიულობას.
- (1) 9. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: „უდაბნო ჩემდა მდუმარებს“?
- ა) გაპიროვნება.
  - ბ) ეპითეტი.
  - გ) შედარება.
  - დ) პიპერბოლა.
- (1) 10. V სტროფის მიხედვით, რის გამო არ შეიძლებოდა გამჭრალიყო ტაძარი?
- ა) ბოროტი სულის.
  - ბ) დროის მსვლელობის.
  - გ) ლამპრის ჩაქრობის.
  - დ) წუთისოფლის მუხლების.
- (1) 11. VI სტროფის მიხედვით, რას არ ძალუბს ოცნების ტაძრის ხელახლა აგება?
- ა) ლამპარს.
  - ბ) რწმენას.
  - გ) საწუთოოს.
  - დ) სიყვარულს.
- (1) 12. რას გულისხმობს ავტორი სტრიქონში: „და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი!“?
- ა) ლირიკული გმირი თავს დამარცხებულად გრძნობს.
  - ბ) ლირიკული გმირი თავს დამცირებულად გრძნობს.
  - გ) ლირიკული გმირი თავს მარტოსულად გრძნობს.
  - დ) ლირიკული გმირი თავს მოტყუებულად გრძნობს.
- (1) 13. ობლობისა და მიუსაფრობის გარდა, ლირიკული გმირის კიდევ რა სულიერი მდგომარეობის შესახებ საუბრობს ავტორი VI სტროფში?
- ა) აღშფოთების.
  - ბ) გულგრილობის.
  - გ) უიმედობის.
  - დ) შიშის.
- (1) 14. რის შესახებ არ საუბრობს ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ლექსში?
- ა) სამშობლოს სიყვარულის.
  - ბ) საწუთოოს ცვალებადობის.
  - გ) წმინდა სიყვარულის.
  - დ) წუთისოფლის ულმობლობის.
- (1) 15. რა არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?
- ა) ადამიანი ვერ აღწევს მიწიერ დიდებას.
  - ბ) ადამიანი ვერ აღწევს, რასაც ესწრაფვის.
  - გ) ადამიანი ვერ კმაყოფილდება მიღწეული წარმატებით.
  - დ) ადამიანი ვერ მოიპოვებს სახალხო აღიარებას.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკრადლებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწილი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარეგული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკედებები გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.
  - იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
  - ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ლექსის მთავარი სათქმელის მიმართ.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 7

უკრადლებით წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსი „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“:

- I. ვინ დამიბედა გზები პოეტის,  
ვინ გამამზადა საბედისწეროდ!  
ნუთუ ამქვეყნად მისოვის მოვედი,  
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო!
- II. ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა,  
ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას!  
ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან  
გამიჯნურება მჩვევია ლექსად?
- III. უმეგობრობა არ მიგლოვია  
და არც მოლექსე მყავს წინაპარი,  
მე ზღაპარი თუ გამიგონია,  
ბაბუაჩემის თქმული ზღაპარი,
- IV. და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს,  
ჯიში გმირული, ჯიში ქართული,  
ბაბუაჩემი ვაჟაპატი იყო,  
სატევარით და ცხენით განთქმული.
- V. გან დიდ მუხნარში მოჰკლა ტახები  
და მათი ხორცით მზრდიდა ნიადაგ,  
მიტომ არ მიყვარს მე არტახები  
და მიტომ ვარგვარ ადამიანად!

- VI.** მან ერთხელ განგებ დამკოდა მხარში  
და უცოდველი სისხლი მადინა,  
სველ ბალახებში დამტოვა ბავშვი  
და მწვერვალები გადინადირა.
- VII.** მას შემდეგ ბევრის მკლავი ავცელა,  
შვებაც ვიგემე და გაჭირვებაც,  
და ვიდრე ლექსად არ გადავწერა,  
მანამდე მკლავდა მე ეს ჭრილობა.
- VIII.** ბაბუაჩემმა ბუნების კარი  
გამიღო ოხვრით და სიმძიმილით  
და შთამაგონა, რომ ლექსი არის  
კაცის და ქვეყნის გულისტკივილი.
- IX.** მან შემაყვარა სამშობლო ჩემი,  
რომლისთვის ბევრმა სისხლი დაღვარა,  
მან შემაყვარა ბუნების ცრემლი  
და სალამურიც მან შემაყვარა.
- X.** სამშობლოს ტრფობით გული დავსერე,  
მათრობდა, როგორც ლვინო ყვარული  
და ვიდრე ლექსად არ გადავწერა,  
მანამდე მკლავდა ეგ სიყვარული.
- XI.** ლექსმა კი შეკრა ჭრილობა ცივი  
და გაანათა ჩემი კაცობა  
და ჩემი გულის ყოველგვარ ტკივილს  
მხოლოდ და მხოლოდ ლექსმა აჯობა.
- XII.** ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა  
ვერ გამიყუჩა ჭაბუკს იარა,  
და ჩემი გულის გმირული კვნესა  
მარტოდენ ლექსმა გაიზიარა.
- XIII.** მეც მიტომ ვბედავ არწივულ ყივილს,  
როცა გულს გაპკრავს ცივი ნიავი,  
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს  
და ლექსი თვითონ ტკივილი არი.
- XIV.** და რადგან მერგო ვიყო პოეტი –  
ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ,  
რადგან ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,  
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო,
- XV.** რადგან სხვა რამე, სიმღერის გარდა,  
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას, –  
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან  
მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!

### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა  
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი  
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხსენეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების  
ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### (1) 1. რა არის ლექსის ლირიკული გმირის ბედისწერა?

- ა) შემოქმედებითი წვა.
- ბ) უმეგობროდ ცხოვრება.
- გ) ფიზიკური ტანჯვა.
- დ) მარტოობაში სიკვდილი.

#### (1) 2. რა იგულისხმება სიტყვაში „სიმღერა“?

- ა) გართობა.
- ბ) მიჯნურობა.
- გ) მუსიკა.
- დ) პოეზია.

- (1) 3. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „ეოველ ქალთან გამიჯნურება მჩვევია ლექსად...“?
- ა) მისთვის „ეოველ ქალთან“ გამიჯნურება პოეზიის გარეშეც შესაძლებელია.
  - ბ) მისთვის მთავარი მიზანი სატრფოს თანაგრძნობის მოპოვებაა.
  - გ) მისთვის მიჯნურობის თქმა პოეტური შემოქმედების ერთადერთი გამოხატულებაა.
  - დ) მისთვის თვითგამოხატვის უმთავრესი საშუალება პოეტური შემოქმედებაა.
- (1) 4. ბაბუის რომელ თვისებაზე მიუთითებს სიტყვები: „სატევარით და ცხენით განთქმული“?
- ა) სიმამაცეზე.
  - ბ) სიბრძნეზე.
  - გ) მიმტევებლობაზე.
  - დ) შორსმჭვრეტელობაზე.
- (1) 5. რა იგულისხმება V სტროფის III და IV სტრიქონებში?
- ა) ლირიკული გმირი გულმოწყალე ადამიანია.
  - ბ) ლირიკული გმირი ჰეშმარიტი მიჯნურია.
  - გ) ლირიკული გმირი საუკეთესო მეომარია.
  - დ) ლირიკული გმირი თავისუფლებისმოყვარე პიროვნებაა.
- (1) 6. რა იგულისხმება სიტყვებში: „...ბევრის მკლავი ავცელე“?
- ა) თავგანწირულ მეგობრად დავიბადე.
  - ბ) ბევრი მოწინააღმდეგე დავამარცხე.
  - გ) კაცომოვარე ადამიანად ვიქეცი.
  - დ) შესანიშნავ მონადირედ ჩამოვყალიბდი.
- (1) 7. რა მიზნით „გაუდო ბუნების კარი“ ბაბუამ შვილიშვილს?
- ა) რათა მას განგებ დაკოდილი მხარი ადვილად შეხორცებოდა.
  - ბ) რათა მას მოსისხლე მტრების სისხლი დაედგარა.
  - გ) რათა მას „მწვერვალების გადანადირება“ ადვილად შესძლებოდა.
  - დ) რათა მას „კაცის და ქვეუნის“ გასაჭირი შეეცნო.
- (1) 8. რა ათრობდა ავტორს „როგორც დვინო ყვარული“?
- ა) ბავშვობისდროინდელი ჭრილობა.
  - ბ) ქვეუნის სიყვარული.
  - გ) სატრფოს სილამაზე.
  - დ) ბუნების მშვენიერება.
- (1) 9. რა მსატერული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „და გაანათა ჩემი კაცობა“?
- ა) მეტაფორა.
  - ბ) ეპითეტი.
  - გ) გაპიროვნება.
  - დ) შედარება.
- (1) 10. რამ გაუყუჩა, ლირიკული გმირის თქმით, „ჭაბუკს იარა“?
- ა) „გმირულმა კვნესამ“.
  - ბ) „მარტოდენ ლექსმა“.
  - გ) „დედის ხელმა“.
  - დ) „სატრფოს ეშხმა“.
- (1) 11. რა იგულისხმება სიტყვებში: „...არწივულ ყივილს“?
- ა) უიმედობის განცდა.
  - ბ) გმირული სულისკვეთება.
  - გ) ფრენის სურვილი.
  - დ) წარსულის მონატრება.
- (1) 12. ავტორის აზრით, რა უცნაური ძალა აქვს პოეზიას?
- ა) სიკვდილით სიკვდილს ანადგურებს.
  - ბ) სილამაზით სილამაზეს სჯობნის.
  - გ) სიცოცხლით სიცოცხლეს ასანგრძლივებს.
  - დ) ტკივილით ტკივილს აყუჩებს.

(1) 13. ავტორის აზრით, რა აკავშირებს მას ვაჟა-ფშაველასთან?

- ა) ვაჟას ტოლფასი მწერალია.
- ბ) ვაჟას სულიერი მემკვიდრეა.
- გ) ვაჟასავით შეუპოვარი მეომარია.
- დ) ვაჟასავით ბუნების შვილია.

(1) 14. რის შესახებ აუ საუბრობს ლადო ასათიანი ამ ლექსში?

- ა) აღზრდის მეთოდების.
- ბ) პოეზიის დანიშნულების.
- გ) სამშობლოს სიყვარულის.
- დ) რწმენის უარყოფის.

(1) 15. რომელი სტრიქონები გამოხატავს ყველაზე უკეთ ამ ნაწარმოების უმთავრეს აზრს?

- ა) „ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა  
ვერ გამიყუჩა ჭაბუქს იარა...“
- ბ) „მან ერთხელ განგებ დამკოდა მსარში  
და უცოდველი სისხლი მადინა.“
- გ) „რადგან ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,  
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო...“
- დ) „უმეგობრობა არ მიგლოვია  
და არც მოლექსე მყავს წინაპარი.“

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

#### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღესავატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჯირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღები მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველობაზე აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შევი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შევად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რა არის, ავტორის აზრით, პოეზიის დანიშნულება.
- იმსჯელეთ ლირიკული გმირის ბაბუის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში.

**თქვენი თვალსაზრისი დასაბუთეთ!**

## დავალება № 8

ურადღებით წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსი „ციხის სიზმარი“:

- I. როცა მთვარე შეწყვეტს კაშაშს  
და ბნელს შემოიხვევს,  
ისე, როგორც დადლილ ვაჟაცს,  
მძიმედ სძინავს ციხეს.
- II. სძინავს ციხეს, ნატამალი  
ხმაც არ აკრთობს სმენას,  
სძინავს ციხეს და თამარის  
საოცნებო სენაქს.
- III. სძინავს, ფიქრებს ალამაზებს  
და სიზმარში ხედავს,  
რომ მის ბეჭერ გალავანზე  
არწივები სხედან.
- IV. რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა  
ნიავ-ქარის ნანას,  
რომ მის ბეჭერ საძირკველთან  
ქართველები დგანან,
- V. რომ დილისკენ, როცა დნება  
მუქი შუქი მთვარის,  
გალავანზე გადმოდგება  
საქართველოს თვალი.
- VI. იხურება ჯიხურებად  
დაღრუბლული სივრცე,  
დედოფალი იყურება  
არტანუჯის მხრისკენ.
- VII. სძინავს ციხეს, ჯანიანი  
თრთის და სიზმრად ხედავს:  
ეს ქართველთა ჯარი არის  
თუ უღრანი ხეთა,
- VIII. ეს ნისლია ჩვენებური –  
მზესავით რომ მოჩანს,  
თუ ქართველთა ძველებური  
ჩალისფერი დროშა.
- IX. ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,  
ვის უხდიან ჩაჩქანს.  
ეს – თამარი ესალმება  
საქართველოს ლაშქარს.
- X. იხურება ჯიხურებად  
დაღრუბლული სივრცე,  
ეს – თამარი იყურება  
არტანუჯის მხრისკენ.
- XI. სძინავს ციხეს, მაგრამ დილით  
მზე რომ იწყებს კაშაშს,  
ედვიძება, როგორც ძილით  
დასვენებულ ვაჟაცს.
- XII. ედვიძება, როგორც სისხლით  
გაგიჟებულ მხედარს.  
ედვიძება, მაგრამ ძილში  
ნახულს ვედარ ხედავს,
- XIII. ვედარ ხედავს, გაავდება,  
აშლის ხავსის ბალანს  
და გრუხუნებს ნაადრევი  
გაზაფხულის გვარად.
- XIV. მერე ისევ ალამაზებს  
სიზმრით თავის სვებედს  
და ხავსიან გალავანზე  
არწივები თვლემენ.

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

**(1) 1. რის თქმა სურს ავტორს „დადლილ ვაჟკაცთან“ ციხის შედარებით?**

- ა) ციხის დაცვას თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები შეეწირნენ.
- ბ) ციხეში ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები განისვენებენ.
- გ) სიბრძეები ციხე სამშობლოს მოდალატე ადამიანს წააგავს.
- დ) უძველესი ციხე გმირული წარსულის დიდებული ნაშთია.

**(1) 2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: „სძინავს ციხეს“?**

- ა) გაპიროვნება.
- ბ) შედარება
- გ) პიპერბოლა.
- დ) ეპითეტი.

**(1) 3. რა დანიშნულება აქვს ლექსში „თამარის საოცნებო სენაკის“ ხსენებას?**

- ა) ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებების განდიდების.
- ბ) თამარის საგმირო საქმეთა წარმოჩენის.
- გ) წარსულის მიმზიდველი სურათის გაცოცხლების.
- დ) დამარცხებით გამოწვეული ტრაგიზმის გადმოცემის.

**(1) 4. რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება პქონდეს არწივს ლექსის მონაკვეთში:**

- „...გალაგანზე არწივები სხედან“?
- ა) იგი მძიმე მარცხით გამოწვეულ სასოწარკვეთილებას გამოხატავს.
- ბ) იგი კონკრეტული გამარჯვებით გამოწვეულ აღფრთოვანებას გამოხატავს.
- გ) იგი საქართველოს დიდებულ წარსულსა და ძლევამოსილებას გამოხატავს.
- დ) იგი უიმედო მომავლით გამოწვეულ სევდას გამოხატავს.

**(1) 5. რა იგულისხმება სიტყვებში: „...დნება მუქი შუქი მოვარის“?**

- ა) ვარსკვლავები აკიაფდნენ.
- ბ) თანდათანობით დამდება.
- გ) მოვარე ამოსვლას იწყებს.
- დ) განთიადი ახლოვდება.

**(1) 6. რატომ „თრთის“ მძინარე ციხე?**

- ა) სიზმარში ხედავს საქართველოს დაბურულ უღრან ტყეებს.
- ბ) სიზმარში ხედავს მოგებული ბრძოლების ამაღლებულ სურათებს.
- გ) სიზმარში ხედავს ავის მომასწავებელი ნისლით დაფარულ მზეს.
- დ) სიზმარში ხედავს დამარცხების ნიშნად დახრილ ჩალისფერ დროშას.

**(1) 7. რატომ „ედვიძება“ ციხეს „როგორც სისხლით გაგიჟებულ მხედარს“?**

- ა) სიზმარმა მას ნათელი მომავლის იმედი გაუდვიძა.
- ბ) სიზმარმა მასში ბრძოლის უინი ჩააქრო.
- გ) სიზმარმა მას წარსულით გამოწვეული სევდა მოჰვარა.
- დ) სიზმარმა მასში ბრძოლის უინი გაიღვიძა.

**(1) 8. რა განაპირობებს იმას, რომ ციხე „გაავდება, აშლის ხავსის ბალანს“?**

- ა) გამოღვიძებულს ავდრიანი გაზაფხული ხვდება.
- ბ) გამოღვიძებულს მიუღებელი რეალობა ხვდება.
- გ) გამოღვიძებულს საშინელი ხმაური აღიზიანებს.
- დ) გამოღვიძებული ვეღარ იხსენებს წარსულს.

- (1) 9. რომელ მხატვრულ სახეში იგულისხმება თამარ მეფე?  
ა) „ჩვენებური ნისლი“.  
ბ) „საქართველოს თვალი“.  
გ) „ნაადრევი გაზაფხული“.  
დ) „შუქი მთვარის“.
- (1) 10. რა ფუნქცია აკისრია სტრიქონებს: „იხურება ჯიხურებად დაღრუბლული სივრცე“?  
ა) გამოხატავს სამშობლოს სიყვარულისა და ხელმწიფის პატივისცემის განცდას.  
ბ) გამოხატავს ავტორის სასოწარკვეთილებასა და მომავლის სრულ უიმედობას.  
გ) დინამიკურობას მატებს სურათსა და ამბაფრებს მკითხველის ემოციას.  
დ) შეუცნობელი წარსულის წინაშე შიშის განცდას უნერგავს მკითხველს.
- (1) 11. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „...და ხავსიან გალავანზე არწივები თვლემქნ“?  
ა) წარსულმა დიდებამ კვალი არ დატოვა.  
ბ) უკეთესი მომავლის იმედი არ გამქრალა.  
გ) უძველეს ციხეს ხავსიანი გალავანი აკრავს.  
დ) მხოლოდ არწივებსდა ახსოვთ დიდებული წარსული.
- (1) 12. რა ფუნქცია აკისრია ლექსში სიზმარს?  
ა) გაამართლოს აწმყოში ქართველი ერის უმოქმედობა.  
ბ) წარმოაჩინოს კონტრასტი წარსულსა და აწმყოს შორის.  
გ) აჩვენოს ქართველთა დამსახურება კაცობრიობის წინაშე.  
დ) დააკნინოს თამარ მეფის ისტორიული ღვაწლი.
- (1) 13. როგორ ხასიათდება ტექსტში ავტორის თანამედროვეობა?  
ა) როგორც პიროვნების დამთრდუნველი სინამდვილე.  
ბ) როგორც გარდასული ეპოქის რაინდების საუფლო.  
გ) როგორც წარსულის შესატყვისი დიდებულება.  
დ) როგორც საბრძოლო სულისკვეთებისაგან დაცლილი რეალობა.
- (1) 14. რის შესახებ არ საუბრობს ლადო ასათიანი ამ ლექსში?  
ა) დიდებული წარსულის შესახებ.  
ბ) განთქმული წინაპრების შესახებ.  
გ) სარწმუნოების დაკნინების შესახებ.  
დ) დროის დაუნდობლობის შესახებ.
- (1) 15. რა არის მოცემული ლექსის ძირითადი მიზანდასახულობა?  
ა) საქართველოს დიდებული ბუნების აღწერა.  
ბ) საქართველოს აწმყოს გაიდეალება.  
გ) საქართველოს მომავლის გადაჭარბებული შიში.  
დ) საქართველოს წარსულის გაიდეალება.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

კურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ საქართველოს წარსულის მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ.
- იმსჯელეთ, რა განცდას იწვევს მკითხველში ავტორის თანადროული რეალობა (კურადღება მიაქციეთ სტრიქონებს: „ძილში ნახულს ვედარ ხედავს... გაავდება, აშლის ხავსის ბალანს...“).
- იმსჯელეთ, რა მსატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 9

**თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მერჩულე მოგვითხოვთ:**

ხოლო აცოუნა მტერმან ხელმწიფე იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძისაი ციხესა მას შინა. და ვითარცა ესმა ნებარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიად. და ამხილა პირისპირ ხელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებით და დედაკაცისა მის წარგზავნაი, ვინაიცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანებაი, რამეთუ დაუმონა გულისხმასა.

ხოლო ნებარმან გრიგოლ პოვა ქამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა. დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუკლინა დედაკაცსა მას ჭამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხირა და მრავალფერი სახოვაგე წარსცა წმიდისა მისთვის და მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კუალად მოუვლინა კაცი, რაითა მივიდეს ხილვად მისა. მაშინ უფროისად განმხიარულებული მსწავლელ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მხევალთა თვისთა, რაითამცა დირს იქმნა ჯუარსა ნებარისა მის კაცისასა.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაი. და მოწაფენი კიდე-რე განდგეს წამისყოფით მოძღვრისა თვისისაითა და ეგრეთვე – მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მივენილ იყო. მაშინ პრქუა მას ნებარმან გრიგოლ: „ჰოი, საწყალობელო! რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაით-

მე მიზეზითა საბრხე ქმნულ-ხარ დიდისა ხელმწიფისადა?“ ხოლო მან ცრემლით პრქჟა: „წმიდა ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და აწ არა უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“. ხოლო წმიდამან მან პრქჟა: „შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თავსმდებ გემშე ქრისტეის მიმართ, რაითა მან თავადმან ყოველინი ბრალი შენი შეგინდვნეს“.

და მან პრქჟა: „წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაი იზრუნე!“

მაშინდა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭრა მადლითა და მისცა თვისთა ხამლთა საბელი, რაითა სარტყელად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრავაი ხეტარისა დედისა თანა იყო, და შევედრა იგი დედასა ფერონიას.

ხოლო რაეამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი. და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა, გულისხმა-ყო რაი ყოველი იგი ყოფილი საქმე. და რამეთუ არა ღონითა რაით-მე კაცობრივთა მახეთაითა იყო ტრფიალ მისა მიმართ ხელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლევულ იყო, რომელ თავმოთხობაი დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ხეტარმან ფეხონია დამალა დედაკაცი იგი. და ვითარ ილოცა კურაპალატ-მან ეკლესიასა წმიდისა დმრთისმმობელისასა და მიიღო ლოცვაი დედისა ფეხონიაისი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყი-მეა, დედაო, რაისათვის მოვედ აწ?“

ხოლო მან პრქჟა: „უფალმან იცის, რაისათვის პბრძანე აქა“.

და მან პრქჟა: „ამის მიზეზისათვის იქმნა მოსლვაი ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითუალოს და კუალად თქუებდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ხოლო ფეხონია პრქჟა მას მკუეთრ: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცოთა თანა, რომელი იქმან უშკულოებასა“.

ესე რაი ესმა კურაპალატსა, სირცხვილეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარ-ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლევული, რამეთუ ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცოთა ხელეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოითა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქჟა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არდარა ცოცხალ არს!“

## ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 1. რა „სულისა განმხრწელი“ საქმე შეემთხვა აშოტ კურაპალატს?

- ა) ცოლს გაეყარა და სასახლიდან გააძევა.
- ბ) მონასტერში მისულმა ფეხონიას საჭურჭლის ქურდობა დააბრალა.
- გ) ქრისტიანობა უარყო და მტრის სარწმუნოება მიიღო.
- დ) „დედაკაცი სიძვისაი“ მოიყვანა სამეფო სასახლეში.

(1) 2. რა მოიმოქმედა თავდაპირველად გრიგოლმა, როდესაც აშოტ კურაპალატის ცოდვის შესახებ შეიტყო?

- ა) გაკიცხა და მოსთხოვა „სიძვის დედაკაცის“ გაშვება.
- ბ) გაკიცხა, თუმცა იძულებული გახდა შევტებოდა არსებულ ვითარებას.
- გ) ვერ გაბედა გაკიცხვა, რადგან შეუშინდა ხელმწიფის რისხვას.
- დ) კატეგორიულად მოსთხოვა მონასტერში ცოდვის მონანიება.

(1) 3. რატომ დაარღვია აშოტ კურაპალატმა გრიგოლისათვის მიცემული სიტყვა?

- ა) არაფრად უღირდა გრიგოლისათვის მიცემული სიტყვა.
- ბ) გადაწყვიტა, პირობის შესასრულებლად უკეთეს დროს დალოდებოდა.
- გ) ვერ შეძლო საყვარელ ქალთან განშორება.
- დ) პირობის შესრულებაში სახელმწიფო საქმეებმა შეუშალა ხელი.

(1) 4. რის იმედით მივიდა „სიძვის დედაკაცი“ გრიგოლთან?

- ა) იმედი პქონდა, გრიგოლი მონასტერში გაგზავნიდა.
- ბ) იმედი პქონდა, გრიგოლი დედოფლადობან შეარიგებდა.

- გ) იმედი პქონდა, გრიგოლი პირჯვარს გადასახავდა.  
 დ) იმედი პქონდა, გრიგოლი ხელმწიფეზე დააქორწინებდა.
- (1) 5. **გრიგოლის რა თვისება ჩანს ფრაზაში:** „ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაი“?  
 ა) ლმობიერება და მიმტევებლობა.  
 ბ) მრისხანება და ამპარტავნობა.  
 გ) სათხოება და სიმტკიცე.  
 დ) სიმკაცრე და პრინციპულობა.
- (1) 6. **გრიგოლის აზრით, რა შეიძლება იყოს „სიძვის დედაკაცის“ მიერ ჩადენილი ცოდვის მიზეზი?**  
 ა) ქალი ამპარტავნობამ შეიპყრო.  
 ბ) ქალი ეშმაკს დაემონა.  
 გ) ქალმა დედოფალი შეიძულა.  
 დ) ქალმა საგანძური მიითვისა.
- (1) 7. **რას სთხოვს „სიძვის დედაკაცი“ გრიგოლს?**  
 ა) აკურთხოს მისი გულწრფელი სიყვარული.  
 ბ) გაგიცხოს კურაპალატის „გარდარეული სიყუარული“.  
 გ) იზრუნოს კურაპალატის სულის გადასარჩენად.  
 დ) იზრუნოს მისი სულის გადასარჩენად.
- (1) 8. **რატომ „აკურთხა ლოცვითა და შეჭრა მადლითა“ გრიგოლმა „სიძვის დედაკაცი“?**  
 ა) ამით აიძულა იგი, უარი ეთქვა კურაპალატთან კავშირზე.  
 ბ) დაინახა, რომ იგი ინანიებდა კურაპალატთან სასიყვარულო კავშირს.  
 გ) იცოდა, რომ ასე განდევნიდა დედაკაცის სხეულიდან ეშმაკეულს.  
 დ) სურდა, ნებისმიერი საშუალებით დაეყოლიებინა გაჯიუტებული „სიძვის დედაკაცი“.
- (1) 9. **როგორ გადაწყვიტა გრიგოლმა „სიძვის დედაკაცის“ ბედი?**  
 ა) იძულებით წაიყვანა მერეს დედათა მონასტერში.  
 ბ) კურაპალატის დაუკითხავად წაიყვანა მერეს მონასტერში.  
 გ) კურაპალატის თანხმობით წაიყვანა მერეს მონასტერში.  
 დ) უბრძანა თვითონ წასულიყო მერეს მონასტერში.
- (1) 10. **რა რეაქცია პქონდა აშოტ კურაპალატს, როცა საყვარელი ქალის წასვლა შეიტყო?**  
 ა) აღშფოთდა გრიგოლის თავხედური საქციელის გამო.  
 ბ) განრისხებულმა სატრფოს ძალით დაბრუნება გადაწყვიტა.  
 გ) სატრფოს დაბრუნების დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო.  
 დ) შეძრწუნდა, რომ ეშმაკის მიერ დაგებულ მახეში გაება.
- (1) 11. **რა გზას მიმართა აშოტ კურაპალატმა დედა ფეხონიასთან საუბრისას?**  
 ა) თავის მართლება სცადა.  
 ბ) მისი მოტყუება სცადა.  
 გ) მონასტრის წინამდვირს განურისხდა.  
 დ) ფეხონიას თავი შეაცოდა.
- (1) 12. **დედა ფეხონიას რა თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში?**  
 ა) სათხოება და გულმოწყალება.  
 ბ) სიმტკიცე და შეუვალობა.  
 გ) სისასტიკე და სულმოკლება.  
 დ) სიჯიუტე და ამპარტავნობა.
- (1) 13. **რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**  
 ა) „...არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაი“.  
 ბ) „ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“.  
 გ) „მოწაფენი კიდე-რე განდგეს წამისყოფითა მოძღურისა“.  
 დ) „...შეჭურვილთა მათ საღმრთოითა შერითა“.

- (1) 14. აშობ კურაპალატის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს მისავე სიტყვებში: „ნეტარ მას კაც-სა, ვინ არდარა ცოცხალ არს!“?
- აღმფორება.
  - გულმოწყალება.
  - სასოწარკვეთილება.
  - შეუპოვობა.

- (1) 15. რომელ მონაკვეთშია გამოხატული ტექსტის მთავარი სათქმელი?
- „თავმოთნეობაი დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს“.
  - „მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუქნთაგანი“.
  - „...რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა“.
  - „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფება სულითა ძლიერთა კაცთა სძლებს“.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიოდაზე, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არააღვატურადაა გაცემული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჯირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღების მიღების მიღების მიღები.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერვებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შევი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ იხატება მოცემულ ტექსტში გრიგოლ ხანძთელის სახე (ყურადღება მიაქციეთ, როგორია მისი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, კურაპალატისა და, მეორე მხრივ, „სიძვის დედაკაცის“ მიმართ).
- იმსჯელეთ აშობ კურაპალატის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ მონაკვეთში (ყურადღება მიაქციეთ თხრობის მანერასა და ამბის განვითარების დინამიკას).

**თქვენი თვალსაზრისი დაახაბუთ!**

### დავალება № 10

**თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მერჩულე მოგვითხოვს:**

დიდი ეფრემ იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა. დიდი არსენი კათოლიკე ეპლესიასა, ქრისტეს კუართისა სამკვიდრებელსა, მცხეთას ქართლისა კათალიკოს იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათვის.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა, მე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა ეპისკოპოსთაითა.

მამფალი გუარამ დიდი მირეანისთვის გულძვირად იყო და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრუბაი ეპისკოპოსთაი და უდაბნოისა მამათაი.

და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამაი გრიგოლ არა მუნ იყო. წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამდებუარნი იგი არსენი კათალიკოსისათვის და ვერა დაამტკიცეს სიტყუაი მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის უამისამან პრქუა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაი, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაი ყოველთაი“.

და მექსეულად იხილეს წმიდაი იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკვირველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაი. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გვირგვინი სამეუფოი პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს დმრთისამიერი დიდებულებაი მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და პრქუა მას: „შვილო, პატივსა მაგის წმიდისა მღდელომთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად მმასა შენსა არსენის!“ ხოლო მან პრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ უგების მმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი სამართლისათვის, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“. მაშინ წმიდამან მან მესინვარედ პრქუა: „უკუკუთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარმყავ, ვითა არა შენი მოძღვარი ვარ!“ ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღვრისასა ატირდა და პრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაი ესე, განმკუთეოდ უფროის მახვილისა. აწ ნებაი შენი იყავნ და ნუ – ნებაი ჩემი, წმიდაო დმრთისაო!“ ხოლო მან პრქუა: „ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაიცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრეველო გონებითა. და შენ უწყი, ვითარ დმერთსა ებრძანა კათალიკოსობაი არსენისი სისრულისა მისისათვის. არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან-ყო უქამოდ შესწრაფებითა“.

ამისა შემდგომად ბრძანა გუარამ შემოკრებაი ყოველთა მოწესეთაი და მაშინ პრქუა: „წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იციო ყოველთა კანონი შჯულისაი, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსისა მძლავრებით დაჯდომასა“.

და ამას სიტყუასა შინა აუგის სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ეამ ერთ.

მაშინ ეპისკოპოსთა პრქუეს ეფრემს: „ბრძანე პასუხი, რაი ჯერ-არს!“

ხოლო მან თქუა: „სადა მამაი გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად“.

მაშინ ხელმწიფებან მან პრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მამაო, ყოველნი შენ გელიან სიტყუად ჭეშმარიტებისა, რამეთუ უხუცეს ხარ ყოველთა დღითა და სათხოვებითა ნებისა დმრთისაითა“.

ხოლო მან თქუა: „ჭეშმარიტა ქრისტეს სამწყესოთა ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისაი. რამეთუ არსენი კათალიკოსი ნებითა დმრთისაითა კათალიკოსი არს და ძვირის-მეტყუელთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყვნენ და სრულიად პრცხუენეს ამას საწუთოსა და მას საუკუნესა“.

მაშინ ზარ-ჟხდა ხელმწიფება მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და დმრთისმოშიშ. იძლია სიმდაბლისაგან და შეუგრდა ნეტარსა გრიგოლს და პრქუა: „წმიდაო დმრთისაო, შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე“.

ხოლო მან პრქუა: „ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდვენინ!“

## ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 1. რა განაპირობებდა განსაკუთრებულ ახლობლობასა და სიყვარულს ეფრემსა და არსენს შორის?

- ა) ისინი ერთად აღიზარდნენ.
- ბ) ისინი ერთ ეკლესიას ემსახურებოდნენ.
- გ) ორივე მართლმორწმუნე იყო.
- დ) ორივე საქართველოს შვილი იყო.

- (1) 2. **რატომ გაუნაწყენდნენ მირეანს ქართლის ეპისკოპოსები?**
- ა) ეპისკოპოსებს არასაკმარისად მიაჩნდათ მირეანის დვაწლი ეკლესიის წინაშე.
  - ბ) მირეანი სათანადოდ ვერ აფასებდა გრიგოლ ხანძთელის ავტორიტეტს.
  - გ) მირეანი უკლებლივ ეცელა გადაწყვეტილებას ეპისკოპოსებთან შეუთანხმებლად იღებდა.
  - დ) მირეანმა არსენი ეპისკოპოსებთან შეთანხმების გარეშე აკურთხებინა კათალიკოსად.
- (1) 3. **რა ნაბიჯი გადადგა გუარამ მამფალმა მირეანის გადაწყვეტილების საპასუხოდ?**
- ა) არსენის დაუყოვნებლივ გადაყენების ბრძანება გასცა.
  - ბ) კათალიკოსად ეფრემის კურთხევის ბრძანება გასცა.
  - გ) მირეანის სასწრაფოდ დასჯის ბრძანება გასცა.
  - დ) საეკლესიო კრების მოწვევის ბრძანება გასცა.
- (1) 4. **რატომ გვიანდებოდა საეკლესიო კრების დაწყება?**
- ა) გრიგოლის ავტორიტეტული სიტყვის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ.
  - ბ) გრიგოლის გარეშე კრების ჩატარების უფლება არ ჰქონდათ.
  - გ) გუარამ მამფალთან დასაპირისპირებლად გრიგოლის მხარდაჭერას ელოდნენ.
  - დ) ეფრემის მხარდასაჭერად გრიგოლის ავტორიტეტის გამოყენება სჭირდებოდათ.
- (1) 5. **რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაი...“?**
- ა) ალიტერაცია.
  - ბ) გაპიროვნება.
  - გ) ირონია.
  - დ) მეტაფორა.
- (1) 6. **როს ხაზგასმა სურს ავტორს სიტყვებით:** „იხილეს წმიდაი იგი მომავალი... საკვირველად ხილვითა“?
- ა) გრიგოლის გამორჩეული შეკვერმეტყველებისა და სიბრძნის.
  - ბ) გრიგოლის გამორჩეული დვაწლისა და დამსახურების.
  - გ) გრიგოლის სხვათაგან გამორჩეული გარეგნობის.
  - დ) გრიგოლის გამორჩეული ფიზიკური შესაძლებლობების.
- (1) 7. **რა სთხოვა გრიგოლმა ეფრემს?**
- ა) მტკიცედ და შეურყევლად დაეცვა თავისი პოზიცია.
  - ბ) უარი არ ეთქვა საეკლესიო მოღვაწეობის გაგრძელებაზე.
  - გ) წინააღმდეგობა არ გაეწია საეკლესიო კრების მოწვევისათვის.
  - დ) წინ არ აღდგომოდა არსენის კათალიკოსად კურთხევას.
- (1) 8. **რამ გამოიწვია გრიგოლის განრისხება?**
- ა) ეფრემის პასუხმა – ამიერიდან ჩემს მოძღვრად ადარ მიმაჩნიხარო.
  - ბ) ეფრემის პასუხმა – არსენს ჩემს მოძღვრად ვერ ვაღიარებო.
  - გ) ეფრემის პასუხმა – არც ერთი ერისკაცის ბრძანებას არ ვემორჩილებიო.
  - დ) ეფრემის პასუხმა – ეპისკოპოსების აზრს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვსო.
- (1) 9. **როგორი იყო ეფრემის რეაქცია გრიგოლის მუქარაზე – შენი მოძლვარი აღარ ვიქნებიო?**
- ა) ატირდა.
  - ბ) ადშფოთდა.
  - გ) გაეცინა.
  - დ) გაუხარდა.
- (1) 10. **რა იყო გრიგოლის მთავარი არგუმენტი, როცა არსენის კათალიკოსობას უჭერდა მხარს?**
- ა) არსენის კათალიკოსობა ეპისკოპოსთა ნება არისო.
  - ბ) არსენის კათალიკოსობა დვთის ნება არისო.
  - გ) არსენის კათალიკოსობა ჩემი ნება არისო.
  - დ) არსენის კათალიკოსობა ხელისუფალთა ნება არისო.
- (1) 11. **გრიგოლის აზრით, რამ გამოიწვია უთანხმოება არსენის კათალიკოსად კურთხევის დროს?**
- ა) ეპისკოპოსთა აჩქარებამ.
  - ბ) მირეანის სულსწრაფობამ.
  - გ) სამღვდელოების უპრინციპობამ.
  - დ) ხელისუფალთა უპრინციპობამ.

- (1) 12. რა საყვედური გამოთქვა გუარამბა საეკლესიო კრებაზე?
- არსენის კათალიკოსად დადგენა გრიგოლთან არ შეთანხმებულაო.
  - არსენის კათალიკოსად დადგენა უდროოდ მოხდაო.
  - არსენის კათალიკოსად დადგენა ჩემთან არ შეთანხმებულაო.
  - არსენის კათალიკოსად დადგენა ძალმომრეობით მოხდაო.
- (1) 13. რა რეაქცია ჰქონდა გუარამს გრიგოლის სიტყვებზე – ვინც არსენს ცუდად მოიხსენიებს, შერცხვენილი იქნებაო?
- განრისხდა და გრიგოლს კრების დატოვება მოსთხოვა.
  - თავზარი დაეცა და გრიგოლს შენდობა სთხოვა.
  - სინანულმა შეიპყრო, თუმცა გარეგნულად არ გამოუხატავს.
  - წაუყრუა გრიგოლის სიტყვებს, თითქოს არაფერი მომხდარაო.
- (1) 14. გრიგოლის რა თვისებები გამოჩნდა საეკლესიო კრებაზე?
- ამპარტავნობა და შეუვალობა.
  - მორჩილება და მიმტევებლობა.
  - სათხოება და გულმოწყალება.
  - სიმტკიცე და პრინციპულობა.
- (1) 15. რა არის ტექსტის ამ მონაკვეთის ძირითადი მიზანდასახულობა?
- არსენის კათალიკოსად კურთხევისას მირეანის უდირსი საქციელის მხილება.
  - საერო და საეკლესიო წრეებში არსებული განხეთქილების მეფისათვის შეტყობინება.
  - საერო და საეკლესიო წრეებში გრიგოლის ურყევი ავტორიტეტის წარმოჩენა.
  - საქართველოს კლეისის ისტორიის ერთ-ერთი მწვავე კონფლიქტის მიჩქმალვა.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

#### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღერთადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ამ მონაკვეთში აღწერილი კონფლიქტის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა განაპირობებს პერსონაჟთა დაპირისპირებას).
- იმსჯელეთ, როგორ წარმოგვიდგენს ავტორი გრიგოლ ხანძთელის პიროვნებას.
- იმსჯელეთ, რა მსატერიულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ მონაკვეთში (ყურადღება მიაქციეთ თხრობის მანერასა და ამბის განვითარების დინამიკას).

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

ურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მზიანი დამე“, რომელ-შიც აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული დედის შეხვედრა შეილთან:

კიბეზე უხალისოდ ავდიოდი. დერეფნის კარი დია დამხვდა, ოთახის კარი შევადე და ადგილზე გავქვავდი. ტანში ქრუანტელმა დამიარა, მუხლები მომეკვეთა.

ჩემი ოთახი სავსე იყო მეზობლებით. ისინი გარს შემოხვეოდნენ საწოლს, რომელზეც შუახნის ჭაღარა, საოცრად დაღლილი, თეთრი სახის, გამხდარი ქალი იჯდა. იგი ოდნავ იღიმებოდა და სუსტი ხმით ყვებოდა რაღაცას. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჭაღარა ქალმა მშვიდად შემხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევ განაგრძო ამბავი. მეზობლები სინანულით თავებს იქნევდნენ აქეთ-იქით, ჭაღარა ქალმა უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევ დამაცექერდა, ახლა უფრო ხანგრძლივად და დაუინებით, მერე თვალები მეზობლებისაკენ გაექცა. მეზობლები კარის-კენ შემოტრიალდნენ. ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე მესმოდა მხოლოდ ჩემი გულისცემა, ვიღაცის სკამის სულისწამდები ჭრიალი, მეტი არაფერი. ჭაღარა ქალი თვალს არ მაცილებდა, მერე მან შეშინებული თვალებით შეხედა ჩემი კარის მეზობელს, ელიკოს. ელიკომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაშინ ჭაღარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა. იგი საოცრად ჰგავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთახში 12 წლის წინ, დამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირჯვარი გადამსახა და მკერდზე მაკოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა, რომელთაგან ერთი შეშინებული ჩანდა, მეორე კი იღიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით ჰქონდა გამოტენილი. ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გვაცილებდა. იგი მოღიოდა ჩემკენ ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე მესმოდა მისი სუნთქვა, მინდოდა, შევბრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო. მე უბრალოდ დაგხუჭე თვალები და ველოდი, რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარზე და გავიგონე ჩუმი ჩურჩული:

- გამარჯობა, შვილო...
- გამარჯობა, შვილო, - და ასე განუწყვეტლივ, დიდხანს, ძალიან დიდხანს, - გამარჯობა, შვილო... მე მივხედი, რომ იგი ელოდა პასუხს, - გამარჯობა, დედა, - მაგრამ ვერ შევძელი.

- გამარჯობათ, ქალბატონო!.. - ვთქვი და ტირილი დავიწყე...

სამზარეულოში ვზივარ და უნივერსიტეტის წინ ჩარიგებულ ჭაღრებს ვუცქერ. ერთი, ორი, სამი, ოთხი. მეზობლები დაწვნენ, ალბათ. ელიკო ალარ შემოდის და აღარ მეუბნება - შედი, ბიჭო, ოთახში, ქვა ხომ არ ხარ, ცოდვაა ის ქალი... ხუთი, ექვსი... ალბათ, ისიც დაწვა, არაფერი არ მკითხა, რომელ კურსზე ვარ, რომელ ფაქულტეტზე ვეწავლობ, როგორ ვარ... შვილი, შვილი ჭაღარია, ალბათ, წლის ჩაგდებით რგავდნენ, თორემ მეშვიდე ჭაღარი უველაზე დიდი რატომ უნდა იყოს... ახლა შევალ ოთახში და ვეტყვი: - დაიძინე, დედა? ეს რა კითხვაა... კითხვავ, როგორ ხარ, დედა, ან არ გეწყიონო, ქალბატონო... არა, ამის თქმა არ შეიძლება... ეს, ალბათ, ბოლო ტრამვაია, ჩაიგლის და დილის ოთხ საათამდე აღარ ამოივლის. ამ ვატმანს ვიცნობ, წინა ბაქნიდან მიშვებს ხოლმე, თან იკრიჭება - ჯიგარო, დეპუტატი კი ხარ, მაგრამ ბილეთის აღება არ დაგავიწყდეს. წავიდა... ძინ, ძინ... ეს საათი ჩემი მხრიდან დამის პირველ საათს უჩვენებს, იქითა მხრიდან, ალბათ, თენდება; ახლა შევალ და რამეს ვეტყვი. რას? არ ვიცი... იქნებ, თვითონ მითხრას რამე...

ფრთხილად შევადე ოთახის კარი. დედას ხელები ამოედო თავქვეშ და ჭერს უცქერდა. ჩემ საწოლთან მივედი და დავწექი. ვიწექი, ალბათ, ერთი საათი, იქნებ, ორი, იქნებ, ერთი წუთი ან მთელი 12 წელიწადი. გავიხსენე დრო იმ დღიდან დღემდე, დაგხუჭე თვალები და თვალწინ დაღგა უველაფერი, ისე ცხადლივ, როგორც ის შვიდი ჭაღარი, მაგრამ არსად არ იყო დედა, ვიყავი ან მარტო, ან სხვასთან, ვიყავი უველგან და უველასთან და არსად არ იყო დედა. ახლა მე და ის ვიყავით ერთ ოთახში, ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ცხადი, როგორც შვიდი ჭაღარი უნივერსიტეტის წინ. ახლა ჩვენ ვიწექით ოთახის სხვადასხვა კუთხეში ერთხაირად უბედურები, რადგან ეს ბედნიერი დღე დადგა.

დმერთო, ნუთუ არაფერს არ მეტყვის, იქნებ, მე უნდა ვუთხრა რამე?

- თემურ! - გავიგონე ძალიან ჩუმი ხმა.
- თემურ, თემო!.. - ხმა ვერ ამოვიდე, გული უელში მომებჯინა. დედა აღგა, მას კოჭებამდე თეთრი პერანგი ეცვა და მოჩვენებასავით უახლოვდებოდა ჩემს საწოლს. იგი მოვიდა და ჩემს წინ მუხლებზე დაეჭვა. თვალები დაგხუჭე, მისი ათროთოლებული ხელები საფეთქლებზე შემეხო.
- თემურ, ჩემო პატარა ბიჭო, თემო, თემიკო, გამეცი ხმა, შვილო! - მე მინდოდა, მოვმკვდარიყავი, დავყრუებულიყავი, მეკივლა, დამეძახა მეზობლებისათვის, რომ ეშველათ ჩემთვის.
- თემურ, რამხელა ხარ, ბიჭო! რამ გაგზარდა, დედა, ვინ გაგზარდა, ჩემო ბიჭო, ჩემო თემოკო? შენ იცი, რომ ხვალ თცი წლის ხდები?.. რატომ, რატომ მერე? რატომ რვა წლის არ ხარ ისევ, ჩემო პატარა ბიჭო, რატომ რვა წლის არა ხარ, რატომ, რატომ არა ხარ... - იგი დამეტხო მკერდზე და ატირდა. მე ლოგინიდან წამოვდექი, წამოვაყენე ფეხზე, მხრებზე ხელი მოვხვივ, თვის საწოლთან მივიყვანე და დაგხვი.

- რატომ, რატომ... – იმეორებდა იგი.
- დაწყნარდით, თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ! – როგორც იქნა, ამოვიღე სმა. დედამ სახეზე აიფარა ხელები და ცოტათი დაწყნარდა. მე ჩემს საწოლთან მივედი, მერე უკან მოვიხე-დე. დედა ისევ ისე იჯდა. ტანზე ჩავიცვი და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი...
- დილით დავბრუნდი... ეს ჩემი სახლის სადარბაზოა, ერთი საფეხური, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ნეტავ რამდენი საფეხურია?.. ჩემს სიცოცხლეში არ დამითვლია... თუმცა, როგორ არ დამითვლია. ბავშვობაში მეტს რას ვაკეთებდი... მაგრამ არ მასსოვს. უკან ვბრუნდები და ხელახლა ვითვლი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი საფეხურია. მე მეოთხე სართულზე ვცხოვრობ, ესე იგი, რვაჯერ თერთმეტი... რამდენია რვაჯერ თერთმეტი?.. რვაჯერ თერთმეტი ბევრია... მთელი სიცოცხლე უნდა იარო, მთელი სიცოცხლე, ბოლოში რომ მიხვიდე... რვაჯერ თერთმეტი... ელექტრონის ლილაკს ხელი დაგაჭირე და ვიდრე დარეკავდა, კარი გაიღო. კარში იდგა დედა, ჩემი დედა, ჭაღარა და ლამაზი, ისეთი ლამაზი, როგორიც თორმეტი წინ, როდესაც იგი მსოფლიოში ყველა დედაზე ლამაზი იყო.

– გამარჯობა, დედა! – ვთქვი მე.

დედა იდგა კარში. იგი არ ტიროდა, იგი იდიმებოდა, თვალებიდან მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა და აცახცახებულ ნიკაპთან ეკვრებოდა.

– გამარჯობა, დედა! – გავიმეორე მე.

## ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

- 1. რა ფუნქციას ასრულებს ტექსტის პირველი აბზაცი?**
  - ქმნის განცდას, რომ ეს ყველაფერი ოდესდაც უკვე მოხდა.
  - ქმნის განცდას, რომ პერსონაჟი კომიკურ სიტუაციაში მოხვდება.
  - ქმნის განცდას, რომ რომელიმე პერსონაჟი უდავოდ უნდა დაიღუპოს.
  - ქმნის განცდას, რომ სრულიად უჩვეულო რამ უნდა მოხდეს.
- 2. რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს ამ მონაკვეთში: „ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჭაღარა ქალმა მშვიდად შემხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევ განაგრძო ამბავი“?**
  - დედა თაგს დამნაშავედ გრძნობდა საკუთარი შვილის წინაშე.
  - დედამ ვერ იცნო შვილი ხანგრძლივი განშორების შემდეგ.
  - დედას არ სურდა განშორების შემდეგ შვილთან ურთიერთობა.
  - დედა შვილისათვის არასასურველი და საშიში სტუმარი იყო.
- 3. რომელი ფრაზა გამოხატვს თემურის სულიერ მდგომარეობას?**
  - „ჭაღარა ქალმა უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევ დამაცქერდა“.
  - „მეზობლები კარისკენ შემოტრიალდნენ... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა“.
  - „მესმოდა მხოლოდ ჩემი გულისცემა, ვიდაცის სკამის სულისწამდები ჭრიალი“.
  - „მაშინ ჭაღარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა“.
- 4. რატომ ვერ შეძლო თემურმა დედის მისაღმებაზე გაეცა პასუხი: „გამარჯობა, დედა“?**
  - თემური დედასთან ურთიერთობას გადაჩვეული იყო.
  - თემურმა ვერ იცნო მოხუცებული დედა.
  - თემურს არ სურდა დედასთან ურთიერთობა.
  - თემურს დედა პოლიტიკურ დამნაშავედ მიაჩნდა.
- 5. რატომ განმარტოვდა სამზარეულოში თემური, მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ელი-კო ეუბნებოდა: „შედი, ბიჭო, ოთახში, ქვა ხომ არ ხარ, ცოდვაა ის ქალი“?**
  - თემური აღელვებული იყო და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.
  - თემური ნაწყენი იყო დედაზე, რადგან მან მიატოვა შვილი.
  - თემურს ეშინოდა, რომ დააპატიმრებდნენ დედასთან ურთიერთობის გამო.
  - თემურს ეშინოდა, რომ დედა გადასახლების ამბებს მოუყვებოდა.

- (1) 6. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: „ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ცხადი, როგორც შვილი ჭადარი უნივერსიტეტის წინ“?
- ა) ირონიას.
  - ბ) სარკაზმს.
  - გ) შედარებას.
  - დ) პიპერბოლას.
- (1) 7. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: „ჯიგარო, დეპუტატი კი ხარ, მაგრამ ბილეთის აღება არ დაგავიწყდეს“?
- ა) ალუზიას.
  - ბ) ირონიას.
  - გ) შედარებას.
  - დ) პიპერბოლას.
- (1) 8. დედის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სიტყვებით: „რატომ რვა წლის არ ხარ ისევ, ჩემი პატარა ბიჭო, რატომ რვა წლის არა ხარ, რატომ, რატომ არა ხარ“?
- ა) აღმფორება და სიძულვილი.
  - ბ) აღტაცება და სიხარული.
  - გ) გულისტკივილი და სინანული.
  - დ) შიში და მოუთმენლობა.
- (1) 9. როგორ ფრაზას შეიძლება პქონდეს სიმბოლური მნიშვნელობა?
- ა) „ჩემს სიცოცხლეში არ დამითვლია... თუმცა, როგორ არ დამითვლია“.
  - ბ) „მთელი სიცოცხლე უნდა იარო, მთელი სიცოცხლე, ბოლოში რომ მიხვიდე“.
  - გ) „ელექტრონის ღილაკს ხელი დაგაჭირე და ვიდრე დარეკავდა, კარი გაიღო“.
  - დ) „კარში იდგა დედა, ჩემი დედა, ჭადარა და ლამაზი“.
- (1) 10. რატომ სდიოდა დედას „თვალებიდან მდუღდარე ცრემლები“?
- ა) დედას გადასახლებაში ყოფნის სიმწარე გაახსენდა.
  - ბ) დედას შვილის ტრაგიკული ბავშვობა გაახსენდა.
  - გ) თემურის მშვიდობით დაბრუნებამ დედა გაახარა.
  - დ) თემურმა დედის მიმართ გაუცხოება დაძლია.
- (1) 11. როგორი განწყობილებით მთავრდება ეს ტექსტი?
- ა) იმედიანი.
  - ბ) ნეიტრალური.
  - გ) ნიპილისტური.
  - დ) უიმედო.
- (1) 12. რამ განაპირობა დედა-შვილის პიროვნული ტრაგედია?
- ა) გაუთვალისწინებულმა შემთხვევითობამ.
  - ბ) მსოფლიო ომმა.
  - გ) სოციალიზმის კრიზისმა.
  - დ) სტალინურმა რეჟიმმა.
- (1) 13. რით არის ეს ტექსტი გამორჩეული?
- ა) ახალ უანრს ამკვიდრებს ქართულ მწერლობაში.
  - ბ) გადმოგვცემს დიდი ადამიანის უცნობ ბიოგრაფიას.
  - გ) მოთხოვთ ამბავი უადრესად ემოციურია.
  - დ) ჭარბადაა გამოყენებული მხატვრული საშუალებები.
- (1) 14. რის შესახებ არ საუბრობს ავტორი ამ ტექსტში?
- ა) დედა-შვილის გაუცხოების.
  - ბ) მეზობელთა თანადგომის.
  - გ) პიროვნული ტრაგედიის.
  - დ) სამშობლოს სიყვარულის.

## (1) 15. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?

- ა) ტირანული რეჟიმის გამო თემურმა წარმატებას ვერ მიაღწია.
- ბ) ტირანულმა რეჟიმმა ბოროტების იმპერიის დაშლა გამოიწვია.
- გ) ტირანულმა რეჟიმმა დედა-შვილის ურთიერთობაზეც კი იმოქმედა.
- დ) ტირანულ რეჟიმს არაერთი უდანაშაულო ადამიანი ფიზიკურად შეეწირა.

## ბ) წერითი დაგალება (25 ქულა)

### წერითი დაგალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი**, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისის. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშუშვარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

### გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ თემურის მხატვრული სახის შესახებ.
  - ჩამოაყალიბეთ ტექსტის მთავარი სათქმელი.
  - იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დაგალება № 12

ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი დამე“ მოთხრობილია, როგორ ნახა თემურმა კიბეზე წაჭყული, მომაკვდავი მეზობელი აბიბო, რომელსაც ცოტა ხნით ადრე ენდო და პატიმრობიდან გამოქცეული მეგობრის ამბავი გაუმხილა, აბიბომ კი თემურის მეგობარი დააჭერინა.

აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო. ახლა მე ამას მოვკლავ, თუმცა რა, თავისითაც კვდება, დავჯდები, ვუყურებ, ვიღრე არ მოკვდება, იქნებ წყალი უნდა, მე წყარო ვარ ახლა მისოვის, თუ ვარ, იცოდეს, რომ დამშრალი წყარო ვარ... იქნებ ხმა უნდა გაიგონოს კაცის და ჩემი ხმა ღმერთის წყალობა იქნება მისოვის, – თუ ასეა, იცოდეს, რომ მუნჯი ვარ... იქნებ რამის თქმა უნდა და ყურადღებას ითხოვს, იცოდეს, რომ ყრუ ვარ... იქნებ სინათლე უნდა და მე ვარ მისოვის მზე. – მაშინ იცოდეს, რომ არა ვარ, არა... იქნებ პაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი პაერი, – არა, არა, დახშული სარკმელი ვარ მისოვის... ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვადგივარ და მე მოგალავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა. ათასი ურო მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა – მოკალი, მოკალი, მოკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან.

– აბიბო! – ვთქვი მე ისეთი გამოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა.

აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემხედა.

– ეს მე ვარ, აბიბო! – ვუთხარი მე.

- მიშველე! – მთხოვა მან და ოვალები დახუჭა.
  - აი, ახლა ავდგები, ავდგები და... – დამბლა თუ არ დამეცემოდა, არ მეგონა. მაგრამ ავდე-  
ქი, ტელეფონთან მივედი, 03 ავტომატი და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე.
  - წყალი! – თქვა აბიბომ და გამშრალი ტუჩები გაიღოკა. სამზარეულოში გავედი, ჭიქა  
წყლით ავაგსე და ტუჩებთან მიუტანე. ცოტა მოსვა, ხელება აუგარდა.
  - პაერი, პაერი! – თქვა მან. სული რომ მოითქვა, ყველა ფანჯარა გავადე, ოთახში გრილი პა-  
ერი შემოვარდა, და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ოთახი ნაფტალინისა და მტერის სუნით იყო  
გაჟღენილი.
  - მიშველე! – თქვა მან ისევ და აბორგდა.
  - ნუ გეშინია, გიშველი, ახლა ექიმი მოვა! – ვუთხარი მე და ტახტე ჩამოვჯექი.
  - მიშველე! – გაიმეორა მან.
- კარზე დარეკეს. გავადე. ოთახში ერთი ძალიან მსუქანი ქალი და გამხდარი კაცი შემოვიდ-  
ნენ...
- დროზე მოგისწრიათ, ნუ გეშინიათ, გადარჩება; ასეთებს ვარჩენთ?! – თქვა კაცმა და ექ-  
თანს გადახედა.
  - თქვენი ჭირიმე, ექიმო! – ვთხოვე მე...
- კარი დავხურე და ისევ აბიბოს სასთუმალს მიფუჯექი. ალბათ, წამალმა იმოქმედა და ერთი სა-  
ათის შემდეგ აბიბომ ცოტა მოიხედა. მან თავი მოაბრუნა ჩემკენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს  
მიყურა.
- რომელი ხარ? – მკითხა ბოლოს გაუბედავად.
  - თემური ვარ!
  - რა მოხდა, რა მჭირს?
  - არაფერი, დაიძინე, ცოტა ცუდად იყავი, ახლა კარგად ხარ! – აბიბომ თვალები დახუჭა,  
მაგრამ არ დაუძინია, ეტყობა, რადაცას იგონებდა და ვერც იგონებდა.
  - თემური, შენ ხარ? – მკითხა ბოლოს.
  - მე ვარ, ძია აბიბო, მე! – ვუთხარი და ტილო გამოვუცვალე.
  - არ მოვავდები?
  - არა, ექიმმა თქვა, არ მოვავდებაო.
  - არ დამტოვო, ბიჭო!
  - არა, ნუ გეშინია, დაიძინე. – აბიბომ თვალებში შემხედა, მერე, ალბათ, მენდო, თვალები  
დახუჭა და გეერდზე გადაბრუნდა...

დილის ექვს საათამდე აბიბოს სასთუმალს ვეჯექი და ტილოებს ვუცვლიდი... თავიდან სიძულ-  
ვილით ყელამდე სავსე. ჩემდა გასაოცრად, თანდათან დავიცალე, გული დამიწყნარდა, საფეთქლე-  
ბი ადარ მეწვოდა, ვეჯექი სასთუმალს და ვუცერდი სიკვდილისაგან შეშინებულ და მუშტისხე-  
ლად ქცეულ, მოტეხილ აბიბოს, მერე მთლიანად დავიცალე სიძულვილისაგან და ვიჯექი სრუ-  
ლიად ცარიელი, არაფერი გრძნობა არ მქონდა ამ კაცის მიმართ. ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე,  
თუ კუნძი, არ ვიცოდი, უბრალოდ იწვა რაღაც, რასაც ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ვხედავდი. მერე  
მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის, ჯერ როგორც უბრალოდ ავადმყოფი, მერე, როგორც მე-  
ზობელი, მერე, როგორც ახლო მეზობელი, უურის მეზობელი, და ბოლოს, შემეშინდა კიდევაც,  
როდესაც შევატყვე, რომ ტირილი მომინდა. ხელი შუბლზე გადავუსვი და სასთუმალი გავუსწო-  
რე. მერე მე ავივსე ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრალულით, რომ მი-  
სი ცქერა ადარ შემეძლო და ფეხზე ავდექი. თითქოს იგრძნოო, აბიბო აწრიალდა.

- თემური, თემური.
- აქ ვარ.
- არ დამტოვო, ბიჭო, მომკალი, და ნუ დამტოვებ. – იგი ჩემკენ გადმოტრიალდა.
- არ დაგტოვებ, ძია აბიბო, ნუ გეშინია.
- მაპატიე, ბიჭო, თუ შეგიძლია!.. – მე ტილო დავადე თავზე, აბიბომ ჩემი ხელი დაიჭირა და  
კოცნა დაუწეო.
- რას შვები, ძია აბიბო! – ვუთხარი მე და ხელი წავართვი.
- მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! – მე ხმას არ ვიღებდი.
- მაშინ მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?
- მე მკლელი არა ვარ, ძია აბიბო! – აბიბო მიყურებდა თავისი გამჭვირვალე ლურჯი თვა-  
ლებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე, და ეს რაღაც ცრემლი იყო – აბიბო ტიროდა.

დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩაეძინა და მე სახლში ავედი. ტანში რაღაც საოცარ სი-  
სუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დაგზოვე წუხელ აბი-  
ბოს ოთახში, თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის ნაცვლად რაღაც საოცრად სუფთამ,  
გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამიგსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგივით მათ-  
რობდა.

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაბები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 1. **თემურის რა გრძნობას გამოხატავს სიტყვები:** „კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატ-რობდი“?
- ა) თანაგრძნობას.
  - ბ) მონანიებას.
  - გ) სინანულს.
  - დ) შურისძიებას.
- (1) 2. **რომელ წინადაღებაში იყენებს ავტორი მეტაფორას?**
- ა) „ახლა მე ამას მოვკლავ“.
  - ბ) „თუმცა რა, თავისითაც კვდება“.
  - გ) „იქნებ წყალი უნდა“.
  - დ) „წყარო ვარ ახლა მისთვის“.
- (1) 3. **რას გულისხმობს თემური სიტყვებში:** „იქნებ ჰაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი ჰაერი, – არა, არა, დახშული სარკმელი ვარ მისთვის“?
- ა) იგი არავის არ დაინდობს.
  - ბ) იგი არ გაწირავს აბიბოს.
  - გ) იგი არ დაინდობს აბიბოს.
  - დ) იგი ყველა მოდალატეს გაანადგურებს.
- (1) 4. **რომელ სიტყვებში ჩანს, რომ თემური ნერვიულობს?**
- ა) „ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვაღიგარ“.
  - ბ) „მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს“.
  - გ) „მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა“.
  - დ) „შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან“.
- (1) 5. **რომელი სიტყვები მიუთითებს იმაზე, რომ აბიბოს მიმართ თემურის დამოკიდებულება იცვლება?**
- ა) „აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემხედა“.
  - ბ) „ეს მე ვარ, აბიბო! – ვუთხარი მე“.
  - გ) „მიშველ! – მთხოვა მან და თვალები დახუჭა“.
  - დ) „03 ავკრიფე და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე“.
- (1) 6. **რაზე მეტყველებს ის, რომ აბიბო ხშირად იმეორებს სიტყვას – „მიშველე“?**
- ა) აბიბო არავერს ნანობს.
  - ბ) აბიბო ნანობს დანაშაულს.
  - გ) აბიბოს მთავრობის ეშინია.
  - დ) აბიბოს სიკვდილის ეშინია.
- (1) 7. **რა ფუნქცია ეკისრება სიტყვებს: „დროზე მოგისწრიათ, ნუ გეშინიათ...“?**
- ა) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ თემურისათვის აბიბოს ბედს სრულებით არ ჰქონდა მნიშვნელობა.
  - ბ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დროული გამოძახება სულაც არ იყო აუცილებელი.
  - გ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დროული გამოძახებით თემურმა აბიბო სიკვდილს გადაარჩინა.
  - დ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დაგვიანებით გამოძახებით თემურმა აბიბო სასიკვდილოდ გაიმეტა.
- (1) 8. **რატომ ეჯდა საწოლთან მთელი დამის განმავლობაში თემური აბიბოს?**
- ა) აბიბოს არსად რომ არ დაერცა.
  - ბ) აბიბო საუბრით რომ გაერთო.
  - გ) სიკვდილისაგან რომ ეხსნა აბიბო.
  - დ) სხვას რომ არ გადაერჩინა აბიბო.

(1) 9. რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ აბიბო აცნობიერებს თემურის კეთილშობილებას?

- ა) „ეტყობა, რადაცას იგონებდა და ვერც იგონებდა“.
- ბ) „დიდხანს, ძალიან დიდხანს მიუურა“.
- გ) „ფეხზე ავდექი. თითქოს იგრძნოო, აბიბო აწრიალდა“.
- დ) „ჩემი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყო“.

(1) 10. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებას?

- ა) „ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე, თუ კუნძი“.
- ბ) „მერე მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის“.
- გ) „ხელი შუბლზე გადავუსვი და სასოფლო გაფუსწორე“.
- დ) „მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი“.

(1) 11. რატომ უთხრა აბიბომ თემურს: „მაშინ მომკალი, რატომ არ მქლავ, ბიჭო“?

- ა) აბიბომ გააცნობიერა, რომ არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ პქონდა ჩადენილი.
- ბ) აბიბომ გააცნობიერა, რომ თემურის წინაშე საშინელი დანაშაული პქონდა ჩადენილი.
- გ) აბიბომ გააცნობიერა, რომ მთავრობის წინაშე საშინელი დანაშაული პქონდა ჩადენილი.
- დ) აბიბომ გააცნობიერა, რომ საკუთარი ერის წინაშე დანაშაული არ პქონდა ჩადენილი.

(1) 12. რომელ სიტყვებში ჩანს თემურის ქცევის ძირითადი მოტივაცია?

- ა) „ჩემდა გასაოცრად... გული დამიწნარდა“.
- ბ) „ექიმმა თქვა, არ მოკვდებაო“.
- გ) „არ დაგზოვებ, ძია აბიბო, ნუ გეშინია“.
- დ) „მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო“.

(1) 13. რატომ გრძნობდა შინ მისული თემური „საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს“?

- ა) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან ადამიანი არ დაინდო.
- ბ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან არავის არ უდალატა.
- გ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან გამცემს არ აპატია.
- დ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან ცოდვა არ ჩაიდინა.

(1) 14. რის შესახებ არ საუბრობს ავტორი ტექსტის ამ მონაკვეთში?

- ა) გაჭირვებულის დახმარების.
- ბ) დანაშაულის პატიების.
- გ) სამშობლოს სიყვარულის.
- დ) შურისძიების გრძნობის.

(1) 15. რა არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?

- ა) ადამიანი დალატისათვის სიკვდილით უნდა დაისაჯოს.
- ბ) მეგობრისათვის თავგანწირვა ადამიანის მოვალეობაა.
- გ) სამშობლოს დალატის პატიება არ შეიძლება.
- დ) შურისძიების გრძნობის დაძლევა ბედნიერებაა.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არააღებული გამოყენება, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადაღებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს დოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია აღგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ თემურის მხატვრული სახის შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ ტექსტის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 13

**უურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი რევაზი ინანიშვილის მოთხოვნიდან „ლარა“:**

ათი თვის თავზე, რაც ლარა და მისი შვილი უულიენი ჩვენს მეზობლად დასახლდნენ, ლარას ცნობილი მამა გაათავისუფლეს. – უკვე ოთხემეტ წელიწადზე მეტი ჰქონდა გათავებული, მაგრამ უფრო ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს, – მთლად დავრდომილი, დისტროფიულებული...

გადმოიყვანეს მანქანიდან ლარამ და ლონიერმა კაცმა ვიდაც თითქოს დაშლილი, არეულ-დარეული. ცალი ხელი რომ მის იდლიაში ჰქონდა შეყოფილი ლარას, მეორე ხელით თავს უჭერდა, უკან არ გადავარდნოდა. რაღაც დიდი შავი კეპი ეხურა ლარას მამას, ის კეპი უყირავდებოდა და იმას კიდევ მამაკაცი უსწორებდა... მე არ მინახავს, როგორა აქვთ გადმოკარკლული თვალები ჩამოხრმბილებს, მხოლოდ გამიგია, მაგრამ იმ დღის შემდეგ სულ ასე მგონია, ასეთი საშინელი თვალები არც ერთ დამხრჩვალს არ ექნება. გადმოკარკლული არაფერი – დიდები, და სან აქეთ გადასწევდა იმ თვალებს, სან იქით, და ეს საშინელი იყო. საშინელი ჰქონდა პირიც, დეფორმირებული შავი ღრუ.

ეგეთი დაშლილი, გაარარავებული ამოიყვანეს მაღლა. უულიენი იდგა, თითქოს ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოეხერხებინა, მერე მანქანის კარი დაკეტა, წამოვიდა, შორიახლოს მოსდევდა დედას, პაპას და ლონიერ კაცს. შეიყვანეს შინ ნაპატიმრალი, შეიკეტნენ, ალბათ, დააწვინეს. ლონიერი კაცი წავიდა. შემაშვილობელი სიჩუმე და უძრაობა დააწვა ჩვენს სადარბაზოს.

ჯერ ხომ ისედაც ერიდებოდა მეზობლებს ლარა, მამის მოყვანის შემდეგ, ეტყობოდა, მთლად აღარავისთან უნდოდა შეხვედრა. ალბათ, ვედარც იცლიდა ვერავისთვის. დილაადრიან რძის რიგისკენ მიაჩხაკუნებდა ბოთლებს, მერე ბაზარში გარბოდა. ხელით ეჭირა სათვალე, მერე, სამსახურიდან დაბრუნებული, სან აფთიაქში იყო წასასვლელი, სან – ვიდაც ექიმებთან. ისედაც

გამხდარი, კიდევ უფრო გახდა, მხრები უარესად აეწურა, თითქოსდა ცხვირიც დაუგრძელდა. გახდა, დანაღვლიანდა უულიენიც. რამდენჯერაც კი შევხვდი, ყოველთვის სიგარეტი ეჭირა ხელში.

რა თქმა უნდა, პირისპირაც ვხვდებოდით მეზობლები, მაგრამ ლარა არავისთან გაჩერებულა, არავისთვის შეუჩივლია, როგორც ვიცით ხოლმე, – უდანაშაულო იყო მამა, სხვებს შეალია თავისი სიცოცხლე და ვინ დაუფასა მერეო. თვითი უზოგავად იბრძოდა მის გადასარჩენად, – ამ საქმეშიც ხომ ცნობილი არიან ჩვენი ქალები, გამორჩევით – დედისერთა ქალები მამებისათვის. საიდან, როგორ, არ ვიცი, მაგრამ მაინც გამოდიოდა გარეთ ნაპატიმრალის ჯანმრთელობის ამბები, – პემოგლობინი ჩვითმეტამდე პქონდა დაცემული. საჭმელს კი ვერ ჭამდა. იდგა ლარა, უწურავდა სხვადასხვაგვარ წვენებს, უწურავდა ღვიძლსა და ხორცსაც და პატარა ბავშვსაგით აძლევდა კოვზით, ცალი ხელით თავშამოწეულს. ბიჭიც, ჟულიენი, კარგი მომცველივით დასტრიალებდა თავს პაპას. წუთით არ ტოვებდნენ მარტოს. ხან დედა იყო ბიულეტენზე, ხან შვილი. ამგვარ რამებს კოლეგები თუ უხერხებდნენ ლარას. ოთხ თვეს გაგრძელდა ასეთი ბრძოლა, ოთხ თვეზე მეტსაც, და გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისში, აივანზედაც კი გამოჩნდა ნაპატიმრალი. ისევ კი ჩამოფლასული ედგა ტანსაცმელი, მაგრამ შედარება არ იყო, საკუთარ ფეხებზე იდგა, თავიც სწორად ეჭირა და გაშავებული ხელებით მოაჯირს ჩაჭიდებული გადაჰყურებდა ქვეყანას. ერთხელ ჩემქნაც გამოიხედა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ორ, თვალებში მაინც სინდიუმი სიმბიმე და სიცივე ედგა.

ლარა გათავისუფლდა მუდმივი დაძაბულობისაგან. დაუბრუნდა კარგი დიმილი, ტუჩებზე რომ აჩნდებოდა ჩვენთან შეხვედრისას. გათავისუფლდა ბიჭიც. ნაპატიმრალს ახლა სათობითაც კი შეეძლო მარტო დარჩენა, იწვა, ალბათ, და კითხულობდა, ან არადა, ფიქრებში წასული, ჭერს შეჰყურებდა.

ერთ დღეს გამოვიდა ლარას მამა სახლიდან, – როცა შინ არ იყო არც ლარა, არც შვილი შვილი, – ჩავიდა დაბლა, ჩაიარა ჩვენი ქუჩა, ჩაუყვა ვაჟა-ფშაველას პროსპექტს და იქ, ფოსტის მახლობლად, წაიქცა. შემოეხვია ხალხი, გამოუძახეს სასწრაფო დახმარებას, წაიყვანეს სავადმყოფო, მაგრამ ვერაფერი უშველეს, მოკვდა. ვინ იყო, კაციშვილმა ვერ იცნო, არც პირადობის მოწმობა აღმოაჩნდა არავითარი. ჯიბეში ედო მხოლოდ სამ ფურცელზე დაწერილი და ოთხად გაცეცილი წერილი. წერილი ეგზავნებოდა მარტო სახელითა და მამის სახელით მოხსენიებულ ვიღაც უფროსს, წერილი კი არა, მოხსენებითი ბარათი. იძულებული გახდნენ, წაეკითხათ. წაიკითხეს, კველაფერი გაირკვა, შეატყობინეს ლარას... შემდეგში ამბობდნენ, სისულელე გააკეთესო, მაგრამ გვიან იყო, წერილი უკვე წაკითხული პქონდა ლარას.

მე არ მინახავს ის წერილი, მაგრამ დღეს ბევრმა იცის მისი შინაარსი. ნაპატიმრალი იმ ვიღაც დიდ უფროსს ხწერდა, უფრო – მოახსენებდა: პირველ რიგში, ვინ იყო და რა დამსახურებები მიუძღვდა საქვეყნო საქმებში (ჩანდა, უფროსსაც უნდა სცოდნოდა ეს), მერქ, რით გადაუხადეს ბოროტმა ადამიანებმა, როგორ ეწამა, მაინც გაუძლო ყველაფერს და დღეს ისევ ფეხზე დგას, და არა მარტო ფეხზე დგას, კვლავაც გააგრძელებს ქვეყნის სამსახურს და ასეთად დარჩება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ამის დასადასტურებლად კი აცნობებდა: მას ჰყავს ქალიშვილი, ექიმი, ამა და ამ პოლიკლინიკის თანამშრომელი, და მისი ვაჟი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი. ეს დედა-შვილი თითქმის ყოველდღე, ყოველთვის, დიღდა იქნება თუ სადამო, იაპონური ტრანზისტორის მეშვეობით, რომელიც დედა-შვილს საეჭვო გზით უნდა პქონდეთ შეძენილი მოსკოვში, უსმენენ ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს საზღვარგარეთიდან. მერქ, რადა თქმა უნდა, ამ გადმოცემების შინაარსს ავრცელებენ სამსახურში და ინსტიტუტში, ეს კი იწვევს ჩვენი ადამიანების მორალურ გახრწნას... ასეთი დანაშაულებების წინააღმდეგ ყველამ უნდა იბრძოლოს, ყველამ, დიღმაც და პატარამაც, უშუალო დამნაშავენი კი დაუყოვნებლივ იზოლირებული უნდა იქნენ ჩვენი საზოგადოებისაგან, პირველ რიგში, თუნდაც, მისი შვილი და შვილიშვილი... თორემ მალე, ალბათ, გვიან იქნება, გვიან...

ქვეყანამ გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ქართველები ვართ, მაინც უამრავნი მოვიდნენ დაკრძალვაზე. მეც მივედი მთელი ოჯახით, ლარას ძაბა ემოსა, თავდახრილი იჯდა, ხელი რომ ჩამოგართვი, ამომხედა, მაღლობა გადამიხადა და, შეიძლება მომქვენა, მქრქალი მწარე დიმილი გაუკრთა ბაგეზე.

## ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 1. რა ინფორმაციას გვაწვდის პირველი აბზაცი ლარას მამის შესახებ?
- ა) ლარას მამას თოთხმები წელიწადი ჰქონდა მისჯილი სამშობლოს დალატისათვის.
  - ბ) ლარას მამა თოთხმები წელიწადზე მეტხანს იყო დაპატიმრებული.
  - გ) ლარას მამა თოთხმები წელიწადი მუშაობდა დიდ პარტიულ თანამდებობაზე.
  - დ) ლარას მამა თოთხმები წელიწადზე მეტხანს უსამართლოდ იტანჯებოდა.
- (1) 2. რაზე მიგვანიშნებს ავტორი მეორე აბზაცში ლარას მამის გარეგნობის აღწერით?
- ა) ლარას მამა იმდენად არის აღმფოთებული, რომ ხელისუფლებისათვის საშიში გახდა.
  - ბ) ლარას მამა იმდენადაა შეშინებული, რომ სახლიდან თავს არ ყოფს.
  - გ) ლარას მამა იმდენადაა შეძრწუნებული, რომ სიცოცხლეც კი ადარ სურს.
  - დ) ლარას მამა იმდენად არის დაუძლურებული, რომ სიკვდილის პირასაა მისული.
- (1) 3. ულიენის რა განწყობილებებს იწვევს ბაბუამისის შინ დაბრუნება?
- ა) შიშისა და შეუწყნარებლობას.
  - ბ) აღმფოთებასა და რისხვას.
  - გ) დაბნეულობასა და სევდას.
  - დ) ზიზღასა და სიძულვილს.
- (1) 4. რატომ არ უნდა ჰქონოდა ლარას მეზობლებთან შეხვედრის სურვილი მამის მოყვანის შემდეგ?
- ა) იმდენად რცხვენოდა მამის დანაშაულისა, რომ ხალხთან საუბარს თავს არიდებდა.
  - ბ) იმდენი ამბავი იყო მამის შესახებ მოსაყოლი, ერჩივნა – არაფერი ეთქვა.
  - გ) იმდენი ენერგია სჭირდებოდა მამის მოვლას, რომ დრო აღარაფრისოვის რჩებოდა.
  - დ) იმდენად ეშინოდა – ხელახლა არ დაეჭირათ მამა, რომ ყველას გაურბოდა.
- (1) 5. რომელ ფრაზაში მიმართავს ავტორი მხატვრულ საშუალებას?
- ა) „რამდენჯერაც კი შევხვდი, ყოველთვის სიგარები ეჭირა ხელში“.
  - ბ) „შეიყვანეს შინ ნაპატიმრალი, შეიკეტნენ, ალბათ, დააწვინეს“.
  - გ) „დილაადრიან რძის რიგისკენ მიაჩხაკუნებდა ბოთლებს“.
  - დ) „შემაშფოთებელი სიჩუმე და უძრაობა დააწვა ჩვენს სადარბაზოს“.
- (1) 6. ლარას რა თვისება იკვეთება მამის მოვლის ეპიზოდში?
- ა) ფანატიკური მორჩილება.
  - ბ) მოჩვენებითი პატივისცემა.
  - გ) უშედეგო თავდადება.
  - დ) თავგანწირული ერთგულება.
- (1) 7. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მეტაფორას?
- ა) „გაშავებული ხელებით მოაჯირს ჩაჭიდებული გადაჰყურებდა ქეყანას“.
  - ბ) „ბიჭიც, ულიენი, კარგი მომვლელივით დასტრიალებდა თავს პაპას“.
  - გ) „კითხულობდა, ან არადა, ფიქრებში წასული, ჭერს შეჰყურებდა“.
  - დ) „ოვალებში მაინც სინდიკის სიმძიმე და სიცივე ედგა“.
- (1) 8. რაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ავტორი იმით, რომ სახლიდან პირველად გამოსული ლარას მამა ფოსტასთან წაიქცა?
- ა) წერილი უნდა გადაეცა უფროსისათვის.
  - ბ) ფოსტაში სამსახურის დაწყება სურდა.
  - გ) დასმენის წერილის გაგზავნა უნდოდა.
  - დ) ფოსტის შენობასთან შემთხვევით მოხვდა.
- (1) 9. რატომ ამბობდა ზოგი, სისულელე გააკეთეს, ლარას მამამისის წერილი რომ წააკითხეს?
- ა) ლარასთვის უმჯობესი იქნებოდა, არ სცოდნოდა, რისთვის იყო მამამისი დაპატიმრებული.
  - ბ) ლარასთვის უმჯობესი იქნებოდა, არ სცოდნოდა, რა ეწერა ამ წერილში.
  - გ) ჯობდა, რომ ლარასა და ულიენს მოგვიანებით გაეგოო წერილის შინაარსი.
  - დ) ჯობდა, ლარას კი არა, ულიენს გაეგო, რა ეწერა წერილში.

- (1) 10. რა დანაშაულს აბრალებდა ლარას მამა საკუთარ შვილსა და შვილიშვილს?
- ა) უსმენდნენ უცხოურ რადიოსადგურს და არავის არაფერს ეუბნებოდნენ.
  - ბ) უსმენდნენ უცხოურ რადიოსადგურს და თვითონაც აწვდიდნენ მას ინფორმაციას.
  - გ) უსმენდნენ უცხოურ რადიოსადგურს და ბეჭდავდნენ პოლიტიკურ პროკლამაციებს.
  - დ) უსმენდნენ უცხოურ რადიოსადგურს და შემდეგ ავრცელებდნენ ინფორმაციას.
- (1) 11. რა შეიძლება ვივარაუდოთ ლარას მამის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით?
- ა) ლარას მამა საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის კატეგორიულად მიუღებელი პიროვნება უნდა ყოფილიყო.
  - ბ) ლარას მამა პარტიული მუშაკი ან უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო.
  - გ) ლარას მამა ნამდვილი პატრიოტი და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი უნდა ყოფილიყო.
  - დ) ლარას მამა უცხოეთის აგენტი ან მტრისგან შემოგზავნილი დიპლომატი უნდა ყოფილიყო.
- (1) 12. რომელ სახელმწიფოს გულისხმობს ლარას მამა ფრაზაში: „უსმენენ ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს“?
- ა) გაერთიანებულ სამეცნი.
  - ბ) რუსეთის ფედერაციას.
  - გ) საქართველოს რესპუბლიკას.
  - დ) საბჭოთა კავშირს.
- (1) 13. რას მოითხოვდა ლარას მამა მოხსენებით ბარათში?
- ა) საკუთარი შვილისა და შვილიშვილის დაპატიმრებას.
  - ბ) დამბეზღებლების დაუყოვნებლივ დაპატიმრებასა და დასჯას.
  - გ) უდანაშაულობის აღიარებასა და ზარალის ანაზღაურებას.
  - დ) სასწრაფო ამნისტიასა და საყოველთაო დაფასებას.
- (1) 14. ლარას მამის რა თვისებები გამოიხატა მისივე ხელით დაწერილ მოხსენებით ბარათში?
- ა) მლიქვნელობა და შურიანობა.
  - ბ) ფანატიზმი და უმადურობა.
  - გ) ფანატიზმი და გულგრილობა.
  - დ) უმადურობა და ამპარტავნობა.
- (1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
- ა) ადამიანის ზნეობრივი გადაგვარების.
  - ბ) მამისადმი შვილის ერთგულების.
  - გ) სასტიკი პოლიტიკური რეპრესიების.
  - დ) საქართველოს უანგარო სიყვარულის.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწილი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარეგნული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშუშვარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ლარას მამის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი (ყურადღება მიაქციეთ თხრობის ხელისა და თავისებურებებს).
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 14

მოთხოვთ „ანტონიო და დავითი“ ჯემალ ქარჩხაძე გადმოგვცემს ევროპელი მისიონერის, ანტონიოსა და ქართველი ყაჩაღის, დავითის, შეხვედრის ამბავს:

დავითმა თქვა:

— ანტონიომ გაიცინა. მერე მშვიდად განაგრძო: „გეშინია. და თუ ყელს გამომჭრი, ამასაც შიშის გამო ჩაიდენ. კაცი კაცს მხოლოდ იმიტომ ჭრის ყელს, რომ ეშინია. კაცს იარაღი მხოლოდ იმიტომ დააქვს თან, რომ ეშინია. კაცი სიავეს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ეშინია. ბოროტებას ბოროტი კაციც ისევე თვლის უსამართლობად, როგორც კეთილი, და არც ჩაიდენდა, შიშს რომ ლაბრად არ ექცია. ლაბარი და ბოროტი ერთი და იგივეა. შიში ყველა ადამიანს დაბადებითვე თან დაჰყვება, მაგრამ ზოგს პყოფნის გამბედაობა, თვალი გაუსწოროს თავის შიშს, ზოგს არა. ვისაც არ ჰყოფნის, ის ლაბარი და უსამართლო ხდება. თანდაყოლილი შიში სიკვდილის შიშია და ვინც შიშს ბატონად გაიხდის, მას ყველაზე მოსაფრთხილებული ამქვეყნად თავისი სიცოცხლე პგონია. შენ რომ იცოდე, შენი სიცოცხლე იმაზე მეტი არა ღირს, ვიდრე სხვისი, განა მაშინაც მოკლავდი კაცს! ჩვენ ყველანი მშიშრებად კი ვიბადებით, მაგრამ ყველანი ლაბრები არა ვართ. შენ ლაბარი გამოდექი და შიშის დაძლევას შიშის დამალვა ამჯობინე, რადგან შიშის დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე შიშის დაძლევა, მოკვდა უფრო ადვილია, ვიდრე გადარჩენა, გაძარცვა უფრო ადვილია, ვიდრე დახმარება, წაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე წამოყენება, სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული. შენ შენს თანდაყოლილ შიშს ვერ გაუძლელი, ლაბრად იქცი და იოლი გზა აირჩიე. შენ ყველაფრის გეშინია, რაც შენს გარეთაა, ამიტომ ცდილობ, რაც შენს გარეთაა, ყველაფრი მოსპო, მაგრამ ეს შეუძლებელია. თავ

არ უტყდები, ოორემ თავადაც იცი, რომ ეს შეუძლებელია. მთელი ქვეყანა რომ მონად გაიხადო, როგორც შენი სულმდაბალი სიძე გაიხადე მონად, შენს შიშს მაინც არაფერი ეშველება: ნადირს ხომ ვერ გაიხდი მონად, სტიქონს ხომ ვერ დაჩაგრავ და დაიმორჩილებ, ზვავს ხომ ვერ შეაკავებ, წარლვნას ხომ ვერ დაემალები, ვულკანს ხომ ვერ გაექცევი? ეს კი იცი, მაგრამ გბონია, რომ, თუ შენს საცოდავ შიშს ზემოდან სხვათა სიცოცხლე დააყარე, სხვათა ტანჯვაში, სხვათა ცრემლებში, სხვათა შეურაცხეოფაში, სხვათა უბედურებაში გაახვივ, რაკი ვეღარ დაინახავ, თავსაც მოიტყუებ, ვითომ აღარც არსებობს. მაგრამ შენი მცდელობა მხოლოდ შენს უსუსურობას ადასტურებს. შენ ხომ არაფერი ისეთი არ ჩაგიდენია, რასაც შეგიძლია სიმამაცე უწოდო! შენ ხომ მუდამ იმას ჩაგრავდი, იმას ძარცვავდი და იმას კლავდი, ვისი დაჩაგვრაც, ვისი გაძარცვაც და ვისი მოკვლაც ადგილი იყო! შენ ხომ ყოველთვის უხიფათო გზას ეძებდი! ეს ციხეც ხომ იმიტომ აირჩიე სადგომად, რომ შენი სიძე ადგილი დასამორჩილებელი გამოდგა! შენზე უფრო ძლიერს რომ გადაეყარო, ხომ მაშინვე სამალავს დაუწყებ ძებნას! შენი შიში ცოცხალია და არ იქნება ერთ მშვენიერ დღეს მთელი ძალით არ ამოხეთქოს, სისხლსა და ხორცში არ გაგიჯდეს და მთელი შენი საცოდავი არსება თხემით ტერფამდის, თმის ძირებამდის შიშად არ აქციოს! მე უიარაღოდ მოვედი აქ, მკვლელებისა და ყაჩადების ბუნაგში, სადაც უჭრელი სიკვდილი მელოდა, შენ კი ახალუხის ქვეშ დამბახა გქონდა დამალული, როცა ეკლესიაში შემოხვედი, თუმცა იცოდი, დაბეჭავებული ხალხი უბატონოდ ხმის გაცემას ვერ გაგიბედავდა. შენ ცდილობ, ყველა მონად გაიხადო, თავად კი საკუთარი შიშის მონა ხარ და მუდამ იმას აკეთებ, რასაც შიში გიბრძანებს. მალე შენი მბრძანებელი ჯურდმულიდან ამოვა, თავზე დაგადგება და თვალს თვალში გაგიყრის. მაშინ ხახავ, რა ყოფილა ის შიში, სხვებისთვის რომ ასე გულუხვად იმეტებდი! ადრე თუ გვიან წინ შეგეურება და ისეთ ადგილას გიყელებს, გასაქცევი არსაით გექნება. ჯალათი რომ სახრჩობელაზე აგიყვანს და მოქანავე უულფს დაინახავ, რომელიც წამის შემდეგ კისერზე უნდა შემოგეჭდოს, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ... შუადამისას ტყეში რომ მარტოდმარტოს მგლების ხროვა ირგვლივ შემოგეხვევა და ნელ-ნელა დაიწყებს სასიკვდილო წრის შეკვრას, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. დილით რომ გაიღვიძებ და დაინახავ, თავზე მკვლელი გადგას, რომლის დამბარის ლულა შებლში გაქს მობჯენილი, მაშინ დაინახავ, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. დვინით სავსე ჯამის დაცლისას რომ გულ-მუცელი ჩაგეთუთქება და იგრძნობ, თურმე რომელი-დაც შენსავ ამხანაგს საწამლავი შემოუპარებია, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. ყველზე დიდი შიში მერე გელის, მას შემდეგ, რაც სიკვდილის შიში მოგალავს. ყველაზე დიდი შიში მაშინ გელის, როცა შენი ცოდვები მატლებივით დაგეხვევა და შენი სული შვების სამყოფელში შვებას ვერ პპოვებს. აი, ამის სათქმელად მოვედი. ახლა შეგიძლია დაუძახო შენს ძაღლებს ან შენს ამხანაგებს, რომლებიც შენს ძაღლებზე უკეთესები არ არიან.“ ანტონიო გაჩუმდა. მეც ჩუმად ვიყავი და საკუთარ სხეულს ვაყურადებდი. იქ სიბრაზის ტალღა, რომელსაც კარგად ვიცნობდი, რადგან ჩემს მოქმედებას მუდამ ის წარმართავდა, რამდენჯერმე აიზიდა, მაგრამ ვერც ერთხელ დასაყრდენი ვერ იპოვა და ამიტომ, რამდენჯერაც აიზიდა, იმდენჯერვე უკან დაეშვა...

ანტონიომ თქვა:

— დავითი დიდხანს, ძალიან დიდხანს თვალმოუშორებლად მიყურებდა და სახის გამომეტეველება სწრაფად და ხშირ-ხშირად ეცვლებოდა, თითქოს თავის თავში ისეთ ძალას ექცედა, რომელიც ეჭვებს გაუფანტავდა და მტკიცე გადაწყვეტილებამდე მიიყვანდა. ბოლოს, ეტყობა, რაღაც განხრახვაზე შეჩერდა. წამით თავისებურმა ცბიერმა და დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ყოყბანმაც გაუარა. მსუბუქად შეტრიალდა, სარკმელს მიადგა და ზანგს დაუძახა. მერე ისევ მობრუნდა და კვლავ მე მომაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ზანგი გამოჩნდა. დავითმა თითით მიიხმო. როცა ზანგი მის ბრძანებაზე ახლო მივიდა, ხელი ჩემკენ გამოიშვირა და რაღაც უთხრა. რა უთხრა, ვერ გავიგე... მხოლოდ ხმის კილოთი და გამომეტყველებით თუ მივხვდებოდი, რაზე ელაპარაკებოდა. ხმის კილო მწყრალი პქონდა, სახე მკაცრი, შებლი შექმუხნილი. თვალებში რისხვა ედგა. ზანგმა პასუხად თავი დაუქნია... მერე ხელით კარი მანიშნა და თვითონაც უკან გამოყვა. ეს ძალიან მძიმე წუთები იყო... ძაღლები ჭიშკრისკენ მიმავალი ბილიკის ზემოთ ჩაცუცებულიყვნენ. რომ გავუსწორდით, ყურები დაცემიტეს და თავები წამოსწიეს. მე, ჩემდაუნებურად, შევდექი, ზანგმა, რომელმაც ჩემი შეჩერება, ჩანს თავისებურად გაიგო, ძაღლებს რაღაც უთხრა. ძაღლებმა ყურები ისევ დაუშვეს. ზანგმა წინ გადამისწრო და ჭიშკრისკენ წავიდა. მეც უკან გავყევი, თუმცა წამითაც არ დამიჯერებია, რომ აქედან ცოცხლად გაშვებას მიპირებდენ. როცა ზანგმა ჭიშკარი გააღო და მის სახეზე რაღაც დიმილის მსგავსი გაჩნდა, ჯერ კიდევ ვერაგობას მოველოდი. მხოლოდ მაშინ, ცხენზე რომ შევჯექი, ცონის გალავანს გამოვცდი და ზანგმა, რომლისკენაც ვცდილობდი არ მიმეხდა, ჩემს ზურგსუკან ხმაურით დახურა ჭიშკარი, მივხდი, რომ სიკვდილის შიში თურმე ჯერ კიდევ ვერ დამეძლია.

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა  
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი  
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების  
ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. ჯემალ ქარჩხაძის ტექსტის ეს მონაკვეთი წარმოადგენს:

- ა) ორი პიროვნების დიალოგის ნაწყვეტს.
- ბ) ორი პიროვნების მეგობრობის ისტორიას.
- გ) ორი პიროვნების შებრძოლების ამბავს.
- დ) ორი პიროვნების თავგადასავლის თხრობას.

(1) 2. ანტონიოს აზრით, რის გამო სჩადის ადამიანი ბოროტებას?

- ა) სიძულვილის.
- ბ) შურის.
- გ) შიშის.
- დ) სირცხვილის.

(1) 3. ვისაც „პყოფნის გამბედაობა, თვალი გაუსწოროს თავის შიშს“,

- ა) მას არ შეუძლია გაუძლოს მოსალოდნელ განსაცდელს.
- ბ) ის ლაჩარი და უსამართლო არასოდეს გახდება.
- გ) მას ყველაზე მოსაფრთხილებელი თავისი ცხოვრება ჰგონია.
- დ) ის შესაძლოა სასტიკი და უსამართლო გახდეს.

(1) 4. ანტონიოს აზრით, რა ამჯობინა დავითმა შიშის დაძლევას?

- ა) შიშის დამალვა.
- ბ) სხვისადმი მორჩილება.
- გ) ცხოვრებისაგან განდგომა.
- დ) უსამართლობასთან ბრძოლა.

(1) 5. რაზე მიგვანიშნებს ანტონიო სიტყვებით: „სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული“?

- ა) სიკეთე ქვეყანას უფრო გამოადგება, ვიდრე – ბოროტება.
- ბ) სიკეთის კეთება უფრო ძნელია, ვიდრე – ბოროტებისა.
- გ) სიკეთეს ხალხი უფრო დააფასებს, ვიდრე – ბოროტებას.
- დ) სიკეთის კეთება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე – ბოროტებისა.

(1) 6. ანტონიოს აზრით, რამ განაპირობა დავითის ყაჩაღად ქცევა?

- ა) დავითმა ვერ გაბედა საზოგადოებასთან დაპირისპირება და იოლი გზა აირჩია.
- ბ) დავითმა ვერ ირწმუნა ლერთი და ბოროტების გზას დაადგა.
- გ) დავითმა ვერ გაუძლო თანდაყოლილ შიშს და უმძიმეს გზას დაადგა.
- დ) დავითმა ვერ გაუძლო თანდაყოლილ შიშს და იოლი გზა აირჩია.

(1) 7. რას ელოდა ანტონიო, როდესაც ყაჩაღთა ბუნაგში უიარაღოდ მიღიოდა?

- ა) გარდაუგად სიკვდილს.
- ბ) გულითად მასპინძლობას.
- გ) დავითის მონანიებას.
- დ) უურადღებით მოსმენას.

(1) 8. რომელი არგუმენტით ასაბუთებს ანტონიო, რომ დავითი მშიშარაა?

- ა) „წინ შეგვერება და ისეთ ადგილას გიყელებს, გასაქცევი არსაით გექნება“.
- ბ) „იცოდი, დაბეჭავებული ხალხი უბატონოდ ხმის გაცემას ვერ გაგიძედავდა“.
- გ) „ახალუხის ქვეშ დამბახა გქონდა დამალული, როცა ეკლესიაში შემოხვედი“.
- დ) „ციხეც იმიტომ აირჩიე სადგომად, რომ შენი სიძე ადვილი დასამორჩილებელი გამოდგა“.

- (1) 9. ანტონიოს აზრით, სად მოელის უკელაზე დიდი შიში დავითს?
- ა) საიქონში.
  - ბ) საპურობილები.
  - გ) სახრიობელაზე.
  - დ) ტყეში.
- (1) 10. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მეტაფორას?
- ა) „შენზე უფრო ძლიერს რომ გადაეყარო, ხომ მაშინვე სამალავს დაუწეუბ ძებნას!“
  - ბ) „სიბრაზის ტალღა, რომელსაც კარგად ვიცნობდი... რამდენჯერმე აიზიდა“.
  - გ) „ახლა შეგიძლია დაუბახო... შენს ამხანაგებს, რომლებიც ძალლებზე უკეთესები არ არიან“.
  - დ) „მიყურებდა და სახის გამომეტყველება სწრაფად და ხშირ-ხშირად ეცვლებოდა“.
- (1) 11. რას გულისხმობს ანტონიო, როდესაც ამბობს: „ეს ძალიან მძიმე წუთები იყო“?
- ა) დავითმა ვერაფერი გაიგო.
  - ბ) დავითი ჩანაფიქრს მიუხვდა.
  - გ) ყაჩაღი ახლობლებს დაუხოცავდა.
  - დ) ცოცხალს არ დატოვებდნენ.
- (1) 12. როდის მიხვდა ანტონიო, რომ სიკვდილს გადაურჩა?
- ა) როდესაც გაიაზრა, რომ სიკვდილის შიში დაძლია.
  - ბ) როდესაც დაინახა, რომ დავითი კმაყოფილი იყო.
  - გ) როდესაც ცხენზე ამხედრებული ყაჩაღთა ციხეს გასცდა.
  - დ) როდესაც ცხენზე ამხედრებული საკუთარ სახლს მიუახლოვდა.
- (1) 13. ანტონიოს რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში?
- ა) მოხერხებულობა და მიმტევებლობა.
  - ბ) სიკეთე და თავმდაბლობა.
  - გ) მჭერმეტყველება და გამბედაობა.
  - დ) სიბრძნე და იუმორი.
- (1) 14. საკუთარი თავის მიმართ ანტონიოს რა დამოკიდებულება ჩანს ფრაზაში: „სიკვდილის შიში თურმე ჯერ კიდევ ვერ დამეძლია“?
- ა) კრიტიკული.
  - ბ) კმაყოფილი.
  - გ) ირონიული.
  - დ) მიმტევებლური.
- (1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
- ა) მიუტევებელი ცოდვის.
  - ბ) სამშობლოს სიყვარულის.
  - გ) სიკვდილის შიშის.
  - დ) ჩადენილი დანაშაულის.

## ბ) წერითი დაგალება (25 ქულა)

### წერითი დაგალების ინსტრუქცია:

უკურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დაგალებას არ უბახუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დაგალებას თან ახლავს სამ-სამი მითითებება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი**, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). **გაითვალისწინეთ, რომ დაგალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცვალი.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რევულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

### გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ანტონიოს მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი (ყურადღება მიაქციეთ თხრობის სტილსა და თავისებურებებს).
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაახაბუთ!**

### დაგალება № 15

#### რომანში „სამოსელი პირველი“ გურამ დოჩანაშვილი მოგვითხოვთ:

და როგორც იქნა, ნაშეადამებს, ნამდვილი ოთვლილ მოვიდა, ქვაფენილთა სითბოს მომრევი, რბილად ბრჭყვიალებდა ფარნის შუქებ... აკ, როგორ თოვდა ლამაზ-ქალაქში, მსუბუქად იღო სახურავებზე, თეთრად აჩენდა აქა-იქ ხეებს, პეშვზე ლოყა ედოთ ლამაზ-ქალაქელებს, ეძინათ...

უცნაურ შვებას გრძნობდნენ ბუნდოვანი, თეთრი სიზმრებიდან თავდაღწეული ლამაზ-ქალაქელები: თვალს ახელდნენ და მაშინვე ფანჯარისქნ გაურბოდათ მზერა – უცხო სინათლე იღგა ოთახში, ფეხში შველნი მიდიოდნენ ფანჯარასთან პერანგისამარა ქალები და თოვლის დანახვაზე თითქოს უმკვრივდებოდათ გამჭვირვალე პერანგებიდან გამომზირალი მადლიანი ნაკვები – თოვლი მოსულა! უცებ, ერთბაშად იღვიძებდნენ და ლამაზ-ქალაქში ათასგან თეთრად ფერქებულდა გაოცებულ თვალებში თოვლი, მაგრად შეფუთვნილი, თოთო ბავშვებიც მიჰყავდათ და დებებს ფანჯარასთან და ისინიც თვალდაჭყებილნი შესცემულდნენ უცნობ სითეროეს და გაოცებისაგან პატარა თითქოს აღარ ლოდნიდნენ – ზოგი ახლადა ხედავდა პირველ თოვლს, ზოგიც, ვინ იცის, მერამდენედ და ყველას უხაროდა... აჩქარებულნი საუზმობდნენ და ქუჩაში გარბოდნენ, ბევრს ლუკმაც არ ჩასვლია პირში, ისე გამოვიდა ლამაზ-ქალაქში, ვიღაცას მოხვდა ვინსენტეს ხელით ნასროლი გუნდა, მამიდა არიალნამაც კი ვადაზე ადრე გაიღვიძა – გააკირვებულმა, ვადაზე ადრე დააფახულა სქლად შედებილი წამწამები და ნეტარებით თქვა: „აკ, ბრრ...“ ისევ, კვლავ თოვდა! დღის სინათლეზე ხალისიანად ეშვებოდნენ დიდი, დაჩვრეტილი, მსუბუქი ფიფქები და ისეთი ლადი, ისე თამამი გუნდაობა გაიმართა! დარბაისელ სენიორ ჯულიოსაც ზედ კინკრიხოში მოხვდა გუნდა და წოწოლა ქუდი გადაუგარდა. მაგრამ ჯულიოს არა სწერია, ცილიო მოხდენილად სტურცნიდა პარია გუნდებს მხოლოდ ლამაზებს, ანტონიოსთვის ერთი იყო ყველა და ჯუზეპემაც, გახარებულმა, მოელი პეშვი თოვლი იტუცა პირში. ციგებით მოსრი-

ალებდნენ ლოკებაწითლებული ბავშვები, და საეჭვო დაღმართთან მდგარმა მამიდა არიადნაშ ნაზად ითხვოვა: „გეთაყვაო, დუილიო, მომაშველეთ რაა, მკლავი...“ მაგრამ დუილიო თავად წაიცა, თოვაში გაწერიალდა კონჩენტინას ლალი სიცილი, „გამიკეთეთ, რა, გუნდა, ხელები გამეყინა,“ იხვეწებოდა ვიდაც ქალი და ალექსანდრო გახარებული შესცეკროდა ბედნიერ, სახეგაბრწყინებულ ლამაზ-ქალაქელებს...

გორაკებისკენ გაემართნენ, მაღალ ფიჭვებზე სქლად იდო თოვლი, დიდიან-პატარიანად, ცოგებით ეშვებოდნენ, და ისე ბედნიერად, ისე ძალუმად გაისმოდა აყირავებულთა სიცილი... დინო მოქროდა თვალმოჭუტული, ერთიანად აწურული, ყველაფრისადმი მზადმყოფი, გზადაგზა მოხერხებულად იცდენდა გუნდებს, თოვგამობმული ციგებით დაასეირნებდნენ ჯერ ფეხაუდგმელ ბავშვებს, მომცრო ხებს აჯანჯლარებდნენ და თოვლს აყრიდნენ ერთმანეთს თავზე, იმ თეთრი ბედნიერებით პირთამდე ბედნიერნი, და მხოლოდ სასეირნოდ გამოყვანილი უგო, თხეუთმეტი წლის გიუ, სიძულვილით შესცეკროდა ყველას და ხმადაბლა ბუტბუტებდა: „წითელი სისხლი... წითელი, თოვლზე...“ მაგრამ მისი ხმა არც გაუგიათ, ჟრიამულობდნენ... და დომენიკოს დანახვაზე უგო მაშინვე აიმურწა და ფეხაკრეფით გაიპარა შინ, დომენიკო კი მოდიოდა, გაბრუებული იმ წმინდა პაერით, მის სოფელში რომ იცოდა და, ლურჯ მოსასხმში გახვეული, თხელი, მაღალი, უცხო ქალაქში პირველ თოვლზე მიაბიჯებდა. „შეხეთ, შეხედეთ, რა ლამაზად ეშვებიან ფიფქები, – იძახდა დუილიო, – განა საცოდაობა არ არის, სიღამაზის მუზეუმში რომ არ იმყოფებიან ისინი? – და დააყოლა, – წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“ „ამან რომ არ ჩაგვამწაროს...“ – აიმრიზა ალექსანდრო, ნორჩი ჯანჯაკომო კი, აწითლებული, სადღაც მდელვარედ იყურებოდა და იქითკენვე იყურებოდა ცილიო, მსუნაგი, აკრეფილი. ტერეზა მოდიოდა.

ის მოდიოდა ლალი, თამამი, და რადაც სიცელქე აშგარად ჩაეხვია გულში – მწვანე თვალები ისე უბზინავდა. დათოვლილ გორაკზე ადიოდა ტერეზა, ოდნავ წინგადახრილი, ცალი ხელით დოინჯი შემოუყარა, მეორეს კი ლამაზად არწევდა ყოველი მოხდენილი ნაბიჯისთანავე. გრძელი ქურქი ეცვა, დიდი, მამისეული ტლანქი ჩექმები და მაინც ისე მოხდენილად, ისეთი რწევით ამოდიოდა... სქელი თავსაფარი მაგრად გაენასკვა ყელზე, ტუჩბმოკუმული, დიმილს ძლივსძლივობით იკავებდა და პაწია ფოსო ჯიუტად აჩნდა მხოლოდ ცალ, სუსხით ნაზად შეფერილ ლოგზე, თხელი, ფაქიზი ხესტოები სიცივეში თითქოს უთროდა.

ტერეზა ამოდიოდა გორაკზე, ტერეზა, თავით-ფეხამდე ქალი, ლალი, თავნება და ქალურობით მაინც განსაცმლიანად გაქდენთილი, უცნაური, ახირებული მოძრაობები თითქოს აშიშვლებდნენ გაოგნებული მამაკაცების თვალში და უჟ, როგორ სმულდათ სუყველაფერი, რაც კი ტერეზას იმ სუსხიან დილიო ეცვა. ქალი ამოდიოდა თოვლში, ახალგაზრდა, ბედნიერი ქვრივი, და არაფრისა დარდი არა ჰქონდა, მოაბიჯებდა. ის გორაკი რომ ამოიარა, შედგა, უნებურად წრე შემოარტყეს, ტერეზამ კი თავსაფარი შეისხნა, ქურქი მოიდედა, ჩექმიანი ფეხი დონივრად დაპკრა თოვლზე და ხელი შემართა. გაოცებული უმზერდნენ, ტერეზამ კი ფეხები აათამაშა თოვლზე, შეჩერდა და... თეძოზე დაირტყა ხელი. მერე შებრუნდა, მხარი ლოგამდე აზიდა, ხელები განზე გაშალა, ფეხის წვერებზე აიწია და, უცრად მკერდზე ხელებმისუბტებული, ადგილზე გაქვავდა. და სანამ გაოცებული ლამაზ-ქალაქელები დაჭყეტილ თვალებს დაახამხამებდნენ, ტერეზა ოდნავ, მსუბუქად შეხება და ყველანი ერთად მიხვდნენ – ცეკვავდა ქალი. ტერეზა ცეპვავდა პირველ თოვლზე, მხოლოდ მისოვის გასაგები ბედნიერებით ბედნიერი, ტერეზა ცეკვაზდა რომელიდაც უცხობ, სახელდახელოდ გამოგონილ ცეკვას, გრძელი თმა უფრიალებდა, უცახცახებდა მხერები, ერთიანადაც ცახცახებდა და გამწარებული იღიმებოდა ცეკვისას თვალდახუჭული ქალი და ირგვლივ – თოვდა... დიდი ჩექმებით ტეპჩინდა თოვლს აცეკვებული ქალი – ტერეზა და ის არნახული ხელების ქნევა სხვას თუ სასაცილოს გახდიდა, ტერეზას უცნაური, ყოვლის მომრევი სისასტიკით ამშვენებდა, ქალი ცეკვავდა მათ თვალწინ, წრეში, გამაღიზანებელი, ჩასაქოლი და მაინც თითს ვინ დააკარებდა – ყველას უყვარდა, და სმულდათ კიდეც – ცეკვისას ისე უცნაურად ამაღლებული და მიუწვდომელი, ის კი შეჩერდა, ოდნავ უკან გადაიხარა, მოქანცულმა, მარცხნა ხელი თითქოს ძლივს ასწია, გრძელი, მოქნილი, წვეტიანი თითგბი დომენიკოსკენ გაიშვირა და იმისოვის ზედაც არ შეუხედავს, სიჩუმეში ხალხს იმ თავისი ლამაზი, დაბალი ხმით ასე უთხრა:

ეს ბიჭი მომწონს...

## ა) წაკითხულის გაზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როგორაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 1. რა განწყობა დაეუფლათ „ლამაზ-ქალაქელებს“ თოვლის დანახვისას?
- ა) გაოგნება და სინანული.
  - ბ) გაოგნება და შეშფოთება.
  - გ) გაოცება და სიძულვილი.
  - დ) გაოცება და სიხარული.
- (1) 2. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მეტაფორა?
- ა) „გაოცებისაგან პატარა თითებს ადარ ლოდნიდნენ“.
  - ბ) „ფეხშიშველი მიდიოდნენ ფანჯარასთან პერანგისამარა ქალები“.
  - გ) „ისინიც თვალდაჭყეტილი შესცეკროდნენ უცნობ სითეთრეს“.
  - დ) „თეთრად ფეხქდებოდა გაოცებულ თვალებში თოვლი“.
- (1) 3. როგორი წარმოდგენა შეიძლება შეექმნას მკითხველს მამიდა არიადნას შესახებ?
- ა) ეჭვიანია.
  - ბ) ლადია.
  - გ) მოწყენილია.
  - დ) კმპლუცია.
- (1) 4. რა ქმნის კონტრასტს საყოველთაო მხიარულების ფონზე?
- ა) ალექსანდროს რეაქცია ქალაქელების საქციელზე.
  - ბ) კონჩენტინას უსაფუძვლო მხიარულება.
  - გ) თხუთმეტი წლის გიუის სიტყვები.
  - დ) მოსასხამში გახვეული დომენიკოს გამოჩენა.
- (1) 5. რაზე მიგვანიშნებს ავტორი დუილიოს სიტყვებით?
- ა) ეს პერსონაჟი ყურადღების მიქცევას მაღალფარდოვნობით ცდილობს.
  - ბ) ეს პერსონაჟი ყურადღების მიქცევას სიმამაცით ცდილობს.
  - გ) ეს პერსონაჟი ყურადღების მიქცევას მოხერხებულობით ცდილობს.
  - დ) ეს პერსონაჟი ყურადღების მიქცევას თავაზიანობით ცდილობს.
- (1) 6. ალექსანდროს რა დამოკიდებულება მუღავნდება დუილიოს შესახებ ნათქვამ სიტყვებში?
- ა) ალექსანდროს მეგობრად მიაჩნია დუილიო.
  - ბ) ალექსანდროს უყვარს დუილიო.
  - გ) ალექსანდროს მტრად მიაჩნია დუილიო.
  - დ) ალექსანდროს ადიზიანებს დუილიო.
- (1) 7. რა განაპირობებს მოქალაქეთა განწყობილების შეცვლას?
- ა) საყოველთაო მხიარულება.
  - ბ) ტერეზას გამოჩენა.
  - გ) დომენიკოს გამოჩენა.
  - დ) შეუჩერებელი თოვა.
- (1) 8. რომელი სიტყვები აფიქრებინებს მკითხველს, რომ რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს?
- ა) „ეცვა დიდი, მამისეული ტლანქი ჩექმები“.
  - ბ) „ფაქიზი ნესტოები სიცივეში თითქოს უთროთოდა“.
  - გ) „ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა“.
  - დ) „რაღაც სიცელქე აშკარად ჩაეხვია გულში“.
- (1) 9. რომელი ფრაზა მიანიშნებს მკითხველს, რომ ტერეზა ძალიან ლამაზი ქალია?
- ა) „სქელი თავსაფარი მაგრად გამოენასევა ყელზე“.
  - ბ) „ტუჩებმოკუმული, ღიმილს ძლივსძლივობით იკავებდა“.
  - გ) „სძულდათ სუველაფერი, რაც კი ტერეზას იმ სუსხიან დილით ეცვა“.
  - დ) „ქალი ამოდიოდა თოვლში, ახალგაზრდა, ბედნიერი ქვრივი“.
- (1) 10. რატომ უნდა იყოს ტერეზა დარწმუნებული, რომ ასეთი უცნაური საქციელის გამო არა-გინ დასცინებს?
- ა) კარგად იცის, რომ „ლამაზ-ქალაქელებს“ იუმორის გრძნობა არა აქვთ.
  - ბ) კარგად იცის, რომ ყველა ერიდება და ვერაფერს გაუქედავენ.
  - გ) კარგად იცის, რომ ძალიან ლამაზია და ყველას მოსწონს.
  - დ) კარგად იცის, რომ მოქალაქეები ქალის დაცინვას არ იკადრებენ.

- (1) 11. ტროპული მეტყველების რომელი სახეობაა გამოყენებული სიტყვებში: „დაჩვრეტილი ფიცქები՞“?
- ა) ჰიპერბოლა.
  - ბ) გაპიროვნება.
  - გ) ეპითეტი.
  - დ) შედარება.
- (1) 12. რატომ იყვნენ „ლამაზ-ქალაქელები“ გაოცებულნი და ოვალებდაჭყეტილნი?
- ა) ისინი მოჯადოებულნი იყვნენ ტერეზას ცეკვით.
  - ბ) ისინი მოხიბლულნი იყვნენ ტერეზას სილამაზით.
  - გ) მათ ვერ დაიჯერეს, რომ ტერეზას დომენიკო მოსწონდა.
  - დ) ისინი ვერ მიხვდნენ, რას აკეთებდა ტერეზა.
- (1) 13. რა იწვევს გრძნობათა ამგვარ გაორებას: „ყველას უყვარდა, და სძულდათ კიდევ“?
- ა) ტერეზა ცდილობს დომენიკოს მოაწონოს თავი, რაც სხვებს აბრაზებს.
  - ბ) ტერეზა თავს აწონებს და შეგნებულად აღიზიანებს „ლამაზ-ქალაქის“ მამაკაცებს.
  - გ) ტერეზა თავს აწონებს დომენიკოს, რომ შემდეგ ერთგულ ქმად გაიხდოს.
  - დ) ტერეზა საოცრად იზიდავს მამაკაცებს, მაგრამ ქალი მიუწვდომელია მათთვის.
- (1) 14. ტერეზას რა თვისება ჩანს ამ ტექსტში?
- ა) თავმდაბლობა.
  - ბ) თავდადება.
  - გ) თავდაჯერებულობა.
  - დ) თავდაჭერილობა.
- (1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
- ა) დომენიკოს მიმართ ტერეზას დამოკიდებულების შესახებ.
  - ბ) პირველი თოვლით გამოწვეული სიხარულის შესახებ.
  - გ) დუილიოს მიმართ ალექსანდროს დამოკიდებულების შესახებ.
  - დ) სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული ბედნიერების შესახებ.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკრადლებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პურიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არადეულგატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერითი დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალებ გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადაღებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველობად აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნე დაჯდაბნით.

## **გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ტერეზას მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი (ყურადღება მიაქციეთ თხრობის სტილსა და თავისებურებებს).
- ჩამოყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ტექსტის მთავარი სათქმელის მიმართ.  
**თქვენი თვალსაზრისი დასაბუთოთ!**

### **დავალება № 16**

#### **ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გურამ ოდიშარიას წიგნიდან „სოხუმში დაბრუნება“:**

— ო, ეს სოხუმელები სულ არ არიან გასამვები იქით, გადადიან და მერე იმათ ყველაფერს ეუბნებიან... მერე იმათ ყველაფერი იციან — სად დგას ჩვენი ტანკები და ქვემეხები... ჩვენი ჯარები, მერე ისინი თვითმფრინავებიდან ბომბავენ ჩვენებს, — ამბობს „იარუსში“ მძღოლის გვერდითა სავარძელში ჩვენგან ზურგშექცევით მჯდომი ქალი და საქარე მინიდან აბაშის სადგურში მოფუსფუსე ხალხს აკვირდება.

მძღოლი გარეთ არის გასული, მგზავრთა უმრავლესობაც იქვეა — ზოგი სიგარებს ეწევა, ზოგიც შორიახლო დახეტიალობს. უკვე საათზე მეტია, რაც ავტობუსი სადგომში დგას.

1993 წლის 8 ოქტომბერია, დილის 11 საათი. ავტობუსში ნაუდელტებილარი სოხუმელები — სიქაგამოცლილი ქალები და ბავშვები, ახლად შედერილი ბიჭები არიან, კიდევ — რამდენიმე კაცი, და კიდევ მე — ავტობუსის უკანა სავარძელზე ბიბლიურ მეუდაბნოესავით ნახევრადწამოწოლილი და ნახევრადმოვლემარე, ნახევრად ავტობუსში და ნახევრად კიდევ, ღმერთმა უწყის, სად მყოფი.

ჩვენი ერთობის პრესტიული წარმომადგენლები (ძირითადად კაცები) აბაშის სამხედრო შტაბში იმყოფებიან და იქ სამშენებლო მოლაპარაკებებს წარმართავენ. საქმე ის არის, რომ სოხუმელ დევნილებს ზოგს თბილისში, ზოგს ქუთაისში და ზოგსაც სხვა ქალაქებსა თუ სოფელში, მოყვრებსა და მოკეთებთან, სოხუმიდან ადრე თავდაღწეულ და გახიზნულ ოჯახებთან გვინდა ჩავალწიოთ როგორმე, მაგრამ არის ერთი პატარა „მაგრამ“ — ჩვენს სურვილსა და რეალურ ვითარებას ერთმანეთისაგან ერთი მდინარე მიჯნავს — ცხენისწყალი, რომლის გაღმა (სამტრედიისაკენ) სამთავრობო ჯარისკაცები არიან გამაგრებულები, გამოღმა კი (აბაშისაკენ) — ქობალიას მებრძოლები. მდინარის გასწვრივ სროლებია, ასე ვთქვათ, პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. ჩვენ კი, სიკვდილს გადარჩენილი სულსწრაფი მიამიტები, დილაუთენია ცხენისწყლის ხიდს „იკარუსით“ ჯიქურ მივეჭრით და უეცრად ისეთ ვაიუშველებელში მოვხვდით, რომ ლამის აფხაზეთის ომი სანატრებელი გაგვიხდა, ლამის უსახელოდ დავასრულეთ ჩვენი ბედკრული ეპოზეა — ჭურვები ხან მარცხნივ სკდებოდა, ხან მარჯვნივ...

დილის 11 საათია. აბაშა რაციით უკავშირდება სამტრედიას, სამტრედია უპასუხებს აბაშას. აბაშა გადასცემს: სოხუმელებს გადასვლა უნდათ, გაატარებო? სამტრედია: გავატარებო. ოღონდ თქვენ შეწყვიტეთ სროლა. აბაშა: ჩვენ შევწყვეტო, თუ თქვენ შეწყვეტო. სამტრედია: ჩვენ შევწყებო. თქვენ? აბაშა: ჩვენც. თქვენ? სამტრედია: ჩვენც. თქვენ? აბაშა: თქვენ, ჩვენც? ფური, — ჩეგნც, თქვენც?.

გიდის სავარძელში მოკალათებულ ქალს მხოლოდ მაშინდა ვამჩნევ, როცა სოხუმელებს ახსენებს. იგი კვლავ საქარე მინის ეკრანს შეჰყურებს... ქალი სუსტია, მკაცრი იერის, ასე ორმოციოდე წლის, ნერვოულად ჭმუჭნის ცეკვირსახოცს... თავს ავტობუსის მეუფედ გრძნობს, წინამდლოლად, ლიდერად (რა თქმა უნდა, ერთპიროვნულად). თავისი შემართული სხეულით ხაზგასმით და წამდაუწეუმ გვიმეორებს და გვახსენებს, რომ იგი არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ქალბატონის — ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის მემკვიდრეა, თუ ჩვენ ჭკუით არ მოვიქცევით... მერე ყველაფერი ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ.

მგზავრებმა კარგად იციან, ვის გულისხმობს ქალი „მათში“ და ვის „ჩვენში“. ჩვენი ქალების-თვის ყველაფერი ეს არახალია, ძველიცაა უკვე — უდელტებილის შემდეგ გულში ჩაიკრეს დევნილები ზუგდიდელებმა და სენაკელებმა, აბაშელებმა და ხობელებმა — ბაღათურიებმა და ანჩაბაძეებმა, სამუშიერებმა და შედანიებმა, ნაროუშვილებმა და ჩაგანავებმა... დიდებმა და პატარებმა, ყველამ, მთელმა სამეგრელომ, მაგრამ აი, ზუგდიდიდან წამოსვლისას, დაიძრა თუ არა დევნილებით სავსე მატარებელი, ბაქანზე მდგარმა რამდენიმე ულმობელსახიანმა, რომელილაც თავუროლობიდან მომავალმა, ვიღაცის მიერ გახელებულმა ქალმა სულ მუშტები უქნია და ქოქოლა აყარა სოხუმელ ქალებს:

— აიბარგეთ აქედან, თქვე შევარდნაძისტებო! გამყიდველებო! ზუგდიდის წმინდა მიწას არ უნდა დაადგათ ფეხი! მიეცით, კიდევ მიეცით შევარდნაძეს ხმა, ახია თქვენზე, რაც მოგივიდათ!..

რამდენიმე დღის შემდეგ ამასაც გავიგებთ (უკვე სხვაგან):

– სოხუმელებო! ზვიადისტებო! თქვე მოღალატეებო! აქეთ რას გამორბოდით, აგელოთ იარაღი და გეომათ აფხაზებთან! ალალია, რაც მოგივიდათ!..

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ დარღიანი და მშიერი, სასოწარკვეთამდე მისული თბილისი მიეაღერსება სოხუმის მკვიდრო, მაგრამ აქაც აღმოჩნდება ხალხი, რომელიც იტყვის:

– ეს ლტოლვილები სულ ზვიადისტები არიან რა! პადრიად! ერთი მაგათი!..

ჩემი სიტყვა ქალის მონოლოგის საპასუხოდ სულ რამდენიმე წამის მერე გაისმა... პირდაპირ შევარდნაძისტობა (ან სულაც პირიქით – ზვიადისტობა) რომ დაებრალებინა ჩვენთვის, ხმას როგორ ამოვიდებდი, მაგრამ აგენტობა? დამეთანხმებით, დამამცირებელია ფრიად, ესე იგი, ჩვენ, „სტუკაჩები“, აქედან იქით ამბის გადამტანები ვართ, თანაც ვითომ გაჭირვებულ და ბედ-შავ ხალხად მოგვაქვს თავი, არადა, საიდუმლო რუკები და სქემები, გაშიფრული უსტარები გვაქვს ტანსაცმელში ჩაკერებული, და აი, ჩამოგვალიჯა ნიღაბი დიდმა ქალბატონმა და ამით კიდევ ერთი დამატება შეიტანა სოხუმელთა საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილ დანაშაულობათა გრძელ ნუსხაში.

– მაშ, უბრძანეთ, ქალბატონო, გადმოიყვანონ ეს სოხუმელები ავტობუსიდან და დახვრიტონ!..

– დახვრიტონ!.. – კიდევ ერთ სიტყვას ვამატებ მსოფლიო ორატორიის ისტორიაში ყველაზე მოკლე გამოსვლას და ამით თვითშეწირვის რაინდული ელფერით ვმოსავ მას. ჩემი ხმა ძალუმად გაისმა სალონ-სენატში, მგონი, გარეთაც გაჟონა.

ერთი კი შეტოკდა „ეკატერინე“, მაგრამ უმალვე გახევდა, ჩემსკენ არ შემობრუნებულა. გაისუსა ავტობუსი „ეკატერინე“ ხომ ის ქალი არ არის, ვინმეს სიტყვა შეარჩინოს, მაგრამ...

ის ავტობუსის თავშია, მე – ბოლოში. ჩვენს შორის მთელი „იკარუსი“ მანძილია. ველოდები, – აი, ახლა შემოტრიალდება და გლადიატორებივით სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვეტაკებით ერთმანეთს. ან ის, ან მე, მაგრამ არა, არ ებმება ბრძოლაში, დუმს. ქალბატონები კი თავიანთი სავარძელ-ლოებიდან სუნთქვაშეკრული დაგვცეკერიან. მათ ჩვენი სისხლის ხილვა სწყურიათ, დიდო ქალბატონო, და სად დაიღვრება ეს სისხლი – არენის ქვიშაზე თუ ავტობუსის გათელილ რეზინის საფეხნებზე, მათთვის სულერთია. მათ ჩვენი მისალმების გაგონება სწადიათ... გადის რამდენიმე წუთი და ვგრძნობ, უდავოა ჩემი გამარჯვება – ავტობუსის მბრძანებლის სკიპტრა ხელო მიპყრია უკვე და შემოქმედს მადლობას შევდაღადებ. სოხუმელი ქალბატონები მადლიერებით სავსე თვალებით რიგრიგობით გადმომხედავენ სავარძელთა მადალი საზურგებიდან, მათი მზერა მეუბნება, რომ ჩემი ვაჟპაცური გამოსვლისათვის უმაღლესი ქულები დაფისახურე 10, 10, 10... .

მაგრამ ვინ გაცალა ტრიუმფატორობა, ძვირფასო მკითხველო, – ავტობუსის კარი ფართოდ გაიდო და ჩვენი დიპლომატიური მისია შემოცვიდა. გადაწყდა – გაღმელი ქართველები და გამოღმელი ქართველები შეთანხმდნენ, რომ ზუსტად პირველ საათზე შეწყვიტონ სროლა და ხიდზე სოხუმელი ქართველები გაატარონ! გიხაროდეთ, მამულიშვილნო, ღმერთი ჩვენთანაა!..

## ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დაგალების შესასრულებლად უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მოლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

### (1) 1. რა ვითარებაა ამ ტექსტში აღწერილი?

- ა) აფხაზეთიდან დევნილები ცდილობენ ბრძოლით გააგრძელონ გზა.
- ბ) აფხაზეთიდან დევნილები სამოქალაქო ომის ეპიცენტრში მოხვდნენ.
- გ) აფხაზეთიდან დევნილები ცდილობენ დატოვონ საქართველო.
- დ) აფხაზეთიდან დევნილები სამოქალაქო ომში ჩაერთვნენ.

### (1) 2. რა განწყობილებას გამოხატავს „მძღოლის გვერდითა სავარძელში... მჯდომი ქალის“ სიტყვები?

- ა) იმედგაცრუებას.
- ბ) განცვიფრებას.
- გ) შეუწყნარებლობას.
- დ) შემწყნარებლობას.

- (1) 3. **რომელ ფრაზაში მიმართავს ავტორი ტროპულ მეტყველებას?**
- ა) „სავარძელში მოკალათებულ ქალს მხოლოდ მაშინდა ვამჩნევ, როცა სოხუმელებს ახსენებს“.
  - ბ) „დარღიანი და მშიერი, სასოწარკვეთამდე მისული თბილისი მიეალერსება სოხუმის მკვიდრო“.
  - გ) „ქალი სუსტია, მკაცრი იერის, ასე ორმოციოდე წლის, ნერგიულად ჭმუჭნის ცხვირსახოცს“.
  - დ) „თუ ჩვენ ჭკუით არ მოვიქცევით... მერე ყველაფერი ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ“.
- (1) 4. **როგორ მოხდა, რომ დევნილებს ლამის აფხაზეთის ომი გაუხდათ სანატრელი?**
- ა) ზუგდიდან წამოსვლისას რამდენიმე ქალმა დევნილები დაწყევლა.
  - ბ) ცხენისწყლის ხიდის გადასვლა საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა.
  - გ) სიკვდილის საფრთხის გამო უკან გაბრუნება მოუხდათ.
  - დ) მოულოდნელად აღმოჩნდნენ სიკვდილის საფრთხის წინაშე.
- (1) 5. **რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი, როდესაც სამტრედია-აბაშის მოლაპარაკების შესახებ გვიამბობს?**
- ა) ალეგორიას.
  - ბ) ირონიას.
  - გ) მეტაფორას.
  - დ) ჰიპერბოლას.
- (1) 6. **რის გამოხატვა სურს ავტორს სიტყვებით:** „ავტობუსის უკანა სავარძელზე ბიბლიურ მეუდაბნესავით ნახევრადწამოწოლილი და ნახევრადმთვლემარე, ნახევრად ავტობუსში და ნახევრად კიდევ, ღმერთმა უწყის, სად მყოფი“?
- ა) საკუთარი უძლურებისადმი ირონიული დამოკიდებულების.
  - ბ) საკუთარი შემართებისადმი ირონიული დამოკიდებულების.
  - გ) საკუთარი უგუნურებისადმი ირონიული დამოკიდებულების.
  - დ) საკუთარი გულგრილობისადმი ირონიული დამოკიდებულების.
- (1) 7. **რამ განაპირობა, რომ სოხუმიდან დევნილთათვის უცნობი ქალის ბრალდება „არახალი“ იყო?**
- ა) მათ უკვე ბევრჯერ დააბრალეს სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება.
  - ბ) მათ უკვე ბევრჯერ დააბრალეს კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა.
  - გ) მათ უკვე ბევრჯერ უსაყვედურეს თანამემამულეთა მიმართ გულგრილობის გამო.
  - დ) მათ უკვე ბევრჯერ უსაყვედურეს რუსეთის ჯარის მხარდაჭერის გამო.
- (1) 8. **რომელი ფრაზა გამოხატავს „გიდის სავარძელში მოკალათებული ქალის“ ამპარტავნობას?**
- ა) „ერთი კი შეტოკდა... მაგრამ უმალვე გახევდა“.
  - ბ) „გვახსენებს, რომ... ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის მემკვიდრეა“.
  - გ) „ქალი სუსტია, მკაცრი იერის, ასე ორმოციოდე წლის“.
  - დ) „მერე ყველაფერი ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ“.
- (1) 9. **„ვიღაცის მიერ გახელებული“ ქალების რომელი სიტყვები შეიძლება იწვევდეს მკითხველის ირონიას?**
- ა) „აიბარგეთ აქედან, თქვე შევარდნაძისტებო! გამყიდველებო!“
  - ბ) „ზუგდიდის წმინდა მიწას არ უნდა დაადგათ ფეხი!“
  - გ) „მიეცით, კიდევ მიეცით შევარდნაძეს ხმა“.
  - დ) „ახია თქვენზე, რაც მოგივიდათ!“
- (1) 10. **რა აზრს გამოხატავს მთხობელი ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებით:** „ეს ლტოლვილები სულ ზეიადისტები არიან...“?
- ა) ამ სიტყვების მთქმელი გამოხატავს გულგრილობას შექმნილი ვითარების გამო.
  - ბ) ამ სიტყვების მთქმელს გულწრფელად აწუხებს სოხუმელი დევნილების გაჭირვება.
  - გ) ამ სიტყვების მთქმელი არაფრით განსხვავდება „ვიღაცის მიერ გახელებული“ ქალებისაგან.
  - დ) ამ სიტყვების მთქმელს კარგად აქვს გააზრებული შექმნილი ვითარების ტრაგიზმი.

- (1) 11. საქუთარი თავის მიმართ მთხოვბლის რა დამოკიდებულება ვლინდება სიტყვებში: „თვით-შეწირვის რაინდული ელფერით ვმოსავ“?
- ა) ირონიული.
  - ბ) აღფრთოვანებული.
  - გ) შემწყნარებლური.
  - დ) უსამართლო.
- (1) 12. ქალის რა თვისება ჩანს მთხოვბლისეულ შეფასებაში: „ის ქალი არ არის, ვინმეს სიტყვა შეარჩინოს“?
- ა) ცრუ და უპირო ადამიანია.
  - ბ) თვალთმაქცი და უჭვიანი ადამიანია.
  - გ) უკმეხი და ანჩხლი ადამიანია.
  - დ) გაუნათლებელი და უგუნური ადამიანია.
- (1) 13. რას გულისმობს მთხოვბელი სიტყვებში: „მათ ჩვენი მისალმების გაგონება სწადიათ“?
- ა) ავტობუსში მყოფ ადამიანებს „დიპლომატიური მისიის“ წარმატება სურთ.
  - ბ) ავტობუსში მყოფ ადამიანებს მოპაექრეთა დაზავების ხილვა სურთ.
  - გ) ავტობუსში მყოფ ადამიანებს მოქიშებეთა თავიდან მოშორება სურთ.
  - დ) ავტობუსში მყოფ ადამიანებს მწვავე დაპირისპირების ხილვა სურთ.
- (1) 14. რატომ ემადლიერებიან მთხოვბელს სოხუმელი ქალბატონები?
- ა) მთხოვბელი სოხუმელ ქალბატონებს გზის გაგრძელებაში დაეხმარა.
  - ბ) მთხოვბელმა სოხუმელი ქალბატონები ხიფათისაგან იხსნა.
  - გ) მთხოვბელი სოხუმელ ქალბატონებს შურისძიებაში დაეხმარა.
  - დ) მთხოვბელმა სოხუმელი ქალბატონების ღირსება დაიცვა.
- (1) 15. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
- ა) საზოგადოების გახლების.
  - ბ) სამშობლოს სიყვარულის.
  - გ) სამოქალაქო დაპირისპირების.
  - დ) დევნილთა გასაჭირის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღებული განვითარებადაა გაგებული, ანდა ენობრივად იძღვნად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გამოკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს დოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

## გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ „გიდის სავარძელში მოკალათებული ქალის“ მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი (ყურადღება მიაქციეთ თხრობის სტილსა და თავისებურებებს).
- ჩამოყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### წაკითხულის გააზრების შეფასების სქემა

#### დავალება № 1

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 2

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 3

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 4

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 5

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 6

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 7

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

#### დავალება № 8

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ღ)  | 2. ----- ღ)  | 3. ----- ღ)  | 4. ----- ღ)  | 5. ----- ღ)  |
| 6. ----- ღ)  | 7. ----- ღ)  | 8. ----- ღ)  | 9. ----- ღ)  | 10. ----- ღ) |
| 11. ----- ღ) | 12. ----- ღ) | 13. ----- ღ) | 14. ----- ღ) | 15. ----- ღ) |

### დავალება № 9

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ვ)  | 3. ----- ვ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ბ)  | 7. ----- ვ)  | 8. ----- ბ)  | 9. ----- ბ)  | 10. ----- ვ) |
| 11. ----- ბ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ვ) |

### დავალება № 10

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ვ)  | 3. ----- ვ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ბ)  | 7. ----- ვ)  | 8. ----- ბ)  | 9. ----- ვ)  | 10. ----- ბ) |
| 11. ----- ბ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ბ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ბ) |

### დავალება № 11

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ბ)  | 3. ----- ვ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ბ)  | 7. ----- ბ)  | 8. ----- ვ)  | 9. ----- ბ)  | 10. ----- ვ) |
| 11. ----- ვ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ბ) |

### დავალება № 12

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ვ)  | 3. ----- ბ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ვ)  | 7. ----- ბ)  | 8. ----- ვ)  | 9. ----- ვ)  | 10. ----- ვ) |
| 11. ----- ბ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ვ) |

### დავალება № 13

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ბ)  | 2. ----- ვ)  | 3. ----- ბ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ვ)  | 7. ----- ვ)  | 8. ----- ბ)  | 9. ----- ბ)  | 10. ----- ვ) |
| 11. ----- ბ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ბ) | 15. ----- ვ) |

### დავალება № 14

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ბ)  | 3. ----- ბ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ბ)  |
| 6. ----- ვ)  | 7. ----- ვ)  | 8. ----- ბ)  | 9. ----- ვ)  | 10. ----- ბ) |
| 11. ----- ვ) | 12. ----- ბ) | 13. ----- ბ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ბ) |

### დავალება № 15

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ვ)  | 2. ----- ვ)  | 3. ----- ვ)  | 4. ----- ბ)  | 5. ----- ვ)  |
| 6. ----- ვ)  | 7. ----- ბ)  | 8. ----- ვ)  | 9. ----- ბ)  | 10. ----- ბ) |
| 11. ----- ბ) | 12. ----- ვ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ბ) | 15. ----- ვ) |

### დავალება № 16

- |              |              |              |              |              |
|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ----- ბ)  | 2. ----- ბ)  | 3. ----- ბ)  | 4. ----- ვ)  | 5. ----- ბ)  |
| 6. ----- ვ)  | 7. ----- ვ)  | 8. ----- ბ)  | 9. ----- ბ)  | 10. ----- ბ) |
| 11. ----- ვ) | 12. ----- ბ) | 13. ----- ვ) | 14. ----- ვ) | 15. ----- ბ) |

## მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, მითითებები მხოლოდ ერთ-ორი წინადაღებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანობაში არააღეპატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

## I კრიტერიუმი

№	დავალების აღმატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა აღმატურადაა გაგებული, ტექსტი ლრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახლობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი აღმატურადაა გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში აღმატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არააღმატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არააღმატურადა გაგებული.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არააღმატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

## II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამიჯე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი (დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადაღებით იქნება პასუხი გაცემული).	3
2.	ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

### III კრიტერიუმი

#### IV კრიტერიუმი

<i>Nº</i>	<i>ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება ( <b>მოცემულია</b> მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა <b>დასაბუთებულია</b> კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება ( <b>მოცემულია</b> მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა <b>დასაბუთებულია</b> კონკრეტული მაგალითებით, თუმცა მოხმობილია <b>ერთი</b> არაადეკვატური მაგალითი; ანდა გამოყოფილია ტექსტის <b>ერთი</b> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა <b>დასაბუთებულია</b> კონკრეტული მაგალითით.	1
3.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის მხატვრული თავისებურებები ( <b>მოცემულია</b> მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ), მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით ან მოხმობილია <b>ერთზე მეტი</b> არაადეკვატური მაგალითი; ანდა ნაშრომში <b>არ არის</b> გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები ( <b>არ არის</b> მოცემული მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ).	0

#### V კრიტერიუმი

<i>Nº</i>	<i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში <b>მკაფიოდ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში <b>ნაწილობრივ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <b>მკაფიოდ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <b>მკაფიოდ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <b>ნაწილობრივ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში <b>ნაწილობრივ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <b>არ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <b>ნაწილობრივ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <b>ნაწილობრივ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <b>არ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში <b>არ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <b>არ</b> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

#### VI კრიტერიუმი

<i>Nº</i>	<i>ვაქტობრივი შეცდომები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა.	0

## VII კრიტერიუმი

Nº	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) <b>ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.</b>	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ <b>ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.</b>	1
3.	თხზულება სტილისტურად <b>გაუმართავია.</b>	0

## VIII კრიტერიუმი

Nº	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <b>ერთი</b> სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია <b>ორი</b> სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია <b>ორზე მეტი</b> სინტაქსური შეცდომა.	0

## IX კრიტერიუმი

Nº	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის <b>ოთხზე მეტი</b> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <b>ცხრაზე მეტი</b> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <b>ცხრაზე მეტი</b> ამ ტიპის შეცდომა.	0

წაკითხულის გააზრებისა და წერითი დავალების შესრულებისას უმჯობესია, აბიტურიენტი რიგის მიხედვით მიჰყევებოდეს დაგალებებს. წაკითხულის გააზრების რიგიანად შესრულება გაუადვილებს მას შემდეგის – წერითი დავალების – შესრულებას, რადგან ბევრი რამ, რაც ტექსტის ანალიზისას დასჭირდება, მას უძვე გააზრებული ექნება შეკითხვებზე პასუხების გაცემის შედეგად.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას სასურველია, აბიტურიენტმა ერთხელ მაინც მთლიანად წაიკითხოს ტექსტი, რათა გაიაზროს მისი მთავარი სათქმელი და ავტორის მიზანდასახულობა. ამის შემდეგ კი გაეცნოს შეკითხვებსა და ასარჩევ პასუხებს, დაუბრუნდეს ტექსტს და თავიდან, დაკვირვებით გაიაზროს ის კონკრეტული მონაკვეთი, რომელსაც ესა თუ ის შეკითხვა ეხება. ხშირად ასარჩევი ოთხი პასუხიდან ოთხივე პირდაპირ ტექსტიდან არის ამოღებული, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი არის იმ კონკრეტული შეკითხვის პასუხი, რომელსაც იგი მოსდევს და, ამდენად, სწორი პასუხის მიგნება ტექსტის ღრმად გაგებასა და დაკვირვებულ ანალიზს მოითხოვს. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, აბიტურიენტები ხშირად ჩქარობენ და არ უბრუნდებიან ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს, ხელახლა და დაკვირვებით აღარ კითხულობენ მათ, ეს კი იმას იწვევს, რომ რამდენიმე ქულას მხოლოდ უყურადღებობისა და სიჩქარის გამოკარგება.

წერითი დავალების შესრულებისას აბიტურიენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ კონკრეტულ მითითებებზე, რომლებიც ყოველ ტექსტს მოსდევს. სასურველია, არ გასცდეს ამ მითითებებს და ტუუილუბრალოდ არ დაკარგოს დრო, ვთქვათ, ეპოქის მიმოხილვასა ან მწერლის ბიოგრაფიულ დეტალებზე. ხშირ შემთხვევაში აბიტურიენტები არგუმენტირების ნაცვლად ტექსტის მთელი მონაკვეთის შინაარსს გადმოსცემენ ხოლმე. წერითი დავალების პირობა კი მხატვრული ტექსტის ანალიზს მოითხოვს. მხოლოდ პერიფრაზი, თუნდაც სრულიად უშეცდომო, დადებით შეფასებას ვერ დაიმსახურებს.

გთავაზობთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების მიერ შესრულებული ნაშრომების – არგუმენტირებული ესესა და მხატვრული ტექსტის ანალიზის – რამდენიმე საიტერესო ნიმუშს (სტილი ყველგან დაცულია):

## 1. არგუმენტირებული ესე:

### იხ. დავალება №1

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ გარემოს დაცვის მიზანი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ იქნება, მაშინ გარემო შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს, რაღაც XXI საუკუნეში ადამიანი პრაგმატიული გახდა, ცდილობს ყველასა და ყველაფრისაგან მიიღოს სარგებელი. ამას ხომ მისგან ეპოქა ითხოვს, თუმცა, საუკუნეთა თუ თაობათა ცვლის მიუხედავად, უცვლელი რჩება უმთავრესი საზრუნავი – ჯანმრთელობა, რომელიც მოკვდავთათვის ფასდაუდებელია.

დღოის სკლასთან ერთად იზრდება ადამიანთა შესაძლებლობები, ჩნდება ახალი ქარხნები და ეკოლოგიური პირობები წელ-წელა უარესდება, ხალხი კი მის გამოსწორებას მხოლოდ მაშინ ცდილობს, როცა დაბინძურებული გარემო საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას. ეს კი იმის დასტურია, რომ ადამიანი გარემოზე მხოლოდ მაშინ ზრუნავს, როცა მისი ქმედება ჯანმრთელობისათვის არის სასარგებლო. ამის მაგალითია კობო აბეს ნაწარმოების „ქალი ქვიშაში“ გმირების დაუდალავი შრომა ქვიშის წინააღმდეგ, რომელიც მათ შთანთქმას, ცოცხლად დამარხვას უქადის. რომ არა ეს საფრთხე, ისინი არც კი შეეცდებოდნენ გარემო პირობების შეცვლას.

ჯორჯ ორუელი ამბობს, რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც უველავერს ანადგურებს („ცხოველების ფერმა“), უარ ბოდრიარი კი ხალხს თანაგანცდის უნარის დაკარგვაში, ეგოისტობასა და გაუცხოებაში ადანაშაულებს („ქალაქი და სიძულვილი“), აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამის შთამომავლები მხოლოდ თავიანთ თავზე დარდობენ და „ცა-მაზუთ, ხმელეთ-ნაგვად“ ქცეულ გარემოს მხოლოდ საფრთხის მოახლოებისას ცვლიან, რაღაც ეს მათი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არის საჭირო.

შესაძლებელია საზოგადოების ნაწილმა თქვას, ადამიანი ბუნების შვილია და შეუძლებელია მასზე, როგორც გამოსაყენებელ ნივთზე, ისე იზრუნოს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ადამიანები, სამწუხაობაზე, ვედარ გრძნობენ ხმელი წიფლისა თუ შვლის ნუკრის ტკივილს, ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენი ჯანმრთელობა ბუნებაზე ზრუნვის საუკეთესო მოტივია.

### იხ. დავალება №2

შეიძლება, ცოტა სასაცილო და არასერიოზულია, მაგრამ, როგორც ჩემი მასწავლებელი იტყოდა, გლობალიზაცია არის „მაკ დონალდსი“ და „კოკა-კოლა“. ასეთი მარტივი მაგალითით გვიხსნიდა, რომ გლობალიზაცია „მსოფლიოს საერთო ეკონომიკური ბაზრის“ არსებობის შედეგია. გლობალიზაციის დროს ადამიანები თითქოს ერთიანდებიან და უჩნდებათ საერთო ინტერესები. ინტერნეტი და მედიასაშუალებები ამის კარგი მაგალითია.

დღეს მთელი სამყარო „ფეისბუკის“ გარშემო გაერთიანებული. რაც უფრო ადგილია კომუნიკაციის შესაძლებლობა, რაც უფრო მეტი საერთოა ადამიანებს შორის, მათი მართვა ბევრად იოლდება. ქვეყნები არასდროს ყოფილან ერთმანეთზე ისე დამოკიდებულნი, როგორც დღეს. გავიხსნოთ, რამდენიმე წლის წინ რუსეთი მთელ ევროპას გაზის მიწოდების შეწყვეტით რომ ემუქრებოდა. იმდენად არის რუსეთის გაზზე ევროპის ბედი დამოკიდებული, რომ ამ მუქარამ ძალიან შეაშინა ისინი. შესაბამისად, ქვეყნებს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება, გარკვეულწილად, ქმნის ერთიანობის ეფექტს. გლობალიზაცია გვევლინება, როგორც საზღვრების „მრდველელი“. ის სპობს განსხვავებას, ვთქვათ, აშშ-სა და დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას შორის. ერთი მარკის მანქანები, ერთი დასახელების კაფეები, ერთნაირი ტექნიკა, საერთო ინტერესები, მაშ რადა რჩება განსხვავებული? ჯერ კიდევ „ინტერციით“ დამასხვრებული ისტორია და მორალი, რომელიც მალე შეიძლება დანარჩენივით საერთო გახდეს.

ვში შობ, საზღვრების „რდვევა“ ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, შეიძლება, მართლაც შეექნიას საფრთხე სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ისინი მოექცენებ ერთიანი ძალის ქვეშ, მაგრამ არა მგონია, ეს უახლოეს მომავალში აღსრულდეს. ჯერ კიდევ საკმარისად მყარად არის ეროვნული ოვითშეგნება მოსახლეობის უმრავლესობაში და მგონია, რომ მარტივად არ აირვევა ხალხი ერთმანეთში. პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა აღბათ რელიგია და ტრადიციები იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ტექნიკური მიღწევებისა და ეკონომიკის ხარჯზე ადამიანები ერთმანეთს დაუახლოვდნენ ისე, როგორც არასდროს. ასეთი სიახლოებები და საზღვრების „მოშლა“ საფუძვლიან ჰქვს ბადებს, რომ ოდესმე მსოფლიო ერთ დიდ კოლონიად შეიძლება გადაიქცეს და საფრთხე შეექმნას სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

### იხ. დავალება №3

ადამიანი ცხოვრების დიდ ნაწილს სკოლაში ატარებს და მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაც ძირითადად ამ პერიოდში ხდება. ახალგაზრდები სკოლაში განათლების მიღების გარდა, ცხოვრებასაც სწავლობენ, ეწვევიან საზოგადოებაში ყოფნასა და საქუთარი ადგილის დამკვიდრებას. მიუხედავად ამისა, არა მგონია, მართებული იყოს ის მოსაზრება, რომ სასკოლო განათლების უპირველესი მიზანი ახალგაზრდების ლიდერებად აღზრდაა. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და მათი ერთ ყალიბში მოქცევა შეუძლებელია. ლიდერები არ ხდებიან, ლიდერებად იბადებიან („მაგრამ მხოლოდ წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“).

ვფიქრობ, სკოლის როლი ახალგაზრდების ცხოვრებაში ძალიან დიდია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის მათ ლიდერების თვისებებს უყალიბებს, არამედ იმიტომ, რომ შედარებით პასიურებს ასწავლის ლიდერებთან ერთად ცხოვრებას და პირიქითაც. სკოლა ცხოვრების მოსამზადებელი ეტაპია. სწორედ სკოლაში ვეზვევით ერთმანეთის განსხვავებულობას და ვსწავლობო ტოლერანტობას.

რა თქმა უნდა, ძალიან სასარგებლოა ადამიანისთვის ლიდერის თვისებები, მაგრამ – არა აუცილებელი. მართალია, ნაპოლეონ ბონაპარტი ამბობდა, რომ „ყველა ჯარისკაცს ჩანთაში მარშლის კვერთხი აქვს“, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა „ჯარისკაცი“ წინამდღოლი უნდა გახდეს. ადამიანი უნდა იყოს მიზანსწრაფული და უნდა შეეცადოს, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოს, მაგრამ არაა საჭირო, ირეალურს შევეჭიდოთ. არაფერია სამარცხევინო იმაში, რომ წაჟულე და არა წაჟღვევა, რადგან თაგორის თქმისა არ იყოს: „ბალახი არ ცდილობს უზარმაზარ ხედ ამოვიდეს. ამიტომაც დედამიწა მომხიბლავი მწვანით იმოსება“. ჩემი აზრით, სკოლაში ყოფნის პერიოდში სწორედ იმის გააზრებაა მნიშვნელოვნი, რომ არსებითი პუმანურობა და ტოლერანტობაა.

საზოგადოება არ შედგება მხოლოდ ლიდერების ან მხოლოდ აუტსაიდერებისგან. საზოგადოება მათი ერთობლიობა და მშეიდობიანი თანაცხოვრებაა, რადგან მათი არსებობა უერთმანეოთოდ წარმოუდგენელია. ხშირად გამიგია ეს სიტყვები: „სკოლა გვასწავლის იმას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სკოლაში არ ისწავლება.“ ალბათ ეს ნაწილობრივ სიმართლეცაა. სასწავლო დაწესებულებაში ჩვენი ქცევა მეტ-ნაკლებად კონტროლდება. მთავარია, რომ შემდეგ ამ კონტროლის გარეშე მოვახერხოთ ცხოვრება ისე, რომ საზოგადოებაში დირსეული ადგილი დავიმკვიდროთ.

### იხ. დავალება №3

საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანი ახალგაზრდებაში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება უნდა იყოს. კარგია, როდესაც ბავშვობიდანვე ეწვევი დამოუკიდებელ აზროვნებას, ირჩევ ცხოვრების გეზესა და იმ სოციალურ სფეროს, სადაც იასპარეზებ და ამით სამშობლოს გამოადგები. თუმცა, მეორე მხრივ, სასკოლო განათლების მთავარი მიზანი არ უნდა იყოს, ერთმნიშვნელოვნად, ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება. ალბერტ აინშტაინი თვლიდა, რომ „სკოლამ პიროვნება უნდა აღზარდოს და არა სპეციალისტი“. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანას სწორედ სპეციალისტები და პროფესიონალები სჭირდება, მაინც მივემხობოდი აინშტაინის აზრს, რადგან სამოქალაქო საზოგადოებას პიროვნებები, ინდივიდები ქმნიან და არა – ლიდერები.

კონკურენცია, მიზანსწრაფვა, ინდივიდუალიზმი ის დრმად ევროპული ფასეულობებია, რომელთა წევალობითაც დასავლურმა სამყარომ განვითარება პოვა და უკან ჩამოიტოვა აზია. ამდენად, საჭიროა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა, რაც სასკოლო განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს. მერაბ მამარდაშვილი თვლიდა, რომ საზოგადოება უნდა წარმოადგენდეს „ინდივიდების კოლექციას“. სხვა შემთხვევაში ის არის ბრძოლა. ამ დროს გამოჩნდება ხოლმე ქარიზმატული პიროვნება, ლიდერი, რომელიც ხალხის ინსტიქტებით მანიპულირებას მოახერხებს, როგორც ეს ჰიტლერმა ნაციონალ-სოციალისტური იდეებით შეძლო; ლენინმა მარქსიზმით გააბრუა საზოგადოების ნაკლებად განათლებული ფენა, მაგრამ ვინ უარყოფს, რომ ამ საშინელ პიროვნებებს ლიდერის თვისებები ჰქონდათ.

რთულია წინასწარ განსაზღვრო შედეგები, რადგან განათლების რეფორმა ყველაზე მთავარი ნაბიჯია სახელმწიფოს განვითარების გზაზე და ამიტომ უმჯობესია სწორი გამოცდილების გაზიარებით მოხდეს ეს. ვთვლი, რომ ლიდერის თვისებების გამომჟღვნება შინაგანი აქტების საფუძველზე ხდება. ასე არ ფიქრობენ პოლიტიკოსები და კანონმდებლები, რომელთა უმეტესობაც მიიჩნევს, რომ ადამიანი აღზრდის ობიექტია, მე კი ვთვლი, რომ ადამიანი განვითარების სუბიექტს წარმოადგენს. სკოლამ, გარკვეული ძალისხმეულის შედეგად, შეიძლება მოსწავლეში დაბადოს იმ თვისების ეკვივალენტი, რასაც პირველობისაკენ სწრაფვა, ლიდერობა ჰქვია, მაგრამ უმჯობესია, თუ მეტ ყურადღებას გაამახვილებს დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალი-

ბებაზე. ქართველებს ისედაც გვაქვს თანდაყოლილი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ.

#### იხ. დავალება №4

მსოფლიოს პირველი უმაღლესი სახსავლებელი 1088 წელს იტალიის ქალაქ ბოლონიაში დაარსდა. შემდგომ საუკუნეებში უნივერსიტეტები პოპულარული გახდა, რადგან იქ არაერთი მეცნიერი მოღვაწეობდა. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით ჰუმანიზმის ეპოქაში გაიზარდა. დღეს საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არაერთი უმაღლესი სასწავლებელია, სამუშაო ადგილი კი ცოტა. არსებობს მოსაზრება, რომ უნივერსიტეტების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს, რადგან ახალგაზრდების დასაქმება სულ უფრო პრობლემური ხდება.

ვფიქრობ, კულტას აქვს უფლება, იყოს განათლებული. ეს გაეროს ადამიანის უფლებათა კონკრეტიის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. ჩვენ თავად განვსაზღვრავთ, გვსურს თუ არა უნივერსიტეტში ჩაბარება და, ჩემი აზრით, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, შეგვზღუდოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამართალი და სინამდვილე ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა არ არის იმდენად „ძლიერი“, რომ თითოეული კვალიფიციური კადრი სამუშაოთი უზრუნველყოს. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ სალხის ნაწილსა და მთავრობასაც კი უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის შემცირება სურთ. ერთ-ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ ესპანეთში მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა 30% უმუშევარია. ეს პრობლემა განსაკუთრებით ბოლო წლების ეკონომიკური კრიზისის გამო არის აქტუალური. ვფიქრობ, რაც უნდა იყოს, ხალხი არ შეიძლება გახდეს მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური თამაშების მსხვერპლი. უმაღლესი სასწავლებლები არ უნდა დაისუროს, რადგან მათი მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს ადამიანს, სასურველი საქმე შეისწავლოს. ჩემი აზრით, სამუშაო ადგილების სიმცირე მხოლოდ მთავრობის მოსაგვარებელი პრობლემაა. ხალხი სწორედ ამიტომ ირჩევს მას. ეს საკითხი არ უნდა წყდებოდეს ადამიანთა განათლების ხარჯზე. ნათქვამია, რომ ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი უნივერსიტეტია. ჩემი აზრით, განათლებული ადამიანები კეთილსინდისიერი და კანონმორჩილი მოქალაქეები არიან. ქვეყანას სწორედ ისინი აძლიერებენ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არ ვეთანხმები მოცემულ მოსაზრებას, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მივიჩნევ, მთავრობამ ეფექტური ეკონომიკური გეგმა შეიმუშავოს. მას შეუძლია მოქალაქეებისაგან მოისმინოს, როგორ მოაგვაროს დასაქმების პრობლემა და აირჩიოს საუკეთესო ვარიანტი ან აიღოს სესხი, მაგალითად, მსოფლიო ბანკისაგან და სამუშაო ადგილები შექმნას.

#### იხ. დავალება №7

ტელევიზიას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. იგი საზოგადოების ინფორმირების უდიდესი საშუალებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის სისწორეს, თუ რამდენად ობიექტურადაა იგი გადმოცემული. მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ახალგაზრდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ტელევიზია. იგი უდიდესი იარაღია ხალხის სამართავად. საკმარისია მცირე სატელევიზიო პროპაგანდა, რომ საზოგადოების, უმეტესად კი ახალგაზრდობის, აზროვნება დავიმორჩილოთ. მსოფლიოში ტელევიზიის და სატელეფონო არხების გაჩენას შედარებით გვიან, 90-იანებში, მოჟყვა „ქომერციული ჭრების“ – რეკლამების გაჩენა. რეკლამებმა მალე დაიპყრო მსოფლიო და საზოგადოების შედარებით სუსტი აზროვნების მქონე ნაწილის – ახალგაზრდების გემოვნება ჩამოაყალიბა. შეაყვარა ის პროდუქცია, რომელსაც უფრო მიმზიდველი რეკლამა ჰქონდა.

„ჩვენ ვწყვეტთ დღეს, თუ რა მოგინდებათ ხვალ!“ – ეს ფრედერიკ ბეგბედერის, მსხვილი ფრანგული სარეკლამო კომპანიის ყოფილი კრეატიული მენეჯერისა და ცნობილი მწერლის სიტყვებია. იგი თავის ნაწარმოებში „99 ფრანკი“ ნათლად ასახავს იმ ძალას, რომელიც საზოგადოებას მართავს: სარეკლამო რგოლებში ნაჩვენებ შოკოლადისფერ, სექსუალურ ქალებს, რომლებიც უნაკლოდ გამოიყენებიან; მუდამ მწვანე მინდვრებს და მუდამ ლამაზ ცას. ახალგაზრდების უმეტესობა იმ სამყაროშია გამოკეტილი, რომელსაც ბეგბედერი აღწერს და სინამდვილეში არ არსებობს. მაგალითად, ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ტელევიზორში ავტომობილის რეკლამა ნახა და მოეწონა, მთელი წელი მუშაობს, აგროვებს ფულს, იკლებს სიამოვნებას, უნდა ისეთივე მაგარი „ტიპი“ იყოს, როგორიც რეკლამაში იმ ახალი ავტომობილის მფლობელია. როცა ბიჭი ფულს შეაგროვებებს, აღმოაჩენს, რომ ავტომობილის ფირმამ უკვე გაუმჯობესებული მოდელი გამოუშვა, რომელიც ბევრად ჯობია ძველს. ბიჭი ახალი მოდელისთვის იწყებს დამატებით ფულის შეგროვებას და ელოდება იმ ნანატრ დროს, როცა რეკლამაში ნანას სამყაროში შევა, სადაც კავლაფრი „ვარდისფერი“ და სინამდვილეში არ არსებობს.

საფრანგეთიდან დაგბრუნდეთ საქართველოში. ავიღოთ 2008 წლის ომის მაგალითი, როდესაც ორი ფრონტის ხაზი იყო: ერთი რეალური და მეორე – სატელევიზიო პრო-

პაგანდამ მოგვცა შედეგი. დღეს ქართველებს სძულთ რუსეთი და რუსებს – პირიქით. ქართველები რუსებს ადანაშაულებენ ომში და რუსები – ქართველებს, თუმცა არავინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. მათ იციან მხოლოდ ის, რაც ტელევიზორში მოისმინეს.

ჩემი აზრით, ტელევიზიამ თავისი მაღლების მაქსიმუმი 90-იანებიდან დღემდე უკვე გამოიყენა და ახლა ნელ-ხელა მეორე პლანზე გადადის. მიზეზი ტელევიზიის გავლენის შესუსტებისა არა საზოგადოების გამოფხიზლება, არამედ უფრო ძლიერი და ყოვლისმომცველი ძალის – ინტერნეტის გამოჩენაა.

ზოგადად, პროაგანდისგან თავის დაღწევა შეუძლებლად მიმართავის, მაგრამ კონკრეტულად ტელევიზიასთან ბრძოლა შესაძლებელია მკაცრი კონტროლის დაწესებით, რეკლამების მაქსიმურად შემცირების და შემუცნებითი გადაცემების მომრავლების ხარჯზე.

### იხ. დავალება №7

ჯადოსნურ ყუთში მოლაპარაკებს ტელევიზიანს მიღმა ადარავინ ემებს. მეტიც, ყუთის ჯადოსნობას ყავლი გაუვიდა, „ახალი ხილი“ აღარ არის, მაყურებელს კი მისდამი ინტერესი არ განელებია. სატელევიზიო გადაცემებს თვალს აღვნებენ მოზარდებიც. აღსანიშნავია, რომ ეპროპაში გაცილებით ნაკლები მოზარდი უკურგბს ტელევიზორს, ვიდრე საქართველოში. განვითარებულ ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ ტელევიზიას არ ძალუბს სწორი ღირებულებები ჩაუნერგოს ახალგაზრდას. გერმანიის ელექტროტექნიკის მაღაზიებში ყველაზე ნაკლებად ტელევიზორი იყიდება. ჩანს, თვალსაწიერის გასაფართოებლად სხვა რამეს იყენებენ. საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში არის ეს მოწყობილობა. ამით თავს იქცევს ყველა თაობა.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ახალგაზრდების მსოფლებელის ჩამოყალიბებაში ტელევიზიას უდიდესი როლი აქვს. ფაქტების საფუძველზე ასკვნიან, რომ ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ახალ თაობაზე. სოციუმის ცირკ ნაწილი უარყოფს მედიის ამგვარ ფუნქციას. ის მიიჩნევს, რომ მას მსოფლებელის ჩამოყალიბება და პიროვნების ფორმირება არ შეუძლია. სამწერაოდ, უამრავი ბავშვი თუ მოზარდი საათობით იწამლება უხარისხო გადაცემებით. მათ აზროვნებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია. ამგვარად, ვფიქრობ, რომ ახალგაზრდების მსოფლებელის ფორმირებაში ტელევიზიას უდიდესი ზეგავლენა აქვს.

მედია შეიქმნა მასებისთვის. ყველას არ ხელმისამართის საკუთარ სულიერებაზე ზრუნვა. როგორც მ. ჯავახიშვილი ამბობდა, ხალხის უდიდესი ნაწილი წაბაძვით აზროვნებს და საკუთარი აზრი არ გააჩნიაო. საზოგადოების ეს ნაწილი თავს იქცევს ტელევიზიით, უდრტვინველად იღებს იქ გაცხადებულ იღებს.

სულხან-საბა ორბელიანი ინდივიდუუმის განვითარების უმთავრეს პირობად წვრთნას სახავთის ლეონის აღზრდის მეთოდები ჯუმბერის სულიერ განვითარებას ემსახურებოდა. ამასვე ამტკიცებს დავით გურამიშვილი „სწავლა მოსწავლეთაში“:

„ნუ გენადვლების სწავლაზე ყრმის წეველის ცემით კივილი,  
მალ გამრთელდების უწამლოდ მისი წყლურების ტკივილი“.

მისი აზრით, მას შემდეგ, რაც მოსწავლე სწავლას სრულყოფს, განისვევებს. ტელევიზია კი მოზარდის სულს ვერ წვრთნის და ამას ვერასდროს მოახერხებს. მისი უხარისხო, მასებისთვის შექმნილი გადაცემები ამასინჯებს მოზარდის აზრთა ბადეს. გასართობი შოუები მდარე იუმორის წყაროა. შემეცნებითი გადაცემების აშკარა ნაკლებობაა, თუმცა პანაცეა არც ესაა. ბავშვები, ცხოვრებისაგან გამოუბრძმედელები, იბეჭდავენ ტელევიზორში მოსმენილს. ერის საუბედუროდ, მათი სული მასინჯდება, მსოფლებელი მათი ჯებირში ექცევა.

ევროპაში ასე არ არის. მოზარდები დროის უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებენ, კითხულობებს ან მისდევენ თავიანთ გატაცებას. მათი ცხოვრება მრავალფეროვანია. სატელევიზიო გადაცემები მათთვის მოსაწყენია. მისი ერთ-ერთი მიზეზი, უცილობლად, ეკონომიკური განვითარების დონეა. ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებული თითქმის ყველა სოციალური პრობლემა. ქართველ ბავშვს ნაკლები თავისუფლება აქვს, აქეთოს საყვარელი საქმე. ის დაბექავებულია ყოფითი პრობლემებით. მართალია, წიგნის წაკითხვა ყველას ხელმისამართისა, თუმცა მცირედთა ბედნიერებაა იქიდან ჰემმარიტი არსის ამოკითხვა. ეს ყველას არ მოეთხოვება. სული ყოველი ადამიანისა ინდივიდუალურია, საჭიროებს განვითარებას. მოზარდს უნდა შეექმნას პირობა, რათა აღმოჩინოს თავისი გატაცება და მისდიოს მას. ტელევიზია, რა თქმა უნდა, ამ შესაძლებლობას არ იძლევა. ის გმანავს ყველა იმ ჭუჭრუბას, საიდანაც ნათელი შემოდის. ტელევიზიას მიჯაჭვულთა მსოფლებელია ვიწროა, აზროვნებენ წაბაძვით, უხოროებო სპილოებს პგგანან, ადგილად სამართავი არიან. საქართველოში რამდენიმე წელიწადში ერთხელ ტარდება სტატისტიკური გამოკვლევა. შედეგები სავალალოა. ახალგაზრდები ყოველდღე უყურებენ უხარისხო გადაცემებს. საბედინეროდ, არის ინტელექტუალური შოუ ქარ-

თულ ტელესივრცეში – „რა? სად? როდის?“, თუმც მთელი კვირა მდარე სანახაობებით გაჯერებულს ის ვერ უშველის.

შვეიცარიაში ფსიქოლოგებმა აკრძალეს ბავშვებისა და მოზარდებისათვის ორ საათზე მეტ ხანს ტელევიზორის ყურება. ინგლისელი რეჟისორის, დევიდ ბრუნოს, დოკუმენტური ფილმი ამ თემას ეძღვნება. ფილმში ნახსენებია, რომ გამოსხივება ზიანს აუენებს ჯანმრთელობას და ზრდის ლეიკემიით დაავადების რისკს. ფილმში ფსიქოლოგები, აღმზრდელები, მშობლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ტელევიზია აჩლუნგებს მოზარდს, რადგან სწრაფად სთავაზობს უამრავ ინფორმაციას. მათ გაანალიზებას მოზარდი ვერ ასწრებს. დროთა განმავლობაში მას უყალიბდება მსოფლედვა ვიწრო, მოშხამული. ტელევიზია სპობს ინდივიდუუმის თავისუფალ განვითარებას. ის ახალგაზრდას ჩლუნგ და ბერძო არსებად აყალიბებს.

ჩემი ხედვით, ტელევიზია მომავალშიც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ახალგაზრდებზე. საუკეთესო გამოსავალი პედაგოგთა და მშობელთა დაუღალავი მცდელობაა, მისცენ ინდივიდს აზრის თავისუფლება. საზოგადოების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია შემცირებეს ტელევიზიის როლი. მჯერა, საქართველოშიც დადგება სულიერი აღორძინების ხანა.

#### იხ. დავალება №8

XXI საუკუნე ჩვენთვის სრულიად ცივილიზებული და დემოკრატიულია, თუმცა არსებობს ჩვენს ცხოვრებისეულ სისტემაში ხარვეზები. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

სიტყვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც უნდა იყოს შეზღუდული. კლერს არადემოკრატიულად, მაგრამ არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, მაგალითად, ნეონაციისტები, რომლებიც ამ თავისუფლებას არასწორად იუენებენ, კონკრეტულად, რასისტნაციისტური იდეების პროპაგანდისა და გავრცელების მიზნით. ამ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება მავნებელია საზოგადოებისათვის.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ამისთვის იბრძვის ედვარდ სნოუდენი, აშშ-ის მთავრობის ყოფილი აგენტი-დეზერტირი. მისი აზრით, მთავრობა არ უნდა აკონტროლებდეს ადამიანთა პირად ცხოვრებას, თუმცა ამასაც დადებითი მხარე აქვს – უამრავი ტერორისტი დაიჭირეს სწორედ სატელეფონო ხაზების, ელფონსტისა და საბანკო ანგარიშების კონტროლით. ამის წინააღმდეგ იბრძვის ის, ვისაც რამე არალეგალური აქვს დასამალი. სნოუდენის „სიტყვის თავისუფლებამ“ ბიძგი მისცა ცივ ომს, რუსეთისა და აშშ-ის პოლიტიკურ-დემოკრატიული ურთიერთობები კიდევ უფრო გააუარესა, რაც ამყარებს ჩემს პირველ არგუმენტს.

ვფიქრობ, რომ სიტყვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აქტუალობას ვერ შევადარებოთ ერთმანეთს, რადგან ისინი სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნებიან და ორივეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

#### იხ. დავალება №8

დემოკრატიის კონცეფციის ძირითადი ფუნდამენტი ადამიანთა თანასწორობა და თავისუფლებაა, მაგრამ მათი შეფასება სუბიექტურია და შესაბამისად, სადაცოც. პირველ რიგში, საჭიროა ამ თრი ცნების დეფინიცია და შემდეგ კანონის სახით ჩამოყალიბება. ზოგი ფიქრობს, რომ სიტყვის თავისუფლება ნიშნავს უფლებას, ყველასა და ყველაფერზე შეგეძლოს აზრის გამოოქმა, მაგრამ არსებობს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და მიმართია, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მნიშვნელოვანია. აზრის გამოხატვის აბსოლუტური თავისუფლება კი ნიადაგს ქმნის და ადამიანს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ჩაერიოს, შეაფასოს და საჯაროდ განიხილოს რომელიმე კერძო პირის ცხოვრების ის მხარე, რომლის გამჭვირვალობა და თვალსაჩინოება მისთვის არაა ხელშაყრელი და მეტიც, შეიძლება დამანგრევლად საზიანოც კი იყოს. ამის მაგალითი მრავლადაა და ჩვენს საზოგადოებასაც მოეხსენება. ჩემი აზრით, არსებობს ერთი ოქროს წესი: „ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი“. ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ პრიციპს შეუძლია მოაწესრიგოს და დაბალანსოს ეს თრი უმნიშვნელოვანები უფლება.

პირადად ჩემს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მე ვაძლევ უფლებას იქნიონ ხელები პაერში, სანამ ისინი ჩემს ცხვირს შეეხებიან.

გარდა ამისა, დღვეანდებელი მოდერნიზებული და საქმაოდ გამოცდილი საზოგადოება თანხმდება, რომ სიტყვისა და აზრის აბსოლუტურმა თავისუფლებამ შეიძლება ბიძგი მისცეს რადიკალური და აგრესიული იდეების პროპაგანდას. თუ სახელმწიფომ არაჯანსაღი აზრის გავ-

რცელების საშუალება მისცა, სავსებით დასაშვები გახდება, რომ რომელიმე ერი ნაცისტური გერმანიის მდგომარეობაში ჩავარდეს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული კი გამეორდეს. დღევანდელი კანონი ებრძვის ქსენოფობიურ აზრებს და ეს მიზანშეწონილადაც მიმართდა. ვფიქრობ, რომ აუცილებელია მკაფიოდ და ზუსტად განისაზღვროს სიტყვის თავისუფლების უფლება.

მიმართდა, რომ, გარდა იურიდიულად დაზუსტებული კანონისა, ასევე საგულისხმოა ის კულტურა და მორალურ-ეთიკური ნორმები, რომელიც ჩვენს ქვეყნას გააჩნია. ჩემი აზრით, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა გამოიწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებასა და პროტესტს. ყოველი ერის ისტორიაში ზნეობრივი ნორმა წარმოადგენს ყოველგვარი კანონის საფუძველს. ამიტომ მიმართდა, რომ ეს ორი კანონი წარმატებით დაბალანსდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაირღვევა და ხალხი უფრო ფასეულად სიტყვის თავისუფლებას ჩათვლის, მნელი არ იქნება მომავლის განსაზღვრა, ვინაიდან ადამიანებს გაუჩნდებათ სხვა პირების კომპრომენტირებისა და შანგაუის საშუალება და ეს დამანგრევლად იმოქმედებს ჩვენს საზოგადოებაზე, გამარტივდება ფულის გამოძალვა და ადამიანებზე მანიპულირების სადავეებიც მომრავლდება, ბოროტებისა და უსამართლობის მარწუხებში მოექცევა უამრავი ადამიანი და ამის საპირწონედ იხეირებს რომელიმე კერძო ჯგუფი ან პიროვნება.

მაგრამ მეორე მხრივ, აზრის გამოხატვის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანია. უბრალოდ, საჭიროა გარკვეული ნორმებისა და სხვა წესების გათვალისწინება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დაგარეგულიროთ და სხვა ნორმებს შეგუწყოთ. სიტყვის გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები და ერთგვარი პანაცეა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.

## 2. მხატვრული ტექსტის ანალიზი:

„ფიქრნი მტკვრის პირას“  
(იხ. დავალება №5)

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“ – წუთისოფლის ასეთი ტრაგიკული აღქმის ფონზე ნიკოლოზ ბარათაშვილი შეგვასხვებებს, რომ ამქვეყნად უმიზნოდ არავინ ჩნდება, წუთისოფლები ყოველ ადამიანს დანიშნულებად მასზე, „მშობელზე“, ზრუნვას აკისრებს.

რომანტიკოს პოეტს გულს უღრღნის შინაგანი „საკვირველი ხმის“ მიერ დასმული შეკითხვა – რა მიზანი აქვს ჩვენს არსებობას? ამ შეკითხვაზე პასუხს ის ბუნების წიაღში, მტკვრის ნაპირთან, ეძებს. წყალთან ურთიერთობა პოეტს „ტბის სკოლის“ პოეტებს, უპირველეს ყოვლისა კი, ბაირონს ამსგავსებს. გარემო თანაუგრძნობს პოეტს, იზიარებს მის განწყობას („აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით“), მაგრამ მწუხარებას ვერ უქარწყლებს, რადგან პოეტი, როგორც ყველა ადამიანი, აგნოსტიციზმით შეპყრობილია და მისთვის მტკვარი მხოლოდ „ჰბუტბუტებს“.

„არსებობს ისეთი ძდომარეობა, როცა ხელოვანი ყველაფერს უზიარებს ბუნებას, მაგრამ ბუნება არ გაენდობა ხოლმე მას“. ასე ხდება ნ. ბარათაშვილის შემთხვევაშიც. ეს პოეტს ადამიანურ თვისებებზე ჩააფიქრებს. ის ხვდება, რომ ადამიანის ცხოვრება „ფუჭი და მხოლოდ ამაოებაა“; მიუხედავად ამისა, მისი სურვილები შეუზღუდავია.

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,

და რაც მიედოს ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს?“

ადამიანის გაუმაძლობის იდეა საუცხოოდ აქვს წარმოჩენილი ბალზაკს თავის „შაგრენის ტყავში“. აქ ჩანს, რომ ადამიანს სიკვდილის საფრთხეც კი ვერ აიძულებს, სურვილებს საზღვა-

რი დაუდოს. ასეთ გაუმაძღვრობას პოეტი მეფეთა მაგალითზე წარმოაჩენს – მეფენი ხომ ყველაზე დიდი ძალაუფლების მპყრობელი არიან. მიუხედავად ამისა „შფოთვენ და დრტვინვენ“ გავლენის გასაფართოებლად. სურვილთა რაოდენობაზე საუბრისას იშლება საზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. მიზნების განსხვავებულობის მიუხედავად, ამბიციის დოზა ყველაში ერთნაირია. პოეტი, ამ მხრივ, გამორჩეული ადამიანია, ხვდება ამგვარი ამბიციის საცოდაობას. ამ მონაკვეთში მისი სიტყვები ცნობილი ფრაზის – „მიწა ხარ და მიწად იქცევი“ – ასოციაციას იწევს.

სწორედ ადამიანთა ამგვარი აღწერის ფონზე ჩნდება პოეტის მთავარი სათქმელი, რაც ჩვენი ყოფითი ამბიციების დაოკებისაკენ მოწოდება და ზნეობრივი ვალის აღსრულებაა. ეს ვალი სიცოცხლის გამოვლინებაა წუთისოფელზე ზრუნვაში. სანამ ვცოცხლობთ, მკვდრისგან „მშობელზე“ ზრუნვის უნარით უნდა განვსხვავდებოდეთ, სწორედ ეს შეგვიმსუბუქებს ტანჯვას და მოგვგვრის შვებას.

პოეტი ლექსის მელანქოლიური განწყობის შესაქმნელად გვიხატავს მტკვრის პეიზაჟს და მის ფონზე ლირიკულ ავტოპორტრეტს. თვალწინ გვიდეგება იდაყვდაყრდნობილი, ჩაფიქრებული მგოსანი, რომელიც მტკვარს შესხივის: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისოვის რას იტყვი?“ ამ ტაქტში, მტკვრისადმი მიმართვაში, ავტორი გაპიროვნებას იყენებს. სხვა მხრივ, მხატვრული ხერხებით ტექსტი დარიბია. გამოყენებულია ეპითეტი: „ცდა ქებული“, „განსგენებული“ (მეფე)… პეიზაჟი ბუნდოვანდება, როცა პოეტი პორიზონგს მიღმა იცეირება, „სამყაროს იქით ეძიებს სადგურს“. ეს მისი ფიქრისა და ტანჯვის უსასრულობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ უსასრულობის განცდის შექმნა გერმანელმა მხატვარმა კასპარ დავიდ ფრიდრიხმა პორიზონტის უარყოფით მოახერხა.

ლექსში რითმა ზოგჯერ ორმარცვლიანია – ქალური (ცრემლით, მოწყენით), გვხვდება ერთმარცვლიანი – ვაჟური (იტყვი, უტყვი) და სამმარცვლიანი – დაქტილური (კამარა – ანკარა) რითმებიც. გამოყენებულია არაზუსტი რითმები.

პირადად მე მიმაჩნია, რომ მართლაც სავალალოა, როცა ადამიანებმა წინასწარ ვიცით ჩვენი გარდაუვალი სიკვდილი, ჩვენ კი სიცოცხლეს ვებდაუჭებით. მიუხედავად ამისა, ნ. ბარათაშვილისეულ რომანტიკულ პესიმიზმს არ ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ აზრს მოკლებულია, მუდმივად ცრემლს დვრიდე იმის გამო, რაც აუცილებლად მოხდება. თუმცა მეჩვენება, რომ რომანტიკული ფონი, მელანქოლიური მიზანსცენა მგოსანს ჩვენს გამოსაფხიზოლებლად სჭირდება. პოეტიც ფიქრობს, რომ უმჯობესია, მოვალეობათა, დანიშნულებათა შესრულებაზე ვიფიქროთ, ვიზრუნოთ. ესაა ჩვენი ცხოვრების არსი. ამ მხრივ, ჩემი პიროვნული მრწამსი შემოქმედის მორალურ კრედოს ემთხვევა. მეც მიმაჩნია, რომ სიცოცხლის ნაიძებმა კეთილი კვალი უნდა აღბეჭდოს, რათა შემდგომ თაობებს „სიძნელე გზისა გაუძვილდეს“.

ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანს წუთისოფლის წესებით ცხოვრება მოეთხოვება, თუმცა ამ ქვენიურ ცხოვრებაზე ზრუნვას მე დავამატებდი სამშობლოზე, ენაზე, მომავალ თაობაზე, კულტურულ ფასეულობებზე, ისტორიულ და სოციალურ ღირებულებებზე ზრუნვასა და მათ გაფრთხილებას. ვიტყოდი, როგორც ილია იტყოდა: „ყოველ დღესა შენს თავს ჰყითხე, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“. თუ ამ პრინციპს შევასრულებოთ, ცხოვრებისეულ ვალსაც პირნათლად მოვიხდით.

### „ციხის სიზმარი“ (იხ. დავალება №8)

ლადო ასათიანი მისტირის წარსულს და ენატრება სამშობლოს ძველი დიდება, რომელიც მას ჰქონდა და ადარ აქვს. ნაწარმოებში კარგად ჩანს, რომ ავტორი ვერ ეგუება ქვეყნის უმოქმედობას და ენატრება წარსული. პოეტი აიდეალებს თამარის ხანას – „სძინავს ციხეს და თამარის საოცნებო ხენაკს“. მისთვის საოცნებოა და სანატრელი დრო, რომელიც ჰქონდა საქართველოს და ადარ აქვს. ამ ლექსებში იკვეთება რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი თვისებები, აწმყოსადმი შეუცემებლივა და წარსულის გაღმერთება. ისევე როგორც გრიგორ თრბელიანი ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ლადო ასათიანიც უპირისპირებს ერთმანეთს აწმყოს „დაქცეულს“, „გაუბედურებულს“ და წარსულს „დიდებულს“, „მადლმოსილსა“ და „ენით მდიდარს“. მათთვის მიუდებელია დრო, რომელშიც ცხოვრობებ და სურთ მქუხარე, მოძრავი და შეუპოვარი ქვეყნა. ამ ადამიანებისთვის ხსნა წარსულში, მის დიდებაში იყო.

პოეტი გაურბის რეალობას, რისოვისაც სიზმარს იყენებს, რომელშიც „გარდასულ დღეთა“ სიდიადე ისახება. კვლავ გამოფხიზლებული და რეალობას დაბრუნებული ვერ ეგუება აწმყოს და გრუსუნებს, გრუსუნებს ნაადრევი გაზაფხულის მსგავსად. ჩემი აზრით, მკითხველი აუცილებლად აფორიაქება და მოინდომებს მოდუნებული რეალობის შეცვლას, ისევე როგორც აგრორი. ავტორის თანადროულ რეალობაში საბრძოლო სულისკვეთება ადარ არსებობს, რაც მოუდებელი იყო ილია ჭავჭავაძისთვის. ისევე როგორც ილიასთვის, ნებისმიერი მკითხველისა და პატრიოტი ადამიანისათვის, ვფიქრობ, სამშობლო უმთავრესი, რომელიც „მუხლებზე დაზიანდ-

მა „უნდა დაკრიფო“, რომლისთვისაც უნდა იბრძოლო და სიცოცხლეც გაწირო, რაღაც სიცოცხლეც მან გვაჩუქა. მკითხველიც ბრძოლის ჟინით, სიცოცხლის სურვილითა და გამარჯვების იმედით უნდა აიგსოს, მისი ემოციებიც უნდა გაიზარდოს და რეალობას არ უნდა შეეგუოს, როგორც ვერ ეგუება მრავალი გამარჯვებისა თუ დამარცხების მნახველი ციხე. მკითხველიც ბრძოლის ჟინით და თავისუფლების მოპოვების სურვილით ინთება, როცა ციხის განცდებს კითხულობს: „ვედარ ხედავს, გაავდება, აშლის ხავსის ბალანს“.

აგტორი მრავლად იყენებს მხატვრულ ეფექტებს, მათ შორის გაპიროვნებას – „სძინავს ციხეს, ჯანიანი თრთის და სიზმრად ხედავს“. ციხეს მიკუთვნებული აქვს ადამიანური თვისებები, რაც უფრო ამძაფრებს ნაწარმოების აზრსა და მსვლელობას. თვითონ ციხე ხომ სიმბოლურია, ის სიმბოლოა დიდებული წარსულის, რომელიც შედარებულია დაღლილ ვაჟკაცთან. სიმბოლურია ლექსში თამარ მეფეც – „საქართველოს თვალი“, რომლის ეპოქასაც ქართველმა ხალხმა „ოქროს ხანა“ უწოდა და რომელიც წმინდანად შერაცხა. პოეტი გაგიჟებულ მხედარს ადარებს გადვიძებულ ციხეს, რისი საშუალებითაც გვაჩვენებს ციხის განცდებს. სიმბოლურია თვითონ ციხის სიზმარი, ისევე როგორც მდვდლის სიზმარი „ბაში-აჩუქში“, არსენას სიზმარი „არსენა მარაბდელში“ და სიზმარი „ალუდა ქეთელაურში“. ამ ლექსში ციხის სიზმარი იმედია იმისა, რომ აწყო შეიცვლება და წარსული დიდება დაბრუნდება. მაგრამ, ჯერ დრო არ დამდგარა ამისა, რაღაც ნაადრევი გაზაფხულია, არწივები კი თვლებმენ, მაგრამ არ ძინავთ, დროს ელიან, რომ ლომებივით აიშალონ ფაფარი და ძველი ციხესავით გამარჯვების ჟინით აიგსონ. ილიასთვის მიუდებელი იქნებოდა ძილით და აწყოს შეფარვით, წარსულის გაიდეალება, სიზმრით სვებედის შელამაზება, მისთვის „მოქმედება და მხოლოდ მოქმედება“ იყო უმთავრესი, თუმცა ლადო ასათიანიც გაზაფხულის, დილისა და მომავლის იმედს იტოვებს. საქართველოს არწივი ხომ მისი ძლევამოსილი წარსულის სიმბოლოა, რომელიც თვლებს და მალე გაიღვია იმედვიძებს, გაცოცხლდება და იმოქმედებს.

### „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (იხ. დავალება №9)

განსახილველად მოცემული ტექსტის მიხედვით შეგვიძლია გამოვკვეთოთ გრიგოლ ხანძთელის მხატვრული სახე. ერთი მხრივ, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ გრიგოლი უხეშად ჩაერია მეფის საქმეში, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ქმედება სულაც არ არის გასაკიცხი. ხანძთელმა იზრუნა იმაზე, რომ კურაპალატს არ გაეგრძელებინა ის სამარცხევინო საქციელი, რომელიც მის სულსაც აზარალებდა. გრიგოლი კარგად აცნობიერებდა მეფის ფუნქციებსა და მის პასუხისმგებლობას. ლოგიკურია, რომ აშოტის ქცევამ პროტესტი გამოიწვია და, საბოლოოდ, ხანძთელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სასიკეთო იქნებოდა კურაპალატისთვისაც და, ასევე, ქვეყნისთვისაც. ემოციებს აყოლილი მმართველი, რა თქმა უნდა, ვერ გაუძღვება ერს სათანადოდ. გრიგოლმა გამოიჩინა სიმტკიცე და არ მოერიდა მეფესთან დაპირისპირებას. შესაძლებელია, რომ ხანძთელის ქცევას აგრესია და მრისხანება გამოიწვია მეფეში, რაც, უდავოდ, ცუდ შედეგამდე მიგვიყვანდა. აღსანიშნავია, რომ გრიგოლის პრინციპულობამ და სითამამემ სასურველი შედეგი გამოიღო. იგი არ მოქმედებდა სწორხაზოგნად, პირიქით, თვითნებურად გადაფარა კურაპალატის პირად ცხოვრებაში არსებული პრობლემა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეფე გონს მოსულიყო. გრიგოლი საკმაოდ უხეშად ესაუბრა დიაცესაც და შეარცხევინა ის მისი საქციელის მხილებით. ხანძთელმა იცოდა, რა ხერხი გამოღვებოდა და როგორ უნდა წარემართა დიალოგი ქალთან. მას, უდავოდ, პქნება დარწმუნების უნარი და მიახვედრა დიაცი იმას, რომ საჭირო იყო სულზე ზრუნვა და მეფისგან შორს ყოფნა. გრიგოლი ჯერ მკაცრად ესაუბრა ქალს, თუმცა, როდესაც მისი მორჩილება შენიშნა, ტაქტიკა შეცვალა. ესეც, რა თქმა უნდა, გათვლილი ნაბიჯი იყო და დაეხმარა მას მიზნის მიღწევაში. საბოლოო ჯამში, მკითხველი გაეცნო გრიგოლს, როგორც გონიერ, მტკიცე და მოხერხებულ ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვებს უფალთან მიახლოებაში.

გრიგოლის სითამამე, რა თქმა უნდა, აისახა მეფის ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მან პირობა დაღო, რომ „სიძეის დიაცს“ გაუშვებდა სასახლიდან, ეს ვერ მოახერხა და ხორციელ სურვილებს აჲყვა: „ხოლო მან აღუთქვა ცოდვისა მის განტევებია და დედაკაცისა მის წარგზავნაი... და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანებია, რამეთუ დაემონა გულისთქმასა“. ეს ფაქტი კურაპალატს გვიხასიათებს სუსტ და გრძნობებს აყოლილ ადამიანად. მან ვერ შეძლო თავის გაკონტროლება და არც გრიგოლის სურვილს დაემორჩილა. აშკარაა, რომ აშოტი დაბრმავებულია. მან დედა ფეხბრონიას წინაშეც კი იცრუ მხოლოდ იმისთვის, რომ „საყვარელი ქალი“ უკან დაებრუნებინა. ჩემი აზრით, მეფეს არ უყვარდა ზემოხსენებული დიაცი. იგი მხოლოდ და მხოლოდ ვნებებს იყო აყოლილი და სწორედ ამან დააკარგვინა თვითკონტროლის უნარი. დასაფასებელია ის, რომ აშოტ კურაპალატი ბოლოს მიხვდა საკუთარ შეცდომებს და უარესად არ გაჯიუტდა ქალის დასაბრუნებლად. ეს ფაქტი მეტყველებს იმას, რომ მეფე არ იყო

მხოლოდ ნაკლოვანებების მატარებელი. მას დირსებებიც გააჩნდა, თუმცა ხორციელდა სურვილებმა გონება აურიეს. აშოტი ამართლებდა საკუთარ ცოდვებს და ეს დედა ფებრონიამაც აღნიშნა: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელი იქმან უშჯულოებასა“.<sup>1</sup> საბოლოო ჯამში, ხორციელად ძლიერი მეფე სულიერად ძლიერმა ადამიანებმა დაამარცხეს და ეს ლოგიკურიცაა. აშოტმა ვერ გამოიჩინა სიმტკიცე და ვერ გაუმჯდავდა განსაცდელს, რომელიც ქალის სახით მოუვლინა უფალმა.

საანალიზო ტექსტში არაერთი მხატვრული ხერხია გამოყენებული. გიორგი მერჩულემ საინტერესოდ მოგვითხრო მომხდარი და მხატვრული საშუალებებით გააცოცხლა ის. აღსანიშნავია, რომ ავტორს თხრობაში ჩართული აქვს პირველ პირში წარმოთქმული ფრაზებიც. ეს ხერხი გვეხმარება იმაში, რომ უკავ გავაცნოთ თითოეული პერსონაჟის საუბრის მანერას, ტონსა და სულიერ მდგომარეობას. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი დიაცოთან საუბარს საკმაოდ მკაცრად იწყებს, თუმცა მომდევნო ფრაზებში ჩანს, თუ როგორ მშვიდდება ის და სხვა კუთხით უდგება საკითხს. ერთ-ერთი ხერხია ისიც, რომ ტექსტის ბოლოს დეტალურადაა გადმოცემული აშოტ კურაპალატის განცდები. აშკარაა, რომ იგი სასოწარკვეთილია და მკითხველი ამას კარგად ხედავს. სირცეხვილისგან დამუნჯებული მეფის დუმილი უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე – მისი ხებისმიერი წარმოთქმული სიტყვა. ავტორმა ოსტატურად გადმოგვცა კურაპალატის გრძნობები და ამით კიდევ უფრო ემოციური გახადა ეპიზოდი. საბოლოო ჯამში, უდავოა, რომ ეპიზოდი განცდებითაა დატვირთული. დიაცის გამოჩენით ვითარება იძაბება, თუმცა გრიგოლი ახერხებს გამოსავლის მოძებნას და „ეშმაკის მანქანებით“ დამონებულ მეფეს ეხმარება.

### „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (იხ. დავალება №10)

ნაწყვეტში გიორგი მერჩულის თხულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღწერილია კონფლიქტი სასულიერო პირთა შორის. პერსონაჟთა დაპირისპირება განპირობებულია იმით, რომ არსენი მამამისის გადაწყვეტილებითა და „თანადგომითა და კურთხველით მცირედთა ეპისკოპოსთაითა“ ქართლის კათალიკოსი გახდა. მირეანს ქართლის ეპისოპოსები გაუნაწყენდნენ, რადგან საკუთარი შვილი კათალიკოსად მათთან შეუთანხმებლად აკურთხა. ამ ფაქტის განსახილველად საეკლესიო კრების მოწვევა გამართლებულია, რადგან როცა საქმე კათალიკოსობას ეხება, აუცილებელია ავტორიტეტულ სასულიერო პირთა თანხმობა. მხოლოდ ერთი ადამიანის ან თუნდაც ადამიანთა მცირე ნაწილის სურვილი და მოქმედება არ კმარა. ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, მითუმეტეს ასეთ სერიოზულ დროს, ხშირად ხდება კონფლიქტის მიზეზი. ზოგადად, უკელგან: ოჯახში, პოლიტიკასა თუ ეკლესიაში გადაწყვეტილებებს ერთმანეთთან შეთანხმებით, ერთმანეთის მოსაზრებების ანგარიშგავით იღებენ. ამიტომაც, მაშინ, როცა ვინმე შეეცდება მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას, უმეტეს შემთხვევაში ჩნდება დაპირისპირება. ასე მოხდა ახლაც და ერთად გაზრდილი ადამიანები ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდნენ. მირეანის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ის, რომ ეფრემი არსენს განუდგა და მის მორჩილებაზე უარი განაცხადა. „არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი“ – ამბობს ეფრემი. მისი მხრიდან ეს სრულიად ლოგიკური სიტყვებია, რადგან თავი უსამართლობის მსხვერპლად მიაჩნია. წარმოქმნილი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება კი მხოლოდ გრიგოლ ხანძთელმა შეძლო.

გრიგოლ ხანძთელი იმდენად ავტორიტეტული პიროვნებაა, რომ მის გარეშე საეკლესიო კრებაზე გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ. ის თბილად ესაუბრება ეფრემს, მღვდელმთავრობას აფიცებს და სთხოვს, წინ არ აღუდგეს არსენის კათალიკოსობას. ეფრემის უარმა განარისხა და უკიდურეს ზომას მიმართა, თქვა, ან მე დამემორჩილე, ან შენი მოძღვარი აღარ ვიქნებიო. აქ ჩანს გრიგოლის გამჭრიახობა. მან იცის, ვის როგორ უნდა ელაპარაკოს და ვინ როგორ უნდა დაიყოლოს, რომ დაემორჩილოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ავტორი ნეტარ გრიგოლს მოცემულ მონაკვეთში მტკიცე და პრინციპულ ადამიანად წარმოგვიდგენს. გრიგოლის მთავარი არგუმენტი, რის გამოც არსენის კათალიკოსობას მხარს უჭერდა, იყო ის, რომ ეს ღვთის ნებად მიაჩნდა. უთანხმოებას მირეანის სულსწრაფობას აბრალებს და ცდილობს, დააბული სიტყუცია განმუხტოს. მამა გრიგოლის სიტყვები თავზარს სცემს გუარამ მამფალს და შენდობას სთხოვს. ეს იმის მანიშნებელია, რომ გრიგოლის აზრი ყველასთვის ანგარიშგასაწევი და ყურადსაღებია. არავის სურს მისი განრისხება და თუ მაინც მოხდა ასე, იმ წუთსავე პატიებას ითხოვენ. ნეტარი მამა ურყევი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებში.

ავტორი, თხრობას რომ მეტი ემოციურობა შესძინოს, ტექსტს დიალოგის სახით გვთავაზობს და მრავლად იყენებს მხატვრულ საშუალებებს. მაგალითად, კრებაზე მიმავალი გრიგოლის დასახასიათებლად მიმართავს შედარებებს („ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაი“, „ვითარცა გვირგვინი სამეუფო პატიოსანთა თვალთა და მარგალიტაგან ფას-

დაუდებელთა აღმკული“) და მეტაფორას („გარსკვლავი უდაბნოთაი“). გუარამ მამფალის აღსაწერად კი იყენებს ეპითეტებს („მდაბალი და ლვოსმოშიში“). ამბის განვითარების დინამიკურობა მონაკვეთს მეტად საინტერესოსა და მდელვარეს ხდის.

„მზიანი დამე“  
(იხ. დავალება №11)

ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი დამე“ თემურის მხატვრული სახე ნათლადაა აღწერილი. ეს პერსონაჟი შეგვიძლია დავახასიათოთ მისი ქცევითა და მეტყველებით. მონაკვეთის დასაწყისშივე იკვეთება თემურის შიში: „ტანში ქრუანტელმა დამიარა, მუხლები მომეკვეთა“. იგი უხალისო და, თითქოს, იმედგაცრუებულია: „კიბეზე უხალისოდ ავდიოდი“, „ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია“. მის სულიერ მდგომარეობას ეს ფრაზა კარგად გამოხატავს: „მე მესმოდა მხოლოდ ჩემი გულისცემა, ვიდაცის სკამის სულისწამდები ჭრიალი, მეტი არაფერი“. თემურის ქცევაში ჩანს, რომ იგი დედასთან ურთიერთობას გადაჩვეულია, მან ვერ შეძლო დედის მისალმებაზე პასუხის გაცემა. ის ადელვებული და დაბნეულია, არ იცის როგორ მოიქცეს: „ახლა შევალ და რამეს ვეტყვი. რას? არ ვიცი... იქნებ, თვითონ მითხვას რამე...“, „მე უბრალოდ დავხუჭე თვალები და ველოდი, რა მოხდებოდა“. ეს პერსონაჟი ემოციურობით გამოირჩევა: „მე მინდოდა, მოვმკვდარიყავი, დაგვრუებულიყავი, მეკივლა, დამებახა მეზობლებისათვის, რომ ეშველათ ჩემთვის“, „გამარჯობათ, ქალბატონო!... – ვთქვი და ტირილი დავიწყე...“. თემურის მსოფლმხედველობა ჩანს ფრაზაში: „მთელი სიცოცხლე უნდა იარო, მთელი სიცოცხლე, ბოლოში რომ მიხვიდე“. ტექსტში ჩანს მისი პიროვნული ტრაგედია, რომელიც სტალინურმა რეჟიმმა განაპირობა, იგი დედასთან გაუცხოვებულია.

ეს ტექსტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ეპოქა და გარემო ადამიანთა ურთიერთობაზე. საანალიზო ნაწყვეტის მთავარი სათქმელიც ისაა, რომ ტირანულმა რეჟიმმა დედა-შვილის ურთიერთობაზეც კი იმოქმედა. საბჭოთა ხელისუფლებამ დედა და შვილი ერთმანეთს დააშორა და მათ დედაშვილობას დიდი საფრთხე შეუქმნა. ავტორმა ეს სათქმელი უაღრესად ემოციურად გადმოგვცა: დედას „თვალებიდან მდუღარე ცრემლები“ სდიოდა, ასევე, მისი გულისტყივილი და სინაცული შემდეგი სიტყვებითაა გამოხატული: „რატომ რვა წლის არ ხარ ისევ, ჩემო პატარა ბიჭო, რატომ რვა წლის არა ხარ, რატომ რატომ არა ხარ“.

მთავარი სათქმელის უკეთ გადმოსაცემად ავტორი სხვადასხვა მხატვრულ საშუალებას იყენებს: დაპირისპირება-კონტრასტს: საბჭოთა ხელისუფლება – დედა-შვილი, შიში – უშვოოთგულობა, სიყვარული – სიძულვილი, წარსული – აწმუო, ბედნიერება – უბედურება, ტრაგედია – კომედია, ტირილი – სიცილი, სიკეთე – ბოროტება. მხატვრულ ტექსტში უხვადაა ეპითეტები: „ჭადარა“, „დაღლილი“, „თეთრი“, „გამხდარი“, „სუსტი“, „სამარისებური“, „შეშინებული“, „სულისწამდები“, „ნელი“, „ჩუმი“, „ცხადი“, „ბედნიერი“, „თეთრი“, „ლამაზი“, „ათროთოლებული“, „მდუღარე“. ნოდარ დუმბაძე, ასევე, იყენებს შედარებას: „ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ცხადი, როგორც შვიდი ჭადარი უნივერსიტეტის წინ“, „მოხვენებასავით უახლოვდებოდა“. ის მიმართავს იორნიას: „ჯიგარო, დებუტატი კი ხარ, მაგრამ ბილეთის აღება არ დაგავიწყდეს“. მონაცემთში მრავლადაა იდიომა: „ადგილზე გავქვავდი“, „ტანში ქრუანტელმა დამიარა“, „სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა“, „გული ყელში მომებჯინა“, „მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა“, „მუხლები მომეკვეთა“.

ჩემი აზრით, მხატვრული ტექსტის პრობლემა აქტუალურია. იმ ეპოქამ და გარემომ, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, შეიძლება პიროვნებაზე უარყოფითად იმოქმედოს. რომანში ცხადად დავინახეთ ტირანული რეჟიმის სისასტიკე, მან დედაშვილურ ურთიერთობაზეც კი იმოქმედა. იმავე პრობლემას ეხება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაფოს ხიზებიც“. საბჭოთა ხელისუფლებამ და მაშინდელმა დრომ ცოლ-ქმრის ურთიერთობა დაანგრია და თემურაზი თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანა. მიმართია, რომ რა სასტიკიც არ უნდა იყოს ეპოქა, როგორი გაუცხოებულიც არ უნდა იყოს საზოგადოება, ადამიანმა რწმენა არასოდეს არ უნდა დაკარგოს.

„მზიანი დამე“  
(იხ. დავალება №11)

მოცემულ ნაწყვეტში ნოდარ დუმბაძის მოთხოვნიდან „მზიანი დამე“ ერთი ოჯახის ტრაგედიით ავტორს სურს გვაჩვენოს საბჭოთა ეპოქის გავლენა ადამიანურ ურთიერთობებზე. თემური და დედამისი მწერალს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მხატვრულ სახედ პყავს წარმოდგენილი. თემურის პერსონაჟი იმ ადამიანთა განზოგადებული სახეა, რომელთაც საბჭოთა რეჟიმმა ფიზიკურ განადგურებაზე დიდი ზიანი მიაყენა, წართვა ადამიანური ურთიერთობები. სწორედ საბჭოთა რეჟიმმა მოახერხა შვილისათვის დედა იმდენად უცხო ადამიანად ექცია, რომ „ქალბატონის“ გარდა, მისთვის სხვა მიმართვის ფორმა ვერ მოეძებნა. თემურის, როგორც პერსონაჟის,

პიროვნეული თვისებების დანახვა, მცირე ტექსტის მიუხედავად, შესაძლებელია. მიუხედავად როგორ ბავშვობისა, ის ახერხებს შეინარჩუნოს ადამიანის თანაგრძნობის, სიყვარულის უნარი, რასაც იგი დედასთან ურთიერთობისას ამჟღავნებს. მაგალითად, როდესაც ბევრს ფიქრობს, თუ რა პკითხოს, როგორ „მიუახლოვდე“ მას, რათა გული არ ატკინოს, ან, როდესაც ფეხზე წამოაყენებს და ხელს მოხვევს დედას. აქ ჩანს მისი თანაგრძნობის უნარი და გაუცხოებასთან ბრძოლის სურვილი. ნაწარმოების ბოლოს თემური ახერხებს საკუთარ თავში იპოვოს ძალა, დაძლიოს ძლიერი გაუცხოების გრძნობა და მძიმე ბავშვობის აჩრდილად ქცეულ ჭადარა ქალს კალაგ დაუძახოს „დედა“. ამ სიტყვებით თემური, როგორც ქართული საზოგადოების სიმბოლო, თითქოს ამარცხებს ბოროტების იმპერიას, რომლის მთავარი იარაღი სწორედ ადამიანური ურთიერთობების ჩაკვლით უგულო ადამიანების ჩამოყალიბებაა, რათა უკეთ სამართავი საზოგადოება შექმნას. ბოროტების გამეფება მხოლოდ უსიყვარულო საზოგადოებაშია შესაძლებელი.

ვფიქრობ, ავტორის მიზანი იყო აღეწერა საბჭოთა რეჟიმის მიერ განადგურებული ადამიანური ურთიერთობები. ამისთვის მან დედაშვილობის მაგალითი აირჩია, რადგან ეს ყველაზე წმინდა და ძლიერი კავშირია თითქმის ყოველი ადამიანისთვის და მხელოდ უდიდეს ბოროტებას შეუძლია მის წინააღმდეგ „გალაშქრება“. ტექსტის მიზანი, ვფიქრობ, საბჭოთა რეჟიმის მხილება და მისი მანკიერებების ჩვენებაა, აღწერა იმისა, თუ რა ტკივილები გადაიტანა ქართულმა საზოგადოებამ რეპრესიების ეპოქაში. „ორმა მამაკაცმა, რომელთაგან ერთი შემინებული ჩანდა, მეორე კი იღიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით პქონდა გამოტენილი“ – ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფრაზაში, რომლითაც მთხოვობელი დედის დასაპატიმრებლად მოსულ ორ ადამიანს აღწერს, სრულად აირევლება საბჭოთა სისტემა, რომელიც გამეფდა საზოგადოებაში, რომლის ერთმა ნაწილმა ადამიანობა „ვერცხლის კბილებზე“ გაცვალა, ხოლო მეორე ნაწილს შიშის „უდელმა“ აიძულა მორჩილება. ადამიანურ ურთიერთობებზე ტოტალიტარიზმის გავლენის ჩვენება ასევე მთავარი მიზანია ნაწარმოებებში „ლარა“ და „ჯაყოს სიზნები“.

ავტორი იყენებს ექსპრესიულ, ემოციურ, ჰუმანიზმით გაჯერებულ თხრობის სტილს. იყენებს მხატვრულ ხერხებს. მაგ., შედარებას: „მოჩვენებასავით უახლოვდება ჩემს საწოლს“, რათა მძაფრად გამოხატოს მთხოვობელის ემოცია. ასევე იყენებს ეპითეტს: „ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა“, რათა აღწეროს უხერხული, მონატრებითა და გაუცხოებით გაედენილი სიჩუმე, რომელიც ამდენი წლის განშორების შემდეგ შეერიდ დედაშვილს შორის ჩამოვარდა. თემურის დედისადმი დიდი სიყვარულის გადმოსაცემად ავტორი მიმართავს ჰიპერბოლას, როდესაც თემური ამბობს: „იგი მხოლოდიში ყველა დედაზე ლამაზი იყო“.

### „მზიანი დამე“ (იხ. დავალება №12)

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ – წერს შოთა რუსთაველი და ამ აფორიზმის სიღიადისა და ჰეშმარიტების კიდევ ერთი დასტური მოცემული მონაკვეთია.

როგორც შესავლიდან ვიგებთ, აბიბო არის ადამიანი, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თემურის ნდობა და ახლა, როდესაც იგი სიკვდილის პირასაა, მისი სიცოცხლე თემურზეა დამოკიდებული. თემურის პერსონაჟს მთელი სიუჟეტის განმავლობაში შეინარჩუნავს ბრძოლები აქვს. პირველ აბზაცში ის გვევლინება განადგურებულ, სისულვილითა და შურისძიების სურვილით შეპყრობილ ადამიანად. ის ამბობს: „კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილსაც ვნატრობდი“. ეს გრძნობა ბუნებრივია, რადგან თემური გულნატკენი და იმედგაცრუებულია. მისი სულიერი მდგომარეობა კარგად ჩანს სიტყვებში: „სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა“. ნდობაზე მას პირიქით უპასუხეს, გაყიდვით. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იგი ფიქრობს, რომ არ დაინდობს აბიბოს. „იქნებ პაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი პაერი, – არა, არა, დახმული სარგმელი ვარ მისთვის“ – სწორედ ასეთი „დაუნდობელია“ თავიდან თემური. თუმცა ის, რომ თემური სინამდვილეში სულაც არაა ასეთი, პირველ აბზაცშივე ჩანს. ის ნერვიულობს, აღელვებულია: „მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა“. ეს გვაფიქრებინებს, რომ მას არ შეუძლია მკვლელობა.

ჩემი ფიქრები და ვარაუდები თემურის შესახებ ტექსტში მართლდება. იმ წუთიდანვე, როცა აბიბო დახმარებას ითხოვს, თემურის დამოკიდებულება იცვლება: „03 ავგრივე და სასწრავო დახმარება გამოვიძახე“. ყველაფერი, რასაც მანამდე ფიქრობდა, გაქარწყლდა. თემური აბიბოსათვის სიკვდილი კი არ აღმოჩნდა, როგორც ამას თავიდან ფიქრობს, არამედ სიცოცხლის დამბრუნებელი. მკითხველი ამ ფაქტს აცნობიერებს მაშინ, როდესაც სასწრავო მოდის და ერთერთი ექიმი ამბობს: „დროზე მოგისწიათ, ნუ გეშინიათ...“

თემურს, როგორც ზემოთ ვახსენე, შეინარჩუნა ბრძოლები აქვს. მის მეტამორფოზას გვითხველი ნათლად ხედავს ეპიზოდში, როცა ის აბიბოს დამეს უთებებს. „თავიდან სიძულვილით ყელამდე სავსე, ჩემდა გასაოცრად, თანდათან დავიცალე...“ ჩვენ ვედავთ, როგორ იცლება პერ-

სონაჟი სიძულვილისგან, შემდეგ კი ჯერ არაფერს გრძნობს, ბოლოს კი – თანაგრძნობას: „მე ავიგვს ეყლამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ...“

რა არის მისი მთავარი მოტივი? რატომ არ პასუხობს იგი ბოროტებაზე იმავეთი? ამას ერთი ასენა, ერთი პასუხი აქვს და თქმული თავადვე ამბობს: „მე მკვლელი არა ვარ, მია აბიბო!“ დაის, ის არ არის მკვლელი, მას შეუძლია პატივება, მას შეუძლია სიბრალული და თანაგრძნობა და სიტუაციაზე ამაღლება. თქმური, გარკვეულწილად, შეიძლება შევადაროთ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პერსონაჟ ბათუს. ბათუმ, თქმურის მსგავსად, ფიქრისა და შინაგანი ბრძოლის შემდეგ მოახერხა, რომ დაეძლია შურისძიების სურვილი.

ტექსტში ავტორი საუბრობს არაერთ მორალურ-ეთიკურ პრობლემაზე. ის ეხება შურისძიების გრძნობას, დანაშაულის პატივებას, გაჭირვებულის დახმარებას, თუმცა მთავარი სათქმელი ერთია: შურისძიების გრძნობის დაძლევა აბედნიერებს ადამიანს. „რადაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში“ – ამბობს თქმური. სწორედ შურისძიების სურვილია ის ტვირთი, რომელიც ნებისმიერი ადამიანის სულს ამძიმებს, ბოჭავს და არ აძლევს საშუალებას იყოს ბედნიერი. ჩვენ მონაკვეთის ბოლოს ვხედავთ აბსოლუტურად განსხვავებულ თქმურს: „რადაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული“. თქმურის კეთილშობილება არა მარტო მას აბედნიერებს, არამედ აბიბოზეც მოქმედებს. აბიბო, რომელმაც წარსულში დაასმინა თქმურის მეგობარი, ახლა მადლიირია, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი შეიცვლება. ტექსტში ვკითხულობთ: „ჩემი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყო“. ეს პასაჟი მიგვითოთებს, რომ აბიბო ხედავს და აცნობიერებს თქმურის კეთილშობილებას.

ნოდარ დუმბაძე მთავარი სათქმელის რეალიზებისათვის არაერთ მხატვრულ საშუალებას იყენებს. ამით ის აღწერს პერსონაჟებს, მათ გრძნობებს და აღძრავს სხვადასხვა ემოციას ჩვენში, მკითხველში. პირველ აბზაცში, იმისათვის, რომ ჩვენ ნათლად დავინახოთ, თუ როგორი გულნატკენი და იმედგაცრუებულია თქმური აბიბოს საქციელით, მწერალი ხატოვან თქმებს იყენებს: „სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა...“ ავტორი უხვად იყენებს მეტაფორებს, რათა თქმურის სიძულვილით აღსავსე, დაუნდობელი დამოკიდებულება გვანახოს: „მე წყარო ვარ ახლა მისთვის...“, „ჩემი ხმა დამერთის წყალობა იქნება...“, „მე ვარ მაცოცხლებელი ჰაერი“. ეს კველაფერი ერთად სათანადო ემოციებს აღძრავს მკითხველში.

მონაკვეთში გვხვდება დიალოგები, როგორც თქმურსა და აბიბოს, ისე თემურსა და ექიმებს შორის. ამ დიალოგებით ჩვენ ვეცნობით თქმურის მხატვრულ სახესა და აბიბოს მდგომარეობას. აბიბოს მდგომარეობის დასახატად მწერალი ეპითეგებსაც იყენებს: „სიკვდილისგან შეშინებული“, „მუშტისხელად ქცეული“, „მოტეხილი“ – ამ სიტყვებით „ამკობს“ დუმბაძე აბიბოს და გვიჩვენებს მის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობას.

მწერალი მონაკვეთში კიდევ ერთხელ იყენებს მეტაფორას. ამჯერად ის ემსახურება თემურის შეცვლილი დამოკიდებულების გამოხატვას აბიბოს მიმართ: „ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე, თუ კუნძო...“

ტექსტი რომ მდიდარია მხატვრული საშუალებებით, ბოლო აბზაცშიც ჩანს. აქ ავტორი ეპითეგებს იყენებს და ამის საშუალებით გვაჩვენებს, თუ რა მძიმე ტვირთია შურისძიება: „დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე...“, „გამჭვირვალე, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული“ – ეს ეპითეგები თქმურის ბედნიერებას აღწერს, რასაც ის ადარებს „ბანგით თრობას“.

მოცემულმა მხატვრულმა საშუალებებმა ტექსტი გაამდიდრა და მისი მთავარი სათქმელი მკითხველის გულამდე მიიტანა.

### „ლარა“ (იხ. დავალება №13)

„ერთხელ ჩემკენაც გამოიხედა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ოო, თვალებში მაინც სინდიუს სიმძიმე და სიცივე ედგა“, – მთხოვბელის შეშფოთება წარმოაჩენს ლარას მამის დეფორმირებულ, მძიმე სულს. გარშემომყოფების განცდათა ფონზე დიავდება, იშლება კაცის ზოგადი ფსიქოტიპი გარკვეული წარსულით, ფიქრებით, მიზნებით. მის ყოველ გამოჩენას თან სდევს გაუცნობიერებელი შიში, შეძრწუნება. განკაცებული ბოროტება დაუძლეურებულია, თუმცა კვლავ იბრძვის აღსაზევებლად. ტოტალიტარული რეჟიმის მონსტრის გარეგნობა მისი სამშვინველის, ფსიქიკის იდენტურია. თვალები ირეკლავს დაფარულ შინაგან „მეს“: „მე არ მინახავს, როგორა აქვთ გადმოკარკლული თვალები ჩამოხრიბილებს... მაგრამ იმ დღის შემდეგ სულ ასე მგონია, ასეთი საშინელი თვალები არც ერთ დამხრჩვალს არ ექნება“.

პერსონაჟის სულიერ მოძრაობას, მოქმედების დინამიკას საბჭოთა სოციალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი ფანატიზმი, ავადმყოფური ერთგულება განაპირობებს. უმაღური „ვიღაც დიდი უფროსისთვის“ უგულებელყოფს ლარას თავდადებას, საკუთარ „სისხლსა და

ხორცებს“ აბეზღებს, გაურკვეველი მომავლისთვის იმეტებს. კაცის მხატვრული სახე ემსგავსება ჯორჯ ორუელის რომანში – „1984“ – აღწერილ „საბჭოსებრ ადამიანთა“ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს. სოციალიზმის ზომბები „სიყვარულის სამინისტროში“ აბეზღებენ ახლობლებს, ნათესავებს, ნაცნობებს. რევაზ ინანიშვილი სწორედ ამგვარი „რეჟიმის ზომბებზე“, ფიტულ ზე გვიამბობს.

ეპიზოდის თემა მხატვრული ხერხებითაა რეალიზებული. ფსევდოგმირის სულიერი პორტრეტის შექმნისას მნიშვნელოვანია ეპითეგები: „გადმოკარგლული“, „დაგრდომილი“, „დისტროფირებული“... გარემოს სურათის უკეთ აღსაქმელად პიპერბოლიზებულია იდიომი: „შემაშფოთებელი სიჩუმე და უძრაობა დააწვა ჩვენს სადარბაზოს“. მიზანთროპის პიროვნული „მე“ „ლიტერატურული ამოცანებით“ – მეტაფორებითაა აღწერილი: „თვალებში მაინც სინდიყის სიმბიმე და სიცივე ედგა“, „საშინელი პქონდა პირიც, დეფორმირებული შავი ღრუ“. ტექსტის მხატვრულ ეფექტს აძლიერებს ფრაზეოლოგიზმი: „მწარე ღიმილი გაუკრთა ბაგეზე“. სასვენ ნიშანთა, კონკრეტულად კი მძიმეთა, სიმრავლე თხრობას გრადაციულობას, დინამიკას მატებს. პერსონაჟთა ემოციის, განწყობის აღსაქმელად უმნიშვნელოვანებია შორისდებულები – „ოო, თვალებში მაინც...“ მწერალი საოქმელს პირველ პირში გადმოგვცემს. შესამჩნევია რევაზ ინანიშვილისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობა.

ეპიზოდის მორალურ-ეთიკური პრობლემა XX საუკუნისთვის კარგად ნაცნობ ზნეობრივ გადაგვარებას, დეგრადირებას უკავშირდება. ვგმობ რა ლარას მამის ტიპს, საბჭოთა კავშირში ფორმირებულ „ჩამშვებთა“ ინსტიტუტს, ჩემი აპათია, სიძულვილი ემსგავსება მწერლისეულ პროტესტს. კაცი მორალური გახრწნის, დაკინების „საყოველთაო“ მაგალითია: „ჯიბებში ედო მხოლოდ სამ ფურცელზე დაწერილი და ოთხად გაპეტილი წერილი“, – უმთავრესი იარაღი შვილისა და შვილიშვილის გასანადგურებლად.

მამა-შვილის თვისობრივი კონტრასტის ფონზე იბადება რევაზ ინანიშვილის მთავარი საოქმელი – დიდბუნებოვანი ადამიანები იობის მომინებით იტანენ მიყენებულ ტკივილს, ცხოვრებისეულ განსაცდელს. ლარას სახით მწერალი თავდადების, მომინების აპოლოგიას ქმნის: „ლარა არაგისთან განერებულა, არავისთვის შეუჩივლია, როგორც ვიციო ხოლმე...“ ქალის შინაგანი ხატი მსგავსია ოთარ ჭილაძის რომანის – „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ – გმირისა: ანა ყველას სჭირდებოდა, როგორც მონასტერს მონაზონი... თუმცა, როგორც ლარას, არც მას უფასებდნენ თავდადებას, გაცემულ ენერგიას. მამისთვის თავგანწირული ლარას ფატუმი უბრალოდ ასე შეიძლება დავახასიათოთ: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მოჰკლას მე!..“

### „ლარა“ (იხ. დავალება №13)

„დაგრდომილი“, „დისტროფირებული“, „თითქოს დაშლილი“ – ასე გვიხასიათებს ეპიზოდის დასაწყისში ავტორი ლარას ნაპატიმრალ მამას. მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა კარგად ჩანს. ის დაბეჭავებული, დავრდომილია, დამოუკიდებლად გადაადგილების უნარიც არ შერჩენია. როგორც ავტორი აღნიშავს, „ასეთი საშინელი თვალები არც ერთ დამხრჩვალს არ ექნება“. თუ „თვალები სულის სარკეა“, მაშინ ამ კაცს სული საერთოდ აღარ აქვს. მისი მოვლა იმდენად უმძიმე ლარას და მის შვილს, რომ სხვა საქმისთვის დრო აღარც რჩებათ. მოხუცი თავდაპირველად მკითხველში დიდ სიბრალულს იწვევს. შეუძლებელია, მომაკვდავი ადამიანის მდგომარეობის დახატვისას თანალმობის გრძნობა არ გაგვიჩნდეს, მაგრამ უეცრად ვხედავთ, რომ მოხუცი საკუთარ შვილსა და შვილიშვილს დასმენას უპირებს, რადგან ისინი „აკრძალულ ხილს“ აგემოვნებენ, უცხოურ რადიოსადგურს უსმენენ და მიღებულ ინფორმაციებს ხალხში ავრცელებენ. დასმენის წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ ისინი „იზოლირებული უნდა იქნენ საზოგადოებისგან“. მამა დასაღუპად იმეტებს შვილს, რომელმაც არ დაიზარა მისი ფეხზე დაყენება, უწურავდა ათასგვარ წვენს, ხორცს პატარა ბაგშვივით აჭმევდა. ჩვენ თვალწინ იხატება პერსონაჟის სახე, რომელიც უმაღურია ოჯახის მიმართ, ფანატიზმითაა შეპყრობილი. მისი ცნობიერება დამყაყებული, აზროვნება კი დაჭაობებულია. „აზრის პოლიციას“ კარგად უმუშავია! როგორც ჩანს, „რკინის ბატარი“ ყელზე კარგად მოუჭირეს და ჩაკლეს მასში პიროვნება, ინდივიდი, აქციეს სულგაყიდულ ადამიანად. როცა ლარას მამა ამბობს: „ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს უსმენდნენ“, სიტყვაში – „ჩვენი“, საბჭოთა კავშირს გულისხმობს, „გიგანტის შოლტის მუსკულები“ რომ მოუქნია. იგი უსამშობლოო კაცად ქცეულა, საკუთარი ოჯახის დასმენა რომ არ უჭირს, საკუთარ შვილიშვილს პარტიას ანაცვალებს და ამიტომაც, ალბათ, „ბედი მდევარის“ სასჯელიც სწორი და ლოგიკურია, იგი ფოსტის ჯიხურთან უეცრად კვდება.

ავტორი იმდენად ზუსტად წარმოგვიჩენს ლარას მამის მხატვრულ სახეს, რომ მისი პორტრეტი წარმოგვიდგება თვალწინ, თითქოს ვხედავთ სიტყვებს, დასმენის წერილში რომ წერია.

მასენდება „ჩაკლული სულის“ მთავარი გმირი, ბოლშევიკებით დაშინებული, მეგობარს რომ გასცემს. ასევე „1984“, რომლის მთავარ პერსონაჟს „სიყვარულის სამინისტრომ“ ვერ ასწავლა 2+2=5, კოლექტიურმა აზრმა ორივე გმირი მაინც ვერ დაჯაბნა, განსხვავებით ლარას მამისგან, რომელიც სუსტი აღმოჩნდა და საკუთარი გონება ნებაყოფლობით დაუთმო ტირანებს სამართავად.

ავტორი ტექსტის მთავარი საოქმელის გადმოსაცემად სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას იყენებს. მაგალითად, ნაპატიმრალი მოხუცის ფიზიკურ მდგომარეობას აღწერს ეპითეტებით: „დაშლილი“, „არეულ-დარეული“, „გაარარავებული“. მამის „დალატიო“ დამწუხებულ ლარაზე ამბობს: „მქრქალი მწარე ლიმილი გაუკრთა ბაგეზე“, კაცის დაბრუნებით გამოწვეულ მდგომარეობას აღწერს მეტაფორით: „შემაშფოთებელი სიჩუმე და უძრაობა დააწვა ჩვენს სადარბაზოს“, მოხუცის თვალებს ისევ მეტაფორით აღწერს: „თვალებში მაინც სინდიკის სიმძიმე და სიცივე ედგა“. ავტორის თხრობის სტილი არ არის როგორი, იგი დინამიკური და ექსპრესიულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფოსტასთან მოხუცის წაქცევის ეპოზოდს აღწერს. ამ მხატვრული თავისებურებებით ტექსტის ძირითადი საოქმელი უფრო ცხადია, ემოციაც, რომელიც მკითხველს წაკითხვისას ეცვლება, გამძაფრებულია.

მასენდება ფედერიკო ფელინის ფილმი „ამარკორდი“. ერთ ეპიზოდში მუსოლინის თავი ამოიზრდება მიწიდან, ამ დროს ადამიანები შიშნარევი თვალებით იყვრებინ, პარალელურად, ჯარისკაცები გაუთავებლად მოძრაობებს მათ ირგვლივ. ეს მაგალითი ტირანული რეჟიმის ზეგავლენას ასახავს ადამიანებზე, რომელებიც შიშმა უსახურ მარიონეტებად აქცია. მე ლარას მამასაც ასეთ მარიონეტად მოვიაზრებ, რომელსაც შიშმა ოჯახის გაყიდვა აიძულა.

„მორალურ გახრწნად“ მე სულაც არ აღვიქვამ უცხოური რადიოსადგურის მოსმენას. „რეინის ფარდა“, რომელიც თავის დროზე ჩამოეფარა თავისუფალ სამყაროსა და სადამსჯელო სისტემას – სსრკ-ს შორის, ბევრისთვის თავისუფლების შემზღვდველი არ აღმოჩნდა. ჩემში მოხუცი საოცარ სიბრალულს იწვევს იმიტომ, რომ ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია იმ ძალისთვის, რომელმაც გონებაში უაზრო, ძალადობრივი სისტემის ერთგულება შთაუნერგა. საბჭოთა ფანატიზმით შეპყრობილი მოხუცი უძლური აღმოჩნდა. მე ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანისგან ვერ მოვითხოვთ ერთგულებას, ზოგი ამისთვის მზად არ არის. არც ის მიკვირს, ადამიანმა შვილის დასმენა რომ განიზრახა. ტოტალიტარული რეჟიმების „მონაპოვარია“ ე.წ. ჩამშვები ადამიანების გამოწრობა. ვფიქრობ, ყოველი ძალადობრივი სისტემა თავის საკირეში ხარშავს მოხუცისნაირ ადამიანებს.

### „ლარა“ (იხ. დავალება №13)

რევაზ ინანიშვილის მოთხოვნაში „ლარა“ აღწერილია მორალურ-ეთიკური პრობლემა, რომელიც ფანატიზმით შეპყრობილ, უმაღურ ჩინოვნიკს ეხება. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟია ლარას ნაპატიმრალი მამა, რომელმაც თოთხმები წელიწადზე მეტი გაატარა ციხეში და ახლა მთლად დავრდომილი და დისტროფირებული გამოვიდა გარეთ. ავტორი ყოფილი პატიმრის გარეგნობის აღწერით გვიჩვენებს, რომ იგი იმდენადა დაუძლურებული, უკვე სიკვდილის პირასაა მისული. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ლარას მამის დაბრუნება იწვევს არეულობას, დაბნეულობასა და სევდას დედა-შვილში. ჩანს, ოჯახის წევრები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ფეხზე დაეყენებინათ ყოფილი ჩინოვნიკი. მწერალი ლარასა და უულიენის საქმიანობით აღწერს იმ თავგანწირულ ერთგულებას, რომელიც მათ გააჩნდათ და სწორედ ამ თავდაუზოგავი შრომის დამსახურება იყო ის, რომ ოთხი თვის შემდეგ ლარას მამა ფეხზე დადგა.

ავტორს ლარას მამის გარეგნობის აღწერით სურს ჩასწვდეს პერსონაჟის სულიერ სამყაროს, მაგალითად, თვალების აღწერისას მწერალი ამბობს, რომ ყოფილ ჩინოვნიკს თვალებში სინდიკის სიმძიმე და სიცივე ედგა, რითაც გვიჩვენებს, რომ პერსონაჟი შინაგანად დეგრადირებული ადამიანია. რევაზ ინანიშვილი ლარას მამის სახით გვიხატავს სისტემის მიერ გამოწრობილ ადამიანს, რომელისთვისაც უცხოა ოჯახის წევრების სიყვარული, ვერ აფასებს მათ მიერ გაღებულ ამაგს, ცდილობს დაასმინოს ისინი და ამით აიმაღლოს დაცემული რეკუტაცია. არავის სტირდებოდა ის უაზრო ფანატიზმი სისტემისადმი, რომელიც ამ ადამიანს გააჩნდა, მაგრამ მასში ჩაბეჭდილი რწმენა და უაზრო ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რომელმაც გადაფარა ყოველგვარი სიყვარულის გრძნობა და დასმენისაკენ უბიძგა უმაღურ ადამიანს, ამით კი ავტორმა სისტემის ზედაცემული მხარე წარმოგვიდგინა.

საოქმელის უკეთ გადმოსაცემად მწერალი იყენებს მხატვრულ საშუალებებს, მაგალითად ეპითეტებითაა აღწერილი შემაშფოთებელი სიჩუმე, რითაც დაბაბულ სიტუაციას გვიხატავს. გამოყენებულია მეტაფორა „თვალებში მაინც სინდიკის სიმძიმე და სიცივე ედგა“, შედარებაა გამოყენებული ულიენის კარგ მომვლელთან შედარებისას. თუ დაგაკვირდებით, თხრობა ექსპ-

რესიულია, დაძაბული, საინტერესო, რომელიც გადმოცემულია ლარასა და ულიენის მეზობლის მიერ.

ჩემი აზრით, ტექსტში წამოჭრილი პრობლემა მეტად მძიმეა და არ არის გათვლილი მხოლოდ ერთ ოჯახზე. კვიქრობ, რომ ამით მწერალი გაიჩვენებს სისტემის უარყოფით მხარეს, რომლისთვისაც უცხოა ზნეობრივი იდეალები. ჩაკეტილ გარემოში აწრობდნენ ადამიანებს, რომლებსაც არ შესწევდათ სიყვარულის უნარი. პარალელი შეგვიძლია გავაგლოო მოთხოვნასთან „ჩაკლული სული“, სადაც ისესებ სტალინი ხასიათება ადამიანად, რომელსაც არ პქონდა ორგანო სიყვარულისთვის. სწორედ ამაშია მთელი საკაცობრიო პრობლემა. სისტემაში მომწყველეული ადამიანების აზროვნება მეტად განსხვავებულია, მათი აზროვნების არეალი არ სცილდება ამ ჩაკეტილობას და, ალბათ, ამიტომაცაა მათვის ასეთი პრიორიტეტული უაზრო ერთგულება და ფანატიზმი, რომელმაც შეიძლება დაჩრდილოს ისეთი ადამიანური გრძნობა, როგორიც, მაგალითად, ოჯახური სიყვარულია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩემი დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილი პრობლემის მიმართ ცალსახაა და ვთვლი, რომ სისტემაში შეიძლება წარმოშვას წესრიგი, მაგრამ ანადგურებს ყველაფერ იმას, რაც ცხოვრებაში ლამაზი და მისაღებია. მის მიერ გამოწროვილი ადამიანი უაზროდ მორჩილი და დაბერავებული ხდება, ასეთი პიროვნება კი ლარას მამაა, რომელიც ჩემთვის მიუღებელი ადამიანია.

### „ლარა“ (იხ. დავალება №13)

ადამიანი ბიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად „მექანიზმია“. მხოლოდ მას ძალუბს ისეთი საოცრებების ჩადენა, როგორებიც პენიცილინის შექმნა და უამრავი სიცოცხლის გადარჩნა და „კოლოკოსტის“ მოწყობაც, რათა ხელის ერთი მოსმით ათასები გაანადგუროს.

რევაზ ინანიშვილის მოთხოვნის მოცემულ ნაწყვეტში ლარას მამის სახე მწერლის მიერ მართლაც საოცრადაა ასახული. რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ არსებას? უცნაური, ახირებული კაცი? დეფორმირებული, უზნეო არარაობა თუ უბრალოდ ფანატიკოსი? მიხეილ ჯავახიშვილს დავესესხები და „ნაგაცარსაც“ დავუმატებ იმ ეპითებების გრძელ სიას, რომლებითაც რევაზ ინანიშვილი „ამჟობს“ თავის პერსონაჟს (თუმცა, ამის გამო, ვგონებ, თეიმურაზ ხევისთვი უფრო მიწყენდა). მოთხოვნის დაწყებისთანავე მწერალი გვამზადებს ლარას მამის ქმარებებისთვის, „დაშლილ“ და „არეულ-დარეულ“ კაცად წარმოგვიდგენს. ერთგვარ ქრუანტელს გვგვრის სიტყვები – ასეთი გადმოკარკლული თვალები მხოლოდ ჩამოხრიბილს თუ ექნებაო.

მხოლოდ ხორცია ამ კაცისა ასეთი გახრწილი? არა, სულიც მისი ანარეკლია – „დეფორმირებული შავი ღრუ“! ლარას მამის აღსაწერად გამოვიყენებ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „საჭურისი“ და „მონა“ და მიზეზსაც ახლავე განვმარტავ: „არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ჰქვია მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“ (ოთარ ჭილაძე, „ადამიანი გაზეთის სვეტში“).

ლარას მამას ჩვენ, მკითხველი, ერთგვარი იმედითაც შევყურებთ: იქნებ ამ „დაშლილი“ კაცის ფერფლიდან ფენიქსი უნდა წამოიმართოს? იქნებ როგორი სიყვარული და პატივისცემა უნდა მიაგოს დედა-შვილს სანაცვლოდ?.. და უცებ... გულდაწყვეტით ვამბობთ: „არცა კუდი ძალისა განიმარტების და არცა კირჩიბი მართლად ვალს“. ქართული ანდაზა კი უფრო სასტიკად გამოგვეხმიანებოდა: „კუზიანს სამარე გაასწორებს“.

მოცემული ტექსტიდან ვიგებთ, ლარას მამა პარტიული მუშაკი ან უშიშროების საბჭოს თანამშრომელი უნდა ყოფილიყო. ვინ იცის, ვის სულში აფათურებდა ხელებს (ამიტომ თუ გაუშავდა).

ყოველივე ამის შემდეგ ებ კაცი მთლიანადა გახრწილი, გადაგვარებული, „ასეთად დარჩება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“. ცოტა თუ შევიბრალებთ, მსხვერპლიც შეგვიძლია ვუწოდოთ: წითელი ტერორის ერთ-ერთი, რიგითი მსხვერპლი. მასხენდება კუზმა კილგას ფრაზა ჰაკი ამბას მიმართ: „ეს მონა ადამიანად მაინც აღარ ივარგებდა“. სინამდვილეში, ეს ფრაზა ლარას მამას უფრო შეჰქერის. იგი ფანატიზმისა და უმაღურობის სრულყოფილი განსახიერებაა, დირსეული მამის (რეჟიმის ვგულისხმობ) დირსეული შვილი. იგი მაგონებს ბერზინს გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულიდან“: უდმერთ, უსხეულო და უთვისტომო, მხოლოდ იდეისა და „დიადი ქვეყნის“ მორჩილი. ბერზინიც ხომ არ აძლევს თავს უფლებას ნატას სიყვარულისას, გაუ-ს თანამშრომლის გონებას გული ვერ უნდა მოერიოს. ლარას მამა კი თითქოს საძაგელი სიამაყიო აბეზღებს შვილსა და შვილიშვილს, ცხოველის ინსტიქტიოლა მოქმედებს: პატრონს იცავს უცხო მტრისაგან.

რევაზ ინანიშვილი პერსონაჟებს პირდაპირი დახასიათების გზითაც წარმოგვიდგენს („გამდარი კიდევ უფრო გახდა“, „გაშავებული ხელები“ და სხვ). მისი ეპითებები ზუსტად ხვდება

მიზანს და მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს („გადმოკარკლული თვალები“, „შემაშვილობები სიჩუმე“, „მქრქალი, მწარე ღიმილი“ და ა. შ.). არც შედარებების ნაკლებობას განვიცდით, ეს თოთოეული ნიუანსის უკეთ დანახვაში გვეხმარება („ულიენი... კარგი მომვლელი ვით დასტრიალებდა“), მეტაფორით კი საოცარი სიცხადით არის წარმოდგენილი ლარას მამის ნამდვილი სახე („თვალებში მაინც სინდიუს სიმძიმე და სიცივე ედგა“).

მწერლის თხრობის სტილი დინამიკურია. გაფაციცებით ვადევნებოთ თვალს პერსონაჟების ქმედებებს, აგზორი, ამ შემთხვევაში, ხომ პერსონაჟიცაა. მის კალდაკალ გზდებით თითოეული მოვლენის მოწმე. ეს განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას სძენს ტექსტს და მკითხვასაც მეტი ემოციით აგსებს.

მე, პირადად, გული მწყდება ლარასა და ქულიენის გამო. მათი თავგანწირვა უანგაროა, სიყვარული – წმინდა, მაგრამ ცხოვრებაა სასტიკი და ისინიც რეჟიმის მსხვერპლი არიან. ტოტალიტარიზმი სპობს ადამიანთა ფსიქიკას და, ლარას მამასავით, ხალხს საკუთარ „მეს“ აკარგვინებს, ჯოჯონეთის ქურუმებად აქცევს. მათ „პმართებთ“ დაბეზღება, შური, ცილისწამება, საკუთარ სისხლსა და ხორცსაც აღარ ინდობენ.

ჩემთვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა, ყოველგვარი გახრწნა ადამიანის სულისა და გონებისა. საბოლოოდ რა მოაქვს ამას? „ან სიკვდილი ან გამარჯვება“! თუ მოკვდი, ესე იგი რეპრესიებს შეეწირე და აი, თუ გაიმარჯვე, ზისარ სადმე ბაღში და ბერლიოზივით (მიხეილ ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“) ვინმე „უვიცხ“ უმტკიცებ, რომ ქრისტე არც ყოფილა და პილატე ხომ მონაჭორია. სინამდვილეში, ალბათ, გასაგებია რისი თქმაც მსურს: ყოველგვარი რევიმი, რომელიც ადამიანს „ცით მონაბერ სულს“ აკარგვინებს და „გაარარაგებულ ბერიკაცად“ აქცევს, დასაგმობია და არა მხოლოდ ერთი პიროვნების, არამედ მთელი კაცობრიობის მიერ.

„ანგონიო და დავითი“  
(იხ. დავალება №14)

მოცემულ ტექსტში ჩვენ ვეცნობით ძალიან საინტერესო პერსონაჟს – ანგონიოს. მკითხველი თავიდანვე ამჩნევს მის მჭერმეტყველებასა და ჭკუას, რადგან ის თავის აზრს ოსტატურად აყალიბებს და გასაგებად, ლოგიკურად მსჯელობს. თუმცა ეს მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება არაა. შეუძლებელია მკითხველი არ აღიგოს გარკვეული მოწიწებით ანგონიოს მიმართ, როდესაც გაიაზრებს, თუ რამდენად მამაცია ევროპელი მისიონერი. ის იმდენად გამბედავია, რომ უიარადოდ მიღის ყაჩაღთა ბუნაგში, საიდანაც ცოცხლად დაბრუნებას არ ელის, შემდეგ კი პირდაპირ ესაუბრება ყაჩაღ დავითს მის არაერთ ნაკლზე და შეურაცხეფუასაც კი აყენებს – არაერთხელ უწოდებს ლაჩარს. ამ შესაშური სიმშევიდის, სიმამაცის საფუძველს ანგონიოს საუბრიდანვე ვიგებთ: იგი არის ისეთი ადამიანი, რომელსაც „...ჰყოფნის გამბედაობა, თვალი გაუსწოროს თავის შიშს“. მართალია, შემდეგ თვალდ აკრიტიკებს საკუთარ თავს, „სიკვდილის შიში თურმე ჯერ კიდევ ვერ დამეძლიაო“, მაგრამ თვალს უსწორებს და არ ძრწის მის წინაშე, რაც მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს გამოსდით. სიკვდილის შიში ხომ ბუნებრივია, მის წინააღმდეგ ბრძოლა კი საკუთარი ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც უდიდეს ნებისყოფასა და პიროვნულ სიმტკიცეს მოითხოვს. სწორედ ასეთი პიროვნებაა ანგონიო: ბრძენი, მამაცი, უდიდესი ნებისყოფის მქონე ადამიანი, რომელმაც თითქმის დაძლია სიკვდილის შიში და ამით – ბოროტება საკუთარ თავში.

მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორაა ნათქამი გადმოცემული, რა მხატვრულ მეთოდებასა და საშუალებებს იყენებს ავტორი. ეს არცთუ დიდი ფრაგმენტი მდიდარია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას. აღსანიშნავია გაპიროვნება ფრაზაში: „შენი შიში ცოცხალია, დავით“. ამით ხაზგასმულია ის, რომ დავითს მუდამ ეშინია სიკვდილის და ეს შიში ისე მართავს მას, თითქოს მისი მბრძანებელი, ცოცხალი არსება იყოს. „შენი მბრძანებელიო“, სწორედ ამ მეტაფორით მოიხსენიებს მწერალი დავითის შიშს შემდგომ მონაკვეთში, როცა ის მკითხველის ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. შემდგომ მწერალი ცოდვებს მატლებს ადარებს, რაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, თუ როგორ დაბარჯავს კაცს საიქიოში საკუთარი ცოდვები. მეტაფორა „სიბრაზის ტალღა“ კი დავითის მძვინვარებასა და სახიფათობას უსვამს ხაზს. აღსანიშნავია ტექსტის ინგონაცია, რიტმი. ტექსტის დრამატულობის ზრდასთან ერთად იზრდება რიტმიც ისე, რომ მკითხველი იძაბება და მთლიანად ერთვება ტექსტში, თითქოს თავად იყოს მოქმედების თანამონაწილე. ამასთან, ტონი დიდაქტიკურია, რიტორიკული, რაც ტექსტის რიტმთან ერთად ხელს უწყობს იმას, რომ მკითხველმა კარგად გაიგოს და შეისისხლხორცოს ავტორის სათქმელი. ეს, ჩემი აზრით, ამ ფრაგმენტის უდიდეს მხატვრულ დირექტულებას განაპირობებს.

სათქმელი კი, ანუ ის პრობლემა, რომელსაც ავტორი წამოჭრის, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ეს არის სიკვდილის შიშის პრობლემა. სიკვდილი ბუნების ნაწილია, მას ვერავინ გაუქცევა, მისი შიში კი ყველას თან დაჰყვება. ოუმცა, ჩემი აზრით, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც საკუთარი სიცოცხლით ანდა სიკვდილით ახერხებენ, დასძლიონ ბუნების ეს საშინელი კანონზომიერება, დაამარცხონ იგი. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ადამიანებს აღწერს ჯემალ ქარჩხაძე თავის მოთხოვბაში. ოუმცა, ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის. ის ყველანაირი ბოროტების სათავედ ამ შიშს მიიჩნევს, მის დაძლევას კი – სიკეთის წინაპირობად. ამაში მე მას მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები. ვიზიარებ მის აზრს, რომ ბოროტებას შიში შობს. მაგრამ მხოლოდ მისი დაძლევა რომ იყოს სიკეთის გზა, ძალიან ბევრი ბოროტი ადამიანი იარსებებდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, შიშის დაძლევა განსაკუთრებულ ნებისყოფას მოითხოვს. მე ვფიქრობ, მთავარია ადამიანი ჩაწვდეს ბოროტების მიზეზს და დაუბირისპირდეს მას, მაგრამ სიკვდილის შიშის დაძლევა მხოლოდ ერთგულთა ხვედრია, რომელთაც ჩვენ გმირებს ვუწოდებთ.

„სამოსელი პირველი“  
(იხ. დავალება №15)

გურამ დოჩანაშვილი რომან „სამოსელი პირველის“ მოცემულ ეპიზოდში მოგვითხრობს ლამაზ-ქალაქელების ერთ განსხვავებულ დღეზე და ქალზე, რომელიც იმ დღეს ამინდთან ერთად საოცრად შეიცვალა. „სანამ გაოცებული ლამაზ-ქალაქელები დაჰყევილ თვალებს დაახამხა-მებდნენ, ტერეზა ოდნავ, მსუბუქად შეხტა და ყველანი ერთად მიხვდნენ – ცეკვავდა ქალი“. ჩასაქოლი იყო, – ავტორი გვეუბნება, – მაგრამ კარგად იცოდა ტერეზამ, რომ დაცინვასაც ვერავინ გაუბედავდა – ლამაზი იყო და მოსწონდა ყველას. თავდაჯერებულობაც არ აკლდა და საკუთარი თავის ფასიც მშვენივრად იცოდა. ყველას საოცრად იზიდავდა და მაიც მიუწვდომელი რჩებოდა მათვის, ამიტომ იყო ერთდროულად „საყვარელიც და საძულველიც“.

ტერეზა არის მხატვრული სახე ადამიანისა, რომელსაც შეუძლია ერთ დღეში მოლიანად შეიცვალოს, რომელიც პატივს სცემს საკუთარ გრძნობებს და მათი გამოხატვის არ ეშინია. ემოციის ზეგა იყო ტერეზას ცეკვა. გრძნობააშლილი ცეკვავდა ქალი და არას დაგიდევდათ, სხვები ამას თუ ვერ ხვდებოდნენ. არც ქალაქელების დაჰყევილი თვალები და გაოცებული სახეები ანალიზებდა. ტერეზა გრძნობდა, უყვარდა და თავდავიწყებით გამოხატავდა ამ სიყვარულს, ოდონდ ცოტა განსხვავებულად. „ცეკვავდა რომელიდაც უცნობ, სახელდახელოდ გამოგონილ ცეკვას. გრძელი თმა უფრიალებდა, უცახცახებდა მხრები, ერთიანად ცახცახებდა და გამწარებული იღიმებოდა ცეკვისას თვალდახუჭული ქალი და ირგლივ თოვდა...“ მერე რა, ოვლენა ხომ ლამაზქალაქში მეტ-ნაკლებად ყველა შეცვალა.

თხრობის სტილი თავისებურია. იგრძნობა ის ორიგინალობა, რომელიც დოჩანაშვილის ყველა ნაწარმოებში ჩანს. ავტორი ამბავს გვიყვება ძალიან ლადად, თითქოს რომანს კი არ წერს, მეგობრებს უამბობს საინტერესო ისტორიას. ....და უუ, როგორ სტულდათ ყველაფერი“. მიუხედავად ამისა, ნაწარმოები მდიდარია მხატვრული საშუალებებით. მოცემული ეპიზოდი იწყება თოვლიანი ქალაქის პეიზაჟის აღწერით. ამას მოსდევს ტერეზას პორტრეტი. გეხვდება გაპიროვნება: „ფიფქები ხალისიანად ემვებოდნენ...“ მეტაფორა: „ათასგან თეთრად ფეთქდებოდა გაოცებულ თვალებში თოვლი“. ეპითეტები: „ნამდვილი თოვლი“, „სქლად შეღებილი წამ-წამები“, „დიდი, დაჩვრეტილი, მსუბუქი ფიფქები“, „თხელი, ფაქიზი ნესტორები“, „წითელი სისხლი“ – გიშე უგოს სიტყვები, რომლებიც საყოველთაო მხიარულების ფონზე აშკარა კონტრასტს ქმნის.

ბედნიერება სილადესა და თავისუფლებაშია – ესაა მთავარი განცდა, რაც ამ ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ ყველაზე მკაფიოდ გრჩება და ტექსტის მთავარ სათქმელადაც შეიძლება მოვიაზროთ. ლამაზ-ქალაქელებიც ამიტომ იყვნენ ასეთი ბედნიერნი. ტერეზასაც ეს ახარებდა: გრძნობებს გამოხატავდა, სულ ს ათავისუფლებდა და ბედნიერი იყო ამით.

შეიძლება უპოვარი იყო. ლირებული არაფერი გაგაჩნდეს და ბედნიერი გეთქმოდეს მაიც, რადგან ბედნიერება სულიდან მოდის. თუ სულით ვერ გალადდი, რამდენი ფულიც გინდა, იმდენი გქონდეს – მოგხეოთავს და შეიძლება დაგახრჩოს კიდეც. „ანა ვრანკის დღიური“ გავიხსენოთ თუნდაც: გოგონა, რომელიც იმდენი ხანი შიშსა და სიკვდილის მოლოდინში ცხოვრობდა, მაიც ლადი და ბედნიერი იყო, რადგან ყოველთვის გამოხატავდა საკუთარ გრძნობებს. თუ არავისთან ლაპარაკობდა, წერდა მაიც. არსებობს ერთი შესანიშნავი საბავშვო წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ბიჭზე, რომელმაც დიდად ქონებაში საკუთარი სიცილი გაცვალა და როგორც კი გადიმება ვერდარ შეძლო, მაშინვე მიხვდა, რომ ბედნიერება ძვირფას ტანსაცმელსა და უამრავ საჭმელში კი არა, მის ლად კისკისში იყო, რომელსაც გულს აყოლებდა ხოლმე.

„სოხუმში დაბრუნება“  
(იხ. დავალება №16)

საშინელება, რომელსაც ომი ჰქვია, თითოეულ ადამიანზე მოქმედებს. დევნილობის სიმძიმე ის ტვირთია, რომლის ზიღვა ნებისმიერი პიროვნების ხასიათის ფორმირებასა თუ რწმენის, ნდობის რეკვის გამოიწვევდა. სწორედ ომით გაბოროტებულ ადამიანთა ურთიერთობას აღწერს გურამ ლიტერარია წიგნში „სოხუმში დაბრუნება“.

„გიდის სავარძელში მოკალათებული ქალი“ თვალებში შესცემრის იმას, რასაც ომი ჰქვია. ის ერთია მრავალთა შორის, ისიც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს... ამიტომ ეძებს მიზეზს, მიზეზს საკუთარი უბედურებისა, რადგან ლამის „აფხაზეთის ომი სანატრებელი გაუხდა...“ ეძებს და პოულობს, რადგან მარტივი დაადანაშაულო სხვა, ოღონდ საბაბი დაინახო შენი ცხოვრების ასეთი ცვლილებებისა: „ეს სოხუმელები სულ არ არიან გასაშვები იქით... გადადიან და მერე იმათ ყველაფერს ეუბნებიან... მერე ისინი ბომბავენ ჩვენებს...“ ქალს თვითონაც სჯერა თავისი ნათქვამისა, რადგან უნდა, რომ სჯეროდეს, მაგრამ არც ფიქრობს, არის თუ არა მართალი. რა საჭიროა სამართლიანობაზე ფიქრი, თუ თავს „ავტობუსის მეუფედ გრძნობს, წინამძღვრლად, ლიდერად (რა თქმა უნდა, ერთპიროვნულად)“. ქალი გარეგნულად „სუსტია, მკაცრი იერის“, „თავისი შემართული სხეულით ხაზგასმით და წამდაუწუმ“ აღნიშნავს, რომ „არც მეტი, არც ნაკლები, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის მემკვიდრეა“ და არავის არაფერს შეარჩენს. თუმცა ყველაფერი არც ასე მარტივადა. ის არ ებმება ბრძოლაში, რომელშიც იწვევენ, უარს ამბობს „ავტობუსის მბრძანებლის სკიპტრაზე“... რატომ? ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც იცის, არ შეიძლება „გადმოიყვანონ ეს სოხუმელები ავტობუსიდან და დახვრიტონ“, შეუძლებელია „ამ გაჭირვებულ და ბედშავ ხალხს“ ნიდაბი ჰქონდეს აფარებული... მას ომმა რწმენა დააკარგვინა, ადამიანთა რწმენა, სწორედ ამიტომაც ქცეულა ის უკმერ და ანჩხელ ადამიანად.

გურამ ლიტერარიას თხრობის სტილი მეტად თავისებური და საინტერესოა. ის მიახლოებულია ყოველდღიურ მეტყველებასთან, სწორედ ამიტომ იშვიათად ვხვდებით ტროპულ საშუალებებს. ტექსტში მოცემულია სულ რამდენიმე ეპითეტი. მაგალითად: „გაჭირვებული და ბედშავი ხალხი“ დევნილთა მძიმე სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობას აღწერს, კონტრასტს კი პქმნის „საიდუმლო რუკები“, „დაშიფრული უსტარები“, „დანაშაულობათა გრძელი სია“. შედარებები განსაკუთრებულ ელემენტს სძენს ნაწყებებს: „ბიბლიური მეუდაბნესავით ნახევრადწამოწოლით“, „გლადიატორებივით... ვეტაკებით ერთმანეთს“. ეს შედარებები ავტორს ეხმარება გაამძაფროს ის ირონია, რომელიც მთელ ნაწარმოებს უწევს ხაზად გასდევს. სარკაზი მართლაც ის მხატვრული ხერხია, რომელიც ყვალაზე დიდ ყურადღებას იყრობს. ლიტერარია დასკინის არსებულ ვითარებას: „აბაშა: ჩვენ შევწყვეტ, თუ თქვენ შეწყვეტ, სამტრედია: ჩვენ შევწყვეტ. თქვენ? აბაშა: ჩვენც. თქვენ? სამტრედია: ჩვენც. თქვენ?“ ავტორი ასევე ირონიით აღწერს ომით დადლილი ადამიანების განწყობას: „მათ ჩვენი სისხლის ხილვა სწყურიათ, სად დაიღვრება ეს სისხლი – არენის ქვიშაზე თუ ავტობუსის საფეხბუზე, მათვების სულერთია“. ირონია კულმინაციას აღწევს ბოლო წინადაღებაში: „გიხაროდენ, მამულიშვილნო, ღმერთი ჩვენთანაა!“ ეს წინადაღება მკითხველს უმძაფრებს შეგრძნებას, რომ ეს ყველაფერი დიდი აბსურდია, აბსურდი, რომელიც მთელ ქვეყანაში იყო გამეფებული.

და მაიც, რა არის მთავარი პრობლემა, მთავარი სათქმელი? ალბათ ის, რომ ომი ყველაფერს ანადგურებს: რწმენას, სიყვარულს, ერთიანობის განცდასა და შეგრძნებას. რუსთაველი XII საუკუნეში წერდა: „ოდგის კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა მმა და თვისა“, XX საუკუნეში კი ქართველებს სწორედ ეს დაავიწყდათ. ორ ნაწილად გაყოფილ საზოგადოებაში ადამიანი კარგავს ინდივიდუალურ თვისებებს. ის იქცევა ბრძოს ნაწილად, თავისი თავის გადასარჩენად კი სრულიად უდანაშაულო ადამიანსაც კი დასწამებს ციდს და ესვრის ქვას. სწორედ ეს დაემართა „გიდის სავარძელში მოკალათებულ ქალს“, „ზუგდიდის წმინდა მიწასთან“ დამხედრ ქალს, ხალხს, რომელიც ამბობდა: „ლტოლვილები სულ ზვიადისტები არიან რა! ერთი მაგათი!“... თუმცა გასაკვირი აქ არაფერია, რადგან თითქმის შეუძლებელია შეინარჩუნო პრინციპები და პრიორიტეტები ურყევად, როცა ქვეყანა გენგრევა თავზე, როცა ხედავ, როგორ კლავს შენი მმა შენივე მმას... სწორედ ამიტომ, მე მეცოდება თითოეული მათგანი, რადგან ომის სისასტიკე ადამიანის სულიერი სამყაროს ნგრევას იწვევს; რწმენადაკარგული, უსიყვარულო ადამიანები კი ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებენ.